

სარიტონ ახვლედიანის სახელობის

აჭარის მუზეუმი



მუზეუმის მაცნე

II

გათუმი 2009

მთავარი რედაქტორი

გოდერძი ჭოტოჩავა

სარედაქციო საბჭო

თემურ ჭუნაძე  
მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ გოგოლიშვილი  
რედაქტორი

რუსიკო პობრავა  
მდივანი

ლალი ჭანტურიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა

ზაალ შენგელია  
ფოტოგრაფი

რეცენზენტები:

პროფესორი ნუგზარ მგელაძე  
პროფესორი კახაბერ სურგულაძე  
პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

შურნალი გამოდის აფარის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსერის

ლამარა გულორდავა  
შუნების განყოფილების გამგე

აჭარის მუნიციპალიტეტის კოლექციები

აჭარის მუნიციპალიტეტის განყოფილებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დაარსების პირველი წლებიდანვე აქ გროვდებოდა საყურადღებო ექსპონატები, რომელთა შორის გამოირჩეოდა გეოლოგიური კოლექციები.

აჭარა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ცნობილია ლითონების (სპილენძი, ტყვია, თუთია), ქიმიური ნედლეულის (გოგირდის კოლჩედანი, ალუნიტი), სამშენებლო მასალების (გაბრო, მიკროტუფობრუქტია, ანდეზიტ-დაციტი, გაბრო-დიორიტი, პორფირიტი, სააგურე თიხა), ფერადი და სანაკეთობო ქვების (იასპისი, აქატი, გაქვავებული ხე და სხვ.) მრავალრიცხოვანი საბადო და გამოვლინება.

აჭარის სასარგებლო წიაღისეულის კოლექციებიდან მნიშვნელოვანია მადნეული წიაღისეული.

სპილენძის მარაგით განსაკუთრებით გამოირჩევა მერისის საბადოს უბანი – ობოლო-კანლი-კაია. აქ საბადო ძარღვული ტიპისაა, ძარღვების სიგრძე 100-დან 1300 მეტრამდე აღწევს, საშუალო სიმძლავრე კი 0,5-0,8 მეტრია. XIX საუკუნის 90-იან წლებში სპილენძის მადნის გადამუშავება ხდებოდა ბათუმთან ახლოს – ერგეს მეტალურგიულ ქარხანაში.

მუზეუმის კოლექციაში დაცულია სპილენძის ძირითადი მინერალი – სპილენძის ალმადანი ანუ ქალკოპირიტი. იგი ყვითელ-თითბრისფერია, ძლიერი მეტალური ელვარებით. მისი კრისტალები – იშვიათი, ტეტრაედრული და პირამიდული ჰაბიტუსისაა, ხოლო აგრეგატები – მკვრივი მასები და ჩანაწინწყლები (სურ. 1). ქალკოპირიტი მინარევების სახით შეიცავს ოქროს, ვერცხლს, თალიუმს, გერმანიუმს.

მინერალი გალენიტი ანუ ტყვიის კრიალა ნაცრისფერია, მკვრივი, მეტალური ელვარებით. ქმნის კუბების ფორმის ლამაზ კრისტალებს. ხოლო აგრეგატები – მასიური, მარცვლოვანი, ფირფიტისებრი (სურ. 2).

თუთის შემცველი მთავარი მინერალი სფალერიტი მოლურჯო-ნაცრისფერია, ალმასური ელვარებით. კრისტალები ტეტრაედრული, აგრეგატები – მკვრივი, მარცვლოვანი. არის ჩანაწინწყლების სახითაც. სფალერიტის საბადოები გვხვდება იქ, სადაც გალენიტია. იგი მოიპოვება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში (მერისის, ველიბურის, ვერხნალის, გოდერმისწყლის, წყალბოკელას და სხვ.).

პირიტი ანუ გოგირდის კოლჩედანი (სურ. 3) სუფთა სახით იშვიათად გვხვდება. იგი გოგირდისა და რკინის ნაერთია. ინარევების სახით შეიცავს ოქროს, სპილენძს, ვერცხლს და სხვა ელემენტებს. ამოიუენება სპილენძის და გოგირდმჟავას წარმოებაში, გადამუშავების ნარჩენები კი იხმარება, როგორც რკინის მადანი. პირიტის კრისტალები ლამაზია, აგრეგატები კონკრეციების, მარცვლების და მტევნისებურია. ფერი ოქროს ან ჩალის მსგავსად ყვითელია, ელვარება მეტალური. საყურადღებოა აჭარის გოგირდ-კოლჩედანური მადნეულის ფორმაცია გომა-წაბლანას მადნეულ ზონაში. გოგირდის კოლჩედანის ანალოგიური გამოვლინებები დაფიქსირებულია მდინარეების – სხალთის, ჩირუხისწყლის და მაჭახელას წყლის ხეობებში.

მუზეუმში დაცულია კვარციტი პირიტის ჩანაწინწყლებით, კვარციტი სულფიდების ჩანაწინწყლებით, ექსპლოზიური ბრექჩია სულფიდური გამადნებით (სურ. 4).

უძველესი დროიდან იყო ცნობილი ალუნიტი ანუ „შაბის ქვა“ (სურ. 5). ალუნიტი მიწისებრი ან ქვისებრი აგრეგატია. ფერი თეთრ-მოკვითალო. იგი კომპლექსური ნედლეულია. მისგან მიიღება 40 დასახელების სხვადასხვა პროდუქტი. მათგან მნიშვნელოვანია ცემენტი.

აჭარაში ალუნიტებისა და ალუნიტიზებული ქანების მნიშვნელოვანი გამოსავლები დაფიქსირებულია მდინარეების დიდდელისა და სხალთის ხეობებში, სოფლების: წაბლანის, ხიხაძირისა და ლორჯომის საზაფხულო სადგომების – ლაშეს, დომას, კოსლა-თავისა და სასაძილოს მიდამოებში.

აჭარაში დღეისათვის მოძიებულია და სახელმწიფო ბალანსზეა მოსაპირკეთებელი მასალების შემდეგი საბადოები: დაგვის მიკროტუფობრექჩიების, დანისპარაულის ანდეზიტ-დაციტების და ხალასთავის გაბრო-დიორიტის.

მუზეუმში შეგროვილია სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალის ნიმუშები: მუქი ფერის ფისისებრი ბაზალტი შუახევიდან, დანისპარაულის მომწვანო ფერის დოლერიტი, ნაცრისფერი დიორიტი სხალთიდან, დია რუხი ფერის სიენიტი მერისიდან, მომწვანო ფერის უანივრის გაბრო, დანისპარაულის დია ნაცრისფერი დაციტი, ლამაზი ტუფი შინდისფერ-ნაცრისფერი ზოლებით ლაშედან, თაგვისფერი მიკროტუფობრექჩია დაგვადან, მოთეთრო კირქვა ხიხოდან (სურ. 6, 7, 8)

მრავალფეროვანია აჭარაში მოპოვებული თიხის კოლექცია. აქ წარმოდგენილია ოჩხამურის კერამზიტული თიხა, ცეცხლაურის ცეცხლგამძლე თიხა, ჯიხანჯურის სააგურე თიხა, აგრეთვე ბენტონიტური თიხის ნიმუშები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბრილის (შუახევი) სააგურე თიხა, რომელიც ძალზე წვრილმარცვლოვანია და მნიშვნელოვანი ნედლეულია აგურ-კრამიტის, მეტლახის და სხვა სახის კერამიკული წარმოებისათვის.

აჭარაში გამოვლენილია ფერადი, საიუველირო და სანაკეთობო ქვები. არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე აღმოჩენილია მრავალი მაღალდეკორატიული იასპისის, ოპალის, ქალცედონის და გაქვავებული (ოპალიზებული) ხის გამოვლინებები. ფერადი ქვები (აქატი, იასპისი) აღმოჩენილია შუახევის და ქედის რაიონის ტერიტორიაზე.

ქალცედონი კვარცის ფარულკრისტალური სახესხვაობაა. იგი ფართოდ გავრცელებული მინერალია. გვხვდება არსიანის ქედზე ძარღვებისა და უეოდების სახით. ზღვის სანაპიროზე შეიძლება ტალღებიდან დამრგვალებული ამეთვისტოს, აქატის, სარდიონის შეგროვება.

მუზეუმის კოლექციებში მრავლადაა იისფერი ამეთვისტო (სურ. 9), წითელი იასპისი (სურ. 10), ზოლიანი აქატი (სურ. 11), ობსიდიანი (სურ. 12), მტრედისფერი ქალცედონი, დია მწვანე ფერის პლაზმა, წითელი ფერის სარდიონი).

აჭარაში ბევრგან გვაქვს მინერალური საღებავების საბადო. ოქრას საბადოები ჩვეულებრივ რკინის მაღნებთანაა დაკავშირებული. მუზეუმის კოლექციებში გვაქვს ყვითელი ფერის ოჩხამურის ოქრა, რკინის მაღნის შემცველი მარადიდის სურინჯი.

გარდა წიაღისეულისა მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია და ფონდშიც დაცულია აჭარისა და მისი მოსაზღვრე ტერიტორიების ამგები ქანების ნიმუშები. შეგროვილია მინერალები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ძალზე საინტერესოა ულამაზესი კრისტალების (მთის ბროლი, ციტრინი, აურიმპიგმენტი, ფლოგოფიტი და სხვ. კოლექცია (სურ. 13).

მუზეუმში პალეონტოლოგიური მასალა მართალია მცირე რაოდენობითაა, მაგრამ მაინც საიტერესოა. ექსპოზიციაში გამოფენილია და ფონდშიც დაცულია აჭარისა და მისი მოსაზღვრე ტერიტორიების ამგები ზღვიური თუ კონტინენტური ქანების ნიმუშები, რომლებიც შეიცავენ ნამარხ თრგანიზმებს (სურ. 14). მაგ., ქობულეთში, მუხაესტატესა და ცეცხლაურის მიდამოებში, მეოთხეულის ქვეშ განლაგებულია მუქი ნაცრისფერი სქელშრეებრივი თიხები და ქვიშიანი თიხები, რომლებიც მრავლად შეიცავენ კიმერიული დროის მოლუსკური ფაუნის და ფლორის ნაშთებს. ხულოში, სოფ. ირემაძეებთან აღმოჩენილია ნუმულიტები,

რომლებიც ჩვეულებრივ ზედა ეოცენში გვხვდება. ნუმულიტები ზღვის ცხოველებია. ისინი დაკავშირებული არიან თხელი ზღვის ნალექებთან და თბილ ზოლში გვხვდებიან. ნუმულიტების ბრტყელი ნაჭუჭი შედგება რამდენიმე ხვეულისაგან, რომელნიც ტიხებით კამერებად არიან დაყოფილი, ტიხებს ორმაგი აღნაგობა აქვთ. ისინი 2-2 ფირფიტისაგან შედგება. ამ ორ ფირფიტას შორის გაივლის წვრილი მილაკების სისტემა.

ნამარხი ორგანიზმები ძირითადად შეგროვილია ზედაპირულად ან გზის გაყვანის დროს გაშიშვლებული ნალექებიდან. ამდენად ეს მასალა ვერ იძლევა მიწის ქერქის შრეებში სიცოცხლის განვითარების სრულ სურათს, მაგრამ სამუზეუმო თვალსაზრისით, საინტერესოა. ამ მხრივ აღსანიშნავია განმარტებული ნიუარები, რომლებიც კარგად არიან დაცული და სრულიად არ განირჩევიან თანამედროვე ცხოველთა ნიუარებისაგან. ასეთებია: ტურიტელა, პომატია, ნატიკა და სხვ.

ერთ-ერთი ნამარხი ორგანიზმია **ზღვის ზღარბი**. იგი მეზოზოურის დასაწყისიდან დღემდე ეკალკანიანთა უმნიშვნელოვანეს კლასს შეადგენს. ზღვის ზღარბის სხეული თითქმის ბურთისებრულია, აქვს მაღალი, მეტ-ნაკლებად კონუსური ხოკი. ფუძე მხოლოდ ქვედა მხრიდანაა ოდნავ შებრტყელებული. ხოკს აქვს ხუთედი სიმეტრია, იგი დაფარული იყო მრავალრიცხოვანი ფირფიტებით და ეკლებით.

**ტურიტელას** ნიუარა კონუსურია, შედგება მრავალრიცხოვანი გამოზნექილი ხვეულებისგან, რომელთაც გარე ზედაპირზე სპირალური წიბოები აქვთ. ამ გვარის მრავალი სახე თბილ და ზომიერ ზღვებში ცხოვრობენ.

**პომატია** პალეოგენიდან დღემდე ცხოვრობს. ნიუარა ოვალურ-კონუსურია, ხვეულები გამოზნექილი და კოხტა სპირალური წიბოებით მოკაზმული.

**მელანოპსისი** ზედა ცარციდან მოყოლებული დღემდე ცხოვრობს ზღვებში. ნიუარა წაგრძელებულია, ოვალურ-კონუსური, ხვია ჩვეულებრივ მოკლეა, აქვს ზემოდან ძალიან დაწვრილებული და ქვემოთ მეტ-ნაკლებად განვითარებული ფართო დარი.

**ნატიკას** გვარი ტრიასიდან დღემდე ცხოვრობს. ნიუარა ოვალურია, გლუვი. ხვეულები ნიუარის ზრდასთან ერთად ძლიერ ფართოვდებიან.

გვარი **კარდიუმი** პალეოგენიდან დღემდე ცხოვრობს. მისი ნიუარა მომრგვალებულია, თხემი მაღალია, დაფარულია რადიალური წიბოებით. ამ გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან, როგორც ნორმული მარილიანობის ზღვებში, ისე ანორმული მარილიანობის აუზებში.

შავი და კასპიის ზღვების პლიოცენური (ზედა ნეოგენი) ლაგუნურ ნალექებში ზღვის მოლუსკები მხოლოდ კარდიუმით იყვნენ წარმოდგენილი. მის მეტმა ვერავინ გაუძლო საგრძნობ გამარილიანებას. სამაგიეროდ, ამ გვარმა მრავალფეროვან ფორმათა დიდ რიცხვს მისცა დასაბამი.

ნამარხი მცენარეებიდან აღსანიშნავია ბუნების იშვიათი მოვლენა გოდერძის გაქვავებული ტყე. იგი მდებარეობს გოდერძის უღელტეხილის შემოგარენში, ზღვის დონიდან 1600-2100 მ. სიმაღლეზე, ადიგენისა და ხულოს რაიონში. 15 მილიონი წლის წინათ აქ ხარობდა ტყე, რომელიც შემდეგ ვულკანური ლავით დაიფარა, დროთა განმავლობაში ქანებში მოყოლილი ხის ნაწილები გაკაუდა, ოპალად გარდაიქმნა. მცენარეული ნაშთები გამოსახულია ხეების გაქვავებული და ნახევრად გაქვავებული დეროებით და ფოთლების ანაბეჭდებით, რომლებიც მოქცეულია ნაცრისფერ ვულკანურ ტუფში. ალაგ-ალაგ საუკეთესოდაა შემონახული ფოთლოვანი თუ წიწვოვანი მცენარეების – მუხის, თელის, წიფლის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, ვაზის, პალმის, ბზის, ლეღვის ფოთლების ანაბეჭდები და გაქვავებული დეროები (სურ. 15).

გოდერძის ნამარხი ტყე უნიკალური არაორგანული ბუნების ძეგლია. მას კაჯის ტყესაც უწოდებენ. ბუნების ეს უიშვიათესი საოცრება ჯერ-ჯერობით მხოლოდ შუა

აზიასა და საქართველოს მიწაზეა მიკვლეული. დაცულია სახელმწიფოს მიერ, შეტანილია „წითელ წიგნში”.

მუზეუმში დაცულია ჩალისფერი, ყავისფერი, წითელი და შავი ფერის, ცხიმური ელვარების გაქვავებული (ოპალიზებული) ხის ნიმუშები დანისპარაულიდან და გოდერძის უღელტეხილის მიღამოებიდან. მათგან გამორჩეულია მდ. აჭარისწყლის სათავეებში მოპოვებული ოპალიზებული ხის ნიმუში, რომელიც თავისი სიდიდით (50 სმ. დიამეტრი), სიძველით და სილამაზით მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა (სურ. 17).

ადგილობრივი გეოლოგიური ნიმუშების გარდა, ფონდში დაცულია ეკროპისა და აზის სხვადასხვა ქვეყნების ქანების, მინერალების და კრისტალების ნიმუშები. მაგ., 1924 წელს მუზეუმში იყო მატიევიჩის კოლექციის 200-მდე მინერალი, რომელთა სახელწოდებები გერმანულ ენაზე იყო მითითებული. მუზეუმის გამგემ ნ. გომანმა სახელწოდებათა თარგმნის მიზნით მინერალების სია ინჟინერ ზევალდს გაუგზავნა. კოლექციაში წარმოდგენილია სხვადასხვა ფერის გრანიტები, გნეისები, პორფირიტები, ქარსები, თიხები (სურ. 16).

1976 წელს აჭარას რუსეთიდან სტუმრობდა პროფესორი ვ. კოლეგოვი, რომელმაც მუზეუმის მუშაკებთან ერთად ჩაატარა ექსპედიცია და შეაგროვა მრავალი ნიმუში, ამასთან მუზეუმს გადასცა საკუთარი კოლექცია, რომელიც მდიდარია კვარცის ულამაზესი სახეობებით.

დღეს მუზეუმში მიმდინარეობს 100 წლის მანძილზე შეგროვილი მინერალების კრისტალების, ქანების, ნამარხი ორგანიზმების ხელახალი პასპორტიზაცია. ამ მიზნით ტარდება ექსპონატების შედარება საინვენტარო წიგნებთან და მათი დახარისხება.

## ლიტერატურა

1. გეგეჭკორი არნ., დედაბუნება (შემოდგომა, ზამთარი), თბილისი, 2004
2. დავითაშვილი ლ., პალეონტოლოგია, თბილისი, 1938
3. ზუბაძაი ვ., განძი ქართული მიწისა, თბილისი, 1984
4. ლეკვეიშვილი ს., იშვიათ საგანთა საგანძური, თბილისი, 2008
5. ხომერიკი გ., ქიმიური მრეწველობის ნედლეულის საბადოები. – გაზ. „აჭარა“, 10 აგვისტო, 2004
6. ხომერიკი გ., სამშენებლო მასალების საბადოები. – გაზ. „აჭარა“, 2004, 31 აგვისტო.
7. ძველაია მ., კვირკველია ბ., აჭარის გეოლოგიური ისტორია, თბილისი, 1987




სურ. 1. ქალკოპირიტი



სურ. 2.  
ტყვევია – თუთიის მადანი



სურ. 3. პირიტი (გოგირდის კოდჩედანი)




სურ. 4. ექსპლოზიური ბრექჩია  
სულფიდური გამადნებით



სურ. 5. ალენიტი (შაბის ქვა)



სურ. 6. სიენიტი



სურ. 7. გაბრო



სურ. 8. ოუფი



სურ. 9. ამეთვისტო



სურ. 10. იასპისი



სურ. 11. აქაზი



სურ. 12. ობსიდიანი



სურ. 13. საქართველოს კრისტალები



სურ. 14. ნამარხი ორგანიზმები



სურ. 15. გოდერძის ნამარხი ტყის ორგანიზმები



სურ. 16. მინერალების კოლექცია გერმანიიდან




სურ. 17. ოპალიზებული ხე არსიანიდან

## ნუგზარ მგელაძე, გოდერძი ტოტოჩავა

გეშაკის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში  
და გეშაკოდების შესრაბლის ისტორიისათვის

### (ნაწილი II)<sup>1</sup>



ნაშრომის წინა ნაწილში ჩვენ ვეშაპის კულტთან დაკავშირებულ ზოომორფულ ღვთა- ებებზე გვქონდა საუბარი<sup>2</sup>. მიმოვისილეთ ე. წ. ხვითქნი: გველი, ხვლიკი, ბაყაყი, აგრეთვე თევზის კულტი, თუმცა ამ მიმართებითაც ჯერ-ჯერობით კვლავ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენი შრომის ამ მონაკვეთში ვილაპარაკებთ ვეშაპის კულტთან დაკავშირებულ კიდევ ორ ცხოველზე – ზოომორფულ კულტზე: ხარსა და ძაღლზე (/მგელზე/).

ყველასათვის ცნობილია თუ როგორ ფართო- დაა გავრცელებული ხარის კულტი საქართვე- ლოში, თუმცა იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, სადაც ხარს არ სცემდნენ თავიანს. შესაბამისად

ეს კულტი საფუძვლიანადაა აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში და მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. შევეცდებით გავარკვიოთ ხარის მიმართება ვეშაპთან და წყალთან, რადგან ხარი დაკავშირებული იყო ნაყოფიერების კულტთან, ხოლო ნაყოფიერება აუცილებლად წყალთან. ხარს განსაკუთრებული კავშირი უნდა ჰქონოდა ვეშაპთან.

რამდენიმე მაგალითით შეიძლება გავიხსენოთ ხარის კავშირი გამანაყოფიერებულ წყალთან. ეგვიპტეში საკულტო ხარს ჰაპი (ბერძნული აპისი) ეწოდებოდა. მის საპატივცემულოდ აღმართული იყო ტაძარი მენფისში, სადაც მართლაც ინახავდნენ ცოცხალ შავ ხარს. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ხარში განსახიერებული იყო სახნავი მიწების გამანაყოფიერებული ნილოსი (ДЯКОНОВ, 1979:76). აქ ნათლად ჩანს ხარისა და წყლის კავშირი. უფრო მეტიც, ხარი ნილოსის ცხოველურ ხატად გვევლინება. ვ. დიაკონოვის წიგნში წარმოდგენილია ხარის ბრინჯაოს ქანდაკების რეპროდუქცია, სადაც ხარს რქებზე მზე აქვს შედგმული. აღნიშნულ საკითხე მსჯელობისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს სვანური საგალობელი მზის ღვთაება ბორბალ-დოლაშისადმი – „მზე შემოაქვთ ხარებს რქებით, მზე შენია ბორბალ-დოლაშ“, თუმცა ხარის კულტი ხშირად გაიგივებულია მთვარესთანაც (მთვარისა და ხარის კავშირი აჭარის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მიხედვით იხ. ჯავახიშვილი, 1960:171; Сихарулиძე, 1972; მაკალათია, 1940:967; შდრ. სურგულაძე, 1986:20, 112, 126; ჩავლეიშვილი, 1987:21-22; მგელაძე, 1984:104-110; მგელაძე, 2007:215-219). ამის მაგალითებია მტკვარ-არაქსის კულტურის ზოომორფული ზედსადგრები, რომელთაც რქები აქვს. როგორც ფიქრობენ, რქისებრ სადგარში ხარის – მთვარის კულტი უნდა დავინახოთ (კიკვიძე, 1976:171-172). უფრო საინტერესოა ხარის სახე შუმერულ მითოსში, სადაც „ციური ხარი“ კოსმოგონიური არსებაა – „ცა დიდი

<sup>1</sup> ამ ნაშრომის გარკვეული მონაკვეთი გ. ტოტოჩავას მიერ 1981 წელს შესრულდა. ხელნაწერი ინახება ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში.

<sup>2</sup> იხ. მგელაძე, ტოტოჩავა, 2008:23-35.

ხარია“ (ამ-გალ), ხოლო დედამიწა „ჭეშმარიტი ფური“ (აბ-ზი), მამისაგან მტკნარი წყლის (ძ-დუგ) მომლოდინე. ეს იგივე აპსუსეული სპერმაა (კიკნაძე, 1979:65). ცის ხარისაგან გადმოსვრილი მტკნარი წყალი (აპსუ) მამრი, მისი სპერმა იყო, ხოლო მლაშე თიამათი აგრეთვე დიდი გველის სახელად ითვლებოდა, რომელიც შემდგომ მარდუქმა გაკვეთა და შექმნა სამყარო. აპსუს კერძო განსახიერება კალაპოტში მიღვრილი მტკნარი წყლის (ძ-დუგ) ფალოსური ბუნება, რასაც თვალსაჩინოდ გამოხატავს მისი გარეგანი ფორმა, ხოლო შინაგანად იგი ატარებს გამანაყოფიერებელ სპერმას (ა „წყალი“), რომლითაც გამუდმებით რწყავს დედამიწას. ზღვა – სხვათაშორის თამთუზ მდედრობითი სქესის სახელია, საიდანაც მოდის მითოსური არსების საკუთარი სახელი თია<sup>3</sup>. ამით ზღვა თავისი ღრუბლებით და შიდა ქვაბისებრი წიაღით, არ შეიძლება არ ყოფილიყო საყოველთაო მდედრული ბუნების განსახიერება (კიკნაძე, 1979:63-64). ძველი აღმოსავლეთის მითოლოგიდან ფრაგმენტები ასე ვრცლად იმიტომაც წარმოვადგინეთ, რომ მასში შესანიშნავად ჩანს ხარის ბუნება, მისი პირდაპირი კავშირი წყალთან, ასევე ნათლადაა ჩამოყალიბებული ერთიან კოსმოგონიურ სივრცეში ცალკეული კულტის ფუნქციური კავშირურთიერთობები, ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე (ნაყოფიერება – შესაბამისად ჩნდება საკულტო სიმბოლოები: წყალი, თევზი-ვეშაპი, ხარი, ფალოსი, ...) კულტების ფუნქციური ურთიერთგამომდინარეობა, რაც ზოგადად შუმერის ანუ იმდროინდელი კაცობრიობის მითოლოგიური მსოფლმხედველობის საკრალურ ხასიათზე მეტყველებს. ძველი აღმოსავლეთის, განსაკუთრებით შუმერების მითოლოგიაში ყველა არსება სამ განზომილებაში იყო წარმოდგენილი – ქვესკნელეთში (ქვესკნელი) ანუ ქთონურში, შუასკნელეთში (შუასკნელი) და ზესკნელეთში (ზესკნელი). „ციური ხარი“ ზესკნელის უმაღლესი არსების გამოხატულებად მიიჩნევდა, ხოლო ხარი სოლარული ან ასტრალური ნიშნით – რქებით შუასკნელად აღიქმებოდა, ანუ მისი მეშვეობით მყარდებოდა კავშირი ზეცასა და ქვესკნელს შორის, ხარი კი რომელიც მდინარესაც განასახიერებდა, იმავდროულად ფალოსის, სპერმის, წყლის ფუნქციასაც ითავსებდა. ხარი, რომელიც მდინარის განსახიერება ანუ ფალოსია, ასევე, წყლის მატარებელი ქვესკნელის წარმომადგენელია და თიამათის წიაღშია, თუმცა კი ანაყოფიერებს მას.

ამდენად, თუ ხარს მივაწერთ, რომ იგი მაინცდამანიც რომელიმე ასტრალური ღვთაების განსახიერებაა, ყველა შემთხვევაში სწორი არ იქნება. გავყვეთ ჩვენი ნაშრომის მთავარ მიზანს – ხარისა და წყლის კავშირს და აქედან გამომდინარე კი მის კავშირს ვემაპთან.

ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში ცნობილი იყო წყლის ხარი, რომელიც უმეტესად ტბაში ცხოვრობდა. იგი გამოდიოდა ნაპირზე და ანაყოფიერებდა საძოვრებზე აყვანილ ფურებს. სამცემ-ჯავახეთში, აჭარასა და სხვა კუთხებში გავრცელებული რწმენა რომ ტბის მამაკაცური გამანაყოფიერებელი ძალა გამოიხატა წყლის (ტბის) ხარის, მამალი ცხენის, ხარ-კამების სახით (მაკალათია, 1972:61) მთლიანად სწორი არ უნდა იყოს. წყლის (ტბის) ფალოსური ბუნების თაობაზე მოსაზრება შემდეგ შიც არაერთხელ გამოითქვა. ავტორთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ძველ დროში პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი კარგად ერკვეოდა სამყაროს შესახებ მის მიერვე შექმნილ მითოსტრუქტურაში. ისინი ადამიანისა და ბუნების არსებობისათვის წყლის სტიქიას ზებუნებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. წყლის ნაყოფიერების ფუნქცია იმ საერთო რწმენიდან გამომდინარეობდა, რომლის მიხედვით წყალი ყოველი სულიერის და უსულოს პირველსაწყისი, ბუნებისა და მთელი სამყაროს მშობელი დედა იყო. ზ. თანდილავას თანახმად, სწორედ ეს რწმენა განაპირობებდა მითოლოგიურ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ყოველივე, რაც ხმელეთზე

<sup>3</sup> შესაძლოა სწორედ ამ უკანასკნელ ფორმაში იყოს შენარჩუნებული ზღვის არაბული სახელი.

არსებობდა, მათ შორის ადამიანიც, წყალში ბინადრობდა. წყალი ხმელეთზე სიცოცხლისა და სიუხვის მარჯულირებელი იყო. მას შეეძლო ხელი შეეწყო ადამიანთა, ცხოველთა განაყოფიერება-გამრავლებისათვის. ამ შემთხვევაში წყალი ყოველთვის ფალოსური ბუნების მქონე მითოლოგიურ ძალად, დვთაებრივ არსებად გვევლინებოდა. მკვლევარი აკონკრეტებს თავის შეხედულებას და ასკვის, რომ წყლის ფალოსური ბუნება და მისი ფუნქცია არქაული პლასტების სახით უხვად ვლინდება ფოლკლორული შემოქმედების სხვადასხვა ჟანრში, ხალხური პოეზიისა და პროზის ნიმუშებში. ტბაში მობინადრე ხართან დაკავშირებულ ლეგენდებში ხარი, რომელიც საქონელს აჯანსაღებდა, სხვა არა არის რა, თუ არა წყლის მამაკაცური ბუნების განმასახიერებელი მითოლოგიური არსება (თანდილავა, 1984:41). სრულიად არაა აუცილებელი, რადგან ტბიდან ამოსული ცხოველი მამრია, ტბაც მამრი იყოს. რიგი ავტორის მიერ შენიშვნულია, რომ ტბა ქალური ბუნების მატარებელი იყო. ასე იყო შუმერულ შიც, მიუხედავად იმისა, რომ ტბის ქალური ბუნება მიჩქმალული იყო. მართლაც, ტბის ქალური საწყისი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სწორედ მისგან, როგორც საშოდან, ამოდის ხარი (ვერძი) და ანაყოფიერებს შუასკნელის ფურს, რათა მეტი ძალა შესძინოს მას. განვითარების აღრეულ საფეხურებზე ადამიანთა საზოგადოებებს სამყაროს მიმართ გააჩნდა კოსმოგონიური ხედვა, შეეძლოთ ქაოსისა და წონასწორობის – ურთიერთგამომდინარეობის მითოლოგიური ინტეპრეტაცია.

ადამიანი ევოლუციის პერიოდში უპირისპირდებოდა წყლის სტიქიას და მასთან დაკავშირებულ ქონიურ ღვთაებებსაც. მოვუსმინოთ ლეგენდას, რომელიც ხიხანის ხეობაში არის ჩაწერილი<sup>4</sup>. ლეგენდა სოფელ ვერნების ხალხურ ეტიმოლოგიებთანაცაა დაკავშირებული. ეს ის სოფელია, საიდანაც ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული ვეშაპოიდია ჩამოტანილი, რომლის თაობაზეც წინა ნაშრომში გვქონდა საუბარი (მგელაძე, ტოტოჩავა, 2008). ლეგენდის ძირითადი შინაარსი ასეთია: „სოფლის თავში დიდი ტბა ყოფილა. უწინ მაგ ტბაში ყოფილა დიდი ბულა ხარი. შეამჩნიეს მეზობლებმა, რომ მზის ამოსვლისას ხარი გამოდიოდა ტბიდან. ერთი კაცი ყოფილა, რომელსაც ბულა ხარი ყოლია კაი, და უფიქრია ამ ხარს დავაჭედნიო, ხოდა მეზობლების ჩუმად რკინის რქები გაუკეთა, რომ იმან არ მოუგოს ჩემს ხარსო. რომელიცხა დროს, რომ დილას გამოდიოდა, მაშინ ეიყვანა მისი ხარი. იმ ხარმა რომ გამოვიდა წყლიდან, დეიჭედნენ ხარებმა, რომ დაეჭიდნენ, რკინის რქები რომ ქონდა, მოუგო. რკინის რქა მუცელში მოხვდა და შევიდა წყალში. წყალში რომ შევიდა, ამ კაცმა ხარი სახლში წამეიყვანა. რქებზე სისხლი ქონდა. მეზობლებმა რომ გაიგეს, გალანძეს ეს კაცი. მეორე დღეს გადმოვიდა ეს ტბა და გაავერანა სოფელი ცოდვისაგან. ამიტომ დაერქვა ვერნები“ (მთხოვობელი: საბით თექოს ძე ცეცხლაძე, 67 წლის, სოფელი თხილვანა, ჩაწერილია ე. მეავიას მიერ. – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები). ლეგენდა ნაკლული უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაში მაინც საყურადღებო ინფორმაციაა დაცული (შდრ. აჭარის სხვა კუთხეებში დაფიქსირებულ ანალოგიური ტიპის თქმულებებს – იხ. შამილაძე, 1964:133). აჭარაში შემორჩენილია საინტერესო ჩვეულება – სახალხო სანახაობის დროს ხარების ჭიდაობა (ბულიების ჭედობა – იხ. შამილაძე, 1973:43-50). ლეგენდაშიც ჩანს ამ ჩვეულების ანალოგი, მაგრამ აქ ჩვენთვის უფრო საინტერესო ისაა, რომ ორი – „წყლისა და მიწის ხარი“ უპირისპირდება ერთმანეთს. მიწის ხარს რკინის რქები აქვს და ამარცხებს ქვესკნელის ხარს. შეიძლება აზრობრივად ეს ფაქტი რკინის რევოლუციასა თუ

<sup>4</sup> საველე-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული უქსაედიციების დროს სოფელ ვერნების შესახებ არსებული ლეგენდა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც სხვადასხვა ვარიაციით არაერთი მეცნიერის მიერ იყო ჩაწერილი (ვლ. მგელაძე, ზ. თანდილავა, ხ. მგელაძე...). ჩანაწერები და საველე დღიურები ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და მკვლევართა საოჯახო არქივებში ინახება. შეჯერებული და მდიდარი მასალების საფუძველზე ლეგენდას საეციალური გამოკვლევაც მიემდვნა (იხ. თანდილავა, 1978:58-67).

რკინის ინდუსტრიის დასაწყისის შესახებ მინიშნებას შეიცავდეს. ლეგენდა დასაშვებია იმ ეპოქაში იყოს შექმნილი, როცა ახალი რწმენა-წარმოდგენები დაუპირისპირდა ძელს – ქონიური ღვთაებების კულტს, მაგრამ სრული გამარჯვება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული, რასაც მეზობლების მიერ ხარის პატრონი მამაკაცის გალანძვაც (მხოლოდ გალანძვა და არა სასიკვდილო განაჩენი) უნდა გვიდასტურებდეს. ძელი კულტის ძალისადმი რწმენა მთლიანად არ გამქრალა. ტბამ გაავერანა სოფელი. გავერანებაში უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ „გაბრაზებული“ წყლის ხარი ნაყოფიერებას ადარ ანიჭებს სოფელს და იგი უნაყოფობითაც ვერანდება.

ჩვენ ვფიქრობთ ზემოთქმული საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ხარისა და წყლის კულტის საკრალური კავშირი დავინახოთ და ვთქვათ: „წყლის ხარი“ ერთ-ერთი ქონიურ ღვთაებთაგანია და წყალთა გამრიგის – ვეშაპის ტაძრიონის წევრია. ამის საილუსტრაციოდ ლეგენდის ერთი ეპიზოდიც საკმარისია: ხარი ტბიდან მზის ამოსვლისას – დამისა და დღის გასაყარზე, დაისზე ამოდის. ქონიურობა კი სწორედ მიწისქვეშეთს, ქვესკნელს გულისხმობს. ეს ფერთა სიმბოლიკაშიც კარგადაა ასახული: შავი – ქვესკნელი; წითელი – შუასკნელი<sup>5</sup>, თეთრი – ზესკნელი (სკნელთა საკრალური ბუნების შესახებ დაწვრ. იხ. სურგულაძე, 1986). როგორც ვხედავთ, ხარის წყალთან კავშირი უტყუარი რეალობაა. ნიშანდობლივია, რომ გველეშაპის მიოოლოგიური სახეც უშუალოდ წყალთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად, ფოლკლორულ სიუჟეტებსა და მეგალითურ ძეგლებშიც ხარისა და გველეშაპის საკრალური კავშირიც გამოკვეთილია. ამ მხრივ საკმარისია გვიხსენოთ ქართული ზღაპრის სიუჟეტები, სადაც წყლის მცველად გველეშაპი გვევლინება, რომელიც მზეთუნახავი მეფის ასულის ან დარჩეული ლამაზმანების სანაცვლოდ მოსახლეობას წყლის მიცემაზე თანხმდება. გველეშაპს მამაცი ჭაბუკი ამარცხებს და ქალწულებს ათავისუფლებს, სამეფოს წყალს უბრუნებს. მზეთუნახავი, ან ლამაზი ასულებიდან ერთ-ერთი, ჭაბუკის ცოლი ხდება ანუ წყალი ნაყოფიერების მაგიურ ძალას განასახიერებს. აქ ჭაბუკის მონაწილეობაც შემოხვევითი არ არის. ჭაბუკი ხარის ანთროპომორფული სახეა, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო როგორც სიყვარულისა და გამრავლების ღვთაება (შდრ. თქმულებას „თავფარავნელი ჭაბუკის“ შესახებ). თავფარავნელი ჭაბუკიც ტბაში სახლობს. თავფარავნელი ჭაბუკის შესახებ არსებული გადმოცემის ვარიაციასთან უნდა გვქონდეს საქმე აქარული ზღაპრის იმ ეპიზოდში, სადაც ვაჟი დედას დაეძებს. კოშკზე გველეშაპია შემოხვეული. ვაჟი ამარცხებს გველეშაპს და დედას ანთავისუფლებს (ქართული..., 1973:49). „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის“ ზღაპრული სიუჟეტის მიხედვით, ჭაბუკი მოხვდა უცხო ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. ამ ქვეყანაში იყო გამანაყოფიერებელი ძალით აღჭურვილი ტბა. როცა აქაური ქალი ჩვიდმეტ წელს მიაღწვდა, მიდიოდა ტბასთან, ჩაჯდებოდა მასში, დაორსულდებოდა და მიეცემოდა ქალიშვილი. მათში ვაჟი არ იბადებოდა, მამრობით სქესს ეს საზოგადოება არ იცნობდა, მამრის როლს აქ წყალი ასრულებდა (მრავალთავი, 1964:93-94; შდრ. თანდილავა, 1984:44), თუმცა ეს ბოლო თვალსაზრისი დაზუსტებას საჭიროებს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტბა ქალური საწყისის უნდა ყოფილიყო, ხოლო გამანაყოფიერებელი მამრი ტბის ბინადარი ხარი, რომლის ანთროპომორფულ სახესაც ჭაბუკი წარმოადგენდა. ხშირად ტბის ხარსა თუ ჭაბუკს გველეშაპი ენაცვლება. ერთი აქარული ზღაპრის თანახმად, წყალში უზარმაზარი გველეშაპი სახლობს. ვაჟი შეებრძოლება გველეშაპს, მოკლავს მას და წყალს მოიპოვებს. ამ წყალს სამკურნალო თვისებები გააჩნდა. მონადირის ცოლი შესვამს წყალს და მორჩება (ქართული..., 1973:49). მთლიანად ამ თანმიმდევრობაში ღვთაებათა ცვლის

<sup>5</sup> შუასკნელი – შავისა და თეთრის გზასაყარი. ამ დროს დგება წითელ-მოყვითალო ფერის მზის ამოსვლისა (დაისი, ცისკარი) თუ ჩასვლის უამი. მიწისქვეშეთის დემონურ სამყაროს ზესკნელის ღვთაებათა პანთეონისაგან სწორედ შუასკნელი მიჯნავს.

ქრონოლოგიურ ეტაპებთან თუ არა (გველეშაპი – ხარი – ჭაბუქი), სინქრონულ გარდასახვასთან უცილობელად უნდა გვქონდეს საქმე. ზ. თანდილავა წყლის კულტის კვლევის პროცესში მივიდა დასკვნამდე, რომ ამ ტიპის მითოლოგებში ჩვენ წყლისადმი მსხვერპლთშერვის ჩვეულება უნდა ამოვიცნოთ. ავტორის აზრით, წყლისადმი მსხვერპლშეწირვის ჩვეულება ლეგენდა-თქმულებებში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი, რომლებიც ცალკეულ პიდრონიმებს – მდინარეებს, წყლებსა და ტბებს უკავშირდებიან და ხშირად გავრცელების არეალის თვალსაზრისით ლოკალური ხასიათის არიან, მაგრამ ისინი გენეტიკურად საერთო სარწმუნოებრივ საძირკველს უკავშირდებიან. მკვლევარს მოჰყავს აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში დამოწმებული თქმულება წმინდა ხარზე, რომლის თანახმადაც ადრე ამ სოფელში თურმე წყალი არ ყოფილა. იქ, სადაც ამჟამად სოფლის წყაროა, რომელიც გეგელიძეების წყაროდ იწოდება, სოფლის ხარს უბუღრავია და ამგვარად გამოუდევნია წყალი. გახარებულ ხალხს ეს ხარი წმინდა ხარად მიუწევია, იმავე წყაროს წყლისათვის შეუწირავთ – დაუკლავთ, ხორცი ხალხისათვის დაურიგებიათ და სისხლი წყალში ჩაუსხამთ. ამის შემდეგ ყოველი წლის ივლისის თვეში ტრადიციულად დაკლავდნენ ხოლმე ხარს, ხორცი ხალხს ურიგებდნენ, ხოლო სისხლს ასხამდნენ იმავე წყაროში. ეს ხარი ისეთივე ლამაზი და ბუღა ხარი უნდა ყოფილიყო, როგორიც ყოფილა წყლის გამომდენი თავდაპირველი ხარი (თანდილავა, 1984:36-37).

ძველ კოლხეთში მეფე აიეტის კარზე ოქროს საწმისს გველეშაპი იცავდა. ამ მითოლოგიურ სცენარში განსაკუთრებულ როლს ბუღა (შძრ. ხარ მხენელსა და ხარ მწარმოებელს) ხარიც თამაშობს, რაც, ბუნებრივია, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს (ძველ კოლხეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხარის კულტის ზოგიერთ ასპექტის შესახებ იხ. მგელაძე, 2007). შემთხვევითი არც კოლხურ თეთრზე ხარის გამოსახულება უნდა ყოფილიყო. ხშირად ხდება ისე, რომ წყლის მფლობელი გველეშაპი ბუღას ებრძის. ბუღა გველეშაპს ამარცხებს (რეხვიაშვილი, 1964:208-210). ხომ არ არის აქ იმის მინიშნება, რომ გველეშაპი უფრო ძველი ღვთაება თუ საკულტო არსება იყო ვიდრე ხარი?

ახლა შევუდგეთ ვეშაპთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცხოველის მგელ-ძაღლის არსის გარკვევას. მგლისა და ძაღლის მითოსური სახე მსოფლიოს ხალხთა რელიგიებში, რიტუალებში ფართოდაა წარმოდგენილი და ისინი ძირითადად ორ – დარაჯისა და მონადირის ფუნქციას ატარებენ. ქართულ ფოლკლორში ამ ორი მითოლოგიური არსების ურთიერთკავშირს ვ. ბარდაველიძე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს (Бардавелидзе, 1957:47-53).

ჩვენ გაკვრით შევეხებით ეგვიპტურ ანიბუსსა და ბერძნულ კურბერს, რომლებიც, ასევე, დაკავშირებულნი არიან ქთონურ სამყაროსთან.

**ანიბუსი (გელოვანი, 1983:59)** ეგვიპტური ღვთაება იყო. მისი ზოომორფული სახე გაიგივებულია ტურა-ძაღლთან. იგი უნათლესი ვარსკვლავის სირიუსის გენიაა, ვარსკვლავზე ზის დიდი ძაღლი (ქოფაკი) – ალფა. როგორც ვხედავთ მისი ასტრალური სახე, ასევე დიდი ძაღლის თანავარსკვლავთანაა იდენტიფიცირებული და აქედან ასტრონომიულად ნილოსის ადიდებასთანაც. ნილოსის მომყვან ღმერთ ხოპტის მის ორეულად რაცხდნენ. მისი ამოსვლა ცნობილი იყო, როგორც ძაღლის პერიოდი. მას ბერძნები ასტრიკონს – ძაღლის ვარსკვლავს უწოდებდნენ. ანიბუსი, როგორც მცველი და გუშაგი, მკვდარი საუფლო ღმერთის – ოსირის შვილად, მის განუყრელ თანამგზავრად ითვლებოდა. იგი გამორჩეული იყო ძაღლის თავითა და ადამიანის ტანით, ხელთ ეპურა გველდახვეული კვერთხი, სიბრძნის სიმბოლო. ანიბუსი განაგებდა ბალზამირებას და მიცვალებულები ქვესკნელში მიჟავდა. მოგვიანებით მას ტურის თავით გამოხატავდნენ (ჩაგანავა, ტუდუში, ხეცოიძე, 2007) ტურა და მგელი). მეფურად შემოსილ ანუბისს ხელში კვერთხი და ეგვიპტური ჯარი – ანქსი უჭირავს. მას თავვანს სცემდნენ ქალაქ კინოპოლისში (ძაღლების ქალაქი). იგი ღმერთებს ახლავს, როგორც ძაღლი ადამიანს და მისი ფუნქციაა

უდარაჯოს ქვესკნელს. კერძერი (დაწვრ. იხ. კუნ, 1955:152; შდრ. გრეივს, 1992:384) პომეროსთან მოხსენიებულია როგორც კიონ-აიდათ – პადესის ძაღლი, ქვესკნელის საზარელი სამთავიანი, ზოგი ვარიანტით ორმოცდათავიანი, ასთავიანი ურჩეული, ქოფაკი, ლითონის (ასთავიანი ურჩეული) და ექიდნებს (ქალგველა) ნაშიერი, გველეშაპისთავიანი (კისერზე გველები აქვს შემოხვეული), პუდიც გველისა აქვს, ზოგი ვერსიით მისი კუდი სრულდება გველეშაპის თავით. მოხსენიებულია ოეოგანაში კირაგოლისთან და სხვა ავტორებთან. ქართულ, უფრო ზუსტად, სვანურ ფოლკლორში გვხვდება „საიქიოს შავი ძაღლი“. იგი, ისევე, როგორც კერძერი პირიდან დუქსა და ცეცხლს აფრქვევს და დამეს ანათებს, რათა ძირს ჩასული მზეჭაბუკი დაინახოს და დაგლიჯოს<sup>6</sup>. საინტერესოა სოკრატეს ფიცი – „გვიცავ ძაღლს“, რათა დმერთები არ ეხსენებინა. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენ საქმე გვაქვს დვთაებრივ ძაღლებთან. ისინი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ქართული ეპოსის ყურშასთან, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

მგლისა და ძაღლის პარალელური სახეები და მათი კულტი გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. ისინი კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს ამჟღავნებენ ვეშაპის კულტად.

საქართველოში მგლ-ძაღლის კულტი უძველესია. იგი ტიპოლოგიური თვალთახედვით უძველეს ტოტემურ წარმოდგენებს უკავშირდება. განვითარების ადრეულ საფეხურებზე, ქართველურ ტომებს შორის მგლ-ძაღლი უფრო ფართოდ გავრცელებული ტოტემი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ხარი. 6. მარის აზრით, ძველი კოლხეთის სახელში – ეგრისში იმაღლება ძირი \*გერ-, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს მგელთან და გველთან. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ თუ რამდენად მართებელია ეს ეტიმოლოგია, რადგან სხვა უფრო დამაჯერებელი აზრიც არსებობს (ეგრისი-ეგურისი-გურია), თუმცა ეს ასეც რომ იყოს, იგი მაინც არ გამორიცხავს მგლ-ძაღლის კავშირს, ერთის მხრივ, ეგრისთან, ხოლო, მეორეს მხრივ, გურიასთან. ასევე, მის მჭიდრო კავშირს გველთან. ამ ტიპის ეტიმოლოგიებით არაერთი მეცნიერი იყო დაინტერესებული. მაგალითად, ი. მეშჩანინოვი ცდილობდა ორი მეგრული ანალოგიური ძირების მსგავსება (გუერ-გვილ და გუერ-მგელი) დაესაბუთებინა.

მგლის ან ძაღლის, უფრო ხშირად კი ძაღლის, როგორც ორმაგი ტყუპის ცალი დვთაების ხატი ცნობილია რემისა და რომულის სახითაც. ისინი მგლის ძუძუნაწოვნი არიან. მათი ანთროპომორფული სახე უნდა იყოს წყვილი მგელ-ძაღლები – გერმანიკული ოდინ-ვოტანი. ცნობილია აგრეთვე ძაღლების წყვილი – მწევარნი ხევსურულ მითოსში. კოლხურ მითოლოგიაში კი ტყუპი ძაღლი ალშკინტორი, რომლის გამოსახულება რგოლით შეერთებული, გადაჭრილი წყვილი ძაღლია.

ვ. ივანოვი თავის წერილში, რომელიც მგლის კულტს ეხება აღნიშნავს, რომ ალაშკანდარი აფხაზურ საბრძოლო ხომალდს ეწოდებოდა, რაც წარმოადგენდა ძველი გერმანული ზოომორფული კენიგების პარალელს. იგი გვეუბნება: «наименование абхазских боевых судов-лодок алешкандари». ამ ნავს მოიხსენიებს ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“, მაგრამ ვ. ივანოვს ეს ცნობა აღებული აქვს ც. ბუანიას წიგნიდან «Из истории хозяйства и культуры абхазов» (ბუანია, 1973:224). ჩვენ პირდაპირ ვახუშტის ჩანაწერებს მივმართეთ. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში ალაშკანდარი საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ მოხსენიებულია ოლეჭკანდარი – „ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი, წერწეტნი,

<sup>6</sup> შეადარეთ ჰერეკლეს მეთორმეტე გმირობას, რომელიც იყო მისი ბოლო და უმძიმესი, გადაულახავი ბარიერების ქონება გმირობა. მიწისქვეშეთის მცველი ძაღლი ჰერეკლემ დაამარცხა და ჰადესიდან გამოიყვანა (იხ. გრეივს, 1992:384). აქ აშკარაა ბერძნული მოთოლოგიური პერსონაჟის – ჰერეკლესა და ქართული (სვანური) მზეჭაბუკის ტიპოლოგიური თანხვედრილობა.

მპარვანი, ავაზაქნი, ზღუათა შინა მავალნი ოლეჭკანდისებითა (ბატონიშვილი, 1983:785). სულხან საბა თრბელიანთან ოლეჭკანდარი ან ოლაჭკანდარი განმარტებულია როგორც მომცრო კატარდა. თუ რატომ პქვია კატარდას ოლეჭკანდარი საბა ამის შესახებ არაფერს გვეუბნება. სიტყვის ერთი ნაწილი \*ჭკად- ჭედვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თ. ბერაძის წიგნში წავაწყდით ასეთ განმარტებას: „ეს ტერმინი გამოჩენილი მეცნიერის ნიკო მარის აზრით, მეგრული ოლეჭკანდუადან მოდის, რაც გადაჭედილს ნიშნავს. როგორც ჩანს ჩვენს წინაპრებს ახალი ტიპის ნავისათვის სახელის დარქმევის დროს, ყურადღება მიუქცევიათ იმ ტექნიკური სიახლისათვის (გვერდებზე ფიცრების მიჯედება), რომელიც ოლაჭკანდარს ნუშა ტიპის ნავისაგან განსხვავებით გააჩნდა“ (ბერაძე, 1941:65). ასე რომ «наименование абхазских боевых судов-лодок aleskandari» ვახუშტისთან ამ ფორმით არ არის ნახსენები, მაგრამ შეიძლება ალეშკანდარი, მეგრული ოლეჭკანდარის აფხაზური ვარიანტი იყოს.

მგლისა და ძაღლის კულტების გავრცელებაზე მიგვითოთებს ქართული ონომასტიკაც. ასეთია: მგელიკა, ძაღლიკა, მგელაძე, გელაძე... სვანურ მითოსში მგელი წმიდა ჯგრაგის მხლებულია და ებრძვის დალებს, ხოლო ვ. ბარდაველიძის მოწმობით სვანურ რიტუალურ ჭოკებზე წამოცმული იყო მგლის ტყავი. იგი ხშირად ფიგურირებს ბალადებსა და ხალხურ ლექსებში, ამირანიანის ეპოსში. ძაღლები გამოსახულია აგრეთვე თრიალეთის ვერცხლის თასზე სიცოცხლის ხესთან და ასევე ძაღლის თუ მგლის ტყავმოსხმული ადამიანების რიტუალური მსვლელობის ფონზე. ყველაზე უფრო დიდი ნივთიერი საბუთი კი ყობანური და კოლხური ცულებია, რომლებზეც ხშირადაა გამოხატული ძაღლი. შიდა ქართლში თლიის სამარონვების გათხრების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები, სადაც ძაღლები გამოსახულია არიან კომპოზიციაში თევზთან და გველთან ერთად. ამ მხრივ საინტერესოა სამთავროს ნეკროპოლის ბრინჯაოს ქამარი, რომელზეც გამოხატული არიან, ასევე, ძაღლები თევზებთან კომპოზიციაში. საყურადღებოა ერთი კომპოზიციაც (ურუშაძე, 1980:72). ორი მხრიდან სტილიზებულ „ზიგზაგებს“ (ზიგზაგი წყლის სიმბოლო) შორის წარმოდგენილია თევზი. მის წინაა ძაღლი, რომელსაც კუდი სამკუთხედით უმთავრდება და აშკარად ყველა კუდის ქვეშ სოლარული ნიშანია გამოსახული. ჩვენ არ შევუდგებით ამ კომპოზიციის სემანტიკის გაშიფრვას. აქ საინტერესოა ძაღლი თევზთან ერთად და კიდევ უფრო ის, რომ მას გველის კუდი აქვს. ძაღლი გველთან ერთად კომპოზიციაში დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო რეგიონში – ხიხანის ხეობაში, სოფელ კალოთაში, სადაც სამი გრავირებული ცული აღმოჩნდა (კახიძე, დავითაძე, მამულაძე, 1981:89). სხალთის ხეობის სოფელ ფუშრუკაულსა და ვერნებშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს ცულები, რომლებზეც, ასევე, ძაღლის სტილიზებული ფიგურებია გამოსახული. იქვე კონცენტრირებულია წრეები, დატანილია ჯვარი, მზე, გველი, და ზიგზაგები, წყლისა და ურთიერთგადამკვეთო ბადისებური ხაზები, მიწის სიმბოლოები. ჩრდილოეთ კავკასიაში სტანიცა ზემოვსკის ვეშაპზე ძაღლის სახით გამოსახულია დრაკონი, დაღებული ხახით. ამავე დროს ჩანს, რომ იგი ზღვის ურჩხულია. სამივე მათგანზე გამოსახულია ძაღლი, ორ მათგანზე კი ძაღლისა და გველის კომპოზიცია, სადაც მათი თავები ერთმანეთს ებჯინება, სხეულის შიგნით კი ჩახატული აქვთ კონცენტრირებული წრეები, მაგრამ აქ კუდი უკვე სამკუთხედით აღარ მთავრდება<sup>7</sup>. ნიშანდობლივია, რომ ამ ტიპის კომპოზიციებში ჩართულია კიდევ ერთი მითოლოგიური არსება – ირემი, რომელსაც საკრალურ გარემოში (შდრ. „ირმის ნახტომს“) მრავალფუნქციური ადგილი უკავია. სამთავროს ნეკროპოლის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი სარტყლის გამოსახულებების შემსრულებელი სამიწათმოქმედო ინტერესების ასახვიდან გამომდინარე მიმართავს ორ უმველეს სიმბოლოს – კომპოზიციის

<sup>7</sup> კავკასიაში ძაღლის კულტის შესახებ იხ. **Миллер**, 1922.

მარცხენა მხარეს მებრძოლი ირმების მახლობლად თევზთან და მგელ-ძაღლთან შესატყვისობაში მხვნელის მონაწილეობას. ისინი სარტყელის გამოსახულებებზე ყოველთვის მონაწილეობები ისეთ სცენებში, რომლებიც უკავშირდებიან სამეურნეო სამუშაოების დაწყებას (**Урушадзе**, 1980:71).

ქართულ ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებში ძაღლს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი საკრალური სახე ქართული ფოლკლორის ჟანრებიდან უკელაზე უკეთ ზღაპრებსა და მითოლოგიურ გადმოცემებშია ასახული, თუმცა არანაკლები მასალებია შემორჩენილი ეთნოგრაფიულ, ცოცხალ ყოფაშიც. დღემდება შემონახული შეხედულება ძაღლის უძუილთან დაკავშირებით, რაც ხალხური გაგებით ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილის მომასწავებელია. აქ მკაფიოდ ჩანს ძაღლის სხვადასხვა ფუნქციასთან ერთად მისი დემონური ფუნქციაც. ყმუილი, როგორც სიკვდილის მომასწავებელი, ხაზს უსვამს ძაღლის კავშირს მიწისქვეშეთის სამყაროსთან – ქორნულ ღვთაებებთან.

თევზის და ძაღლის, გველის და ძაღლის შეხვედრები ხშირია, მაგრამ უკელაზე უფრო დიდ ინტერესს იწვევს მაინც ცხოველი, რომელიც გველ-ძაღლია. ამ შემოხვევაში გველ-ძაღლის მიმართ ჩვენი უურადღება განპირობებულია იმით, რომ ძაღლი გველთან ერთად კომპოზიციაში დადასტურდა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში – ხიხანის ხეობაში, სოფელ კალოთაში, სადაც, როგორც აღინიშნა, სამი გრავირებული ცული აღმოჩნდა.

ინდოევროპულ ენებში არის სიტყვა ვიდრა, რომელიც რუსულში წავს ნიშნავს. ძველ ინდურში უდრა წყლის ცხოველი, ხოლო ბერძნულად ჰიდრა წყლის გველია (**Фасмер**, 1904). კელტურად ვიდრა წყლის ძაღლს აღნიშნავს, რომელიც შინაგანი ფორმით ემთხვევა ქართულ m-caw-zaxli (**Иванов**, 1980:59). როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ ვიდრა ძირის სიტყვა წყლის გველი ან წყლის ძაღლია. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბერძნული მითოსის ჰიდრა (წყლის გველი) – ცხრათავიანი გველებაპი, ლერნეს ჭაობის საშინელება, ექიდნესა და ტითონის ნაშობი (კუნი, 1965:372). ექიდნესა და ტითონის ნაშობია აგრეთვე კერბერი – სამთავიანი ძაღლი, რომელიც კავშირშია ქვესკნელთან. იგი, როგორც აღინიშნა, ჰადესის კარიბჭეს დარაჯობს. შემდგომ კერბერი, ისე, როგორც ჰიდრა, ჰერეკლემ მოკლა. გარდა იმისა, რომ სამი თავი ჰქონდა კერბერს კისერზე გველები ეხვივნენ და ჩვენ უკვე ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ მისი კუდი უზარმაზარი პირდაღებული დრაკონის თავით ბოლოვდებოდა (კუნი, 1965:58). ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გვიდასტურებს ძაღლის გველთან და გველებაპთან, როგორც მიწისქვეშეთის ბინადრებთან, ფუნქციურ კავშირულიერთობას. ნიშანდობლივია ისიც, რომ კერბერს, ჩვენი კოლხური ძაღლივით კუდი გველისა ქონდა. ბერძნული კერბერის მსგავსად ხომ არ იყო კოლხური კერბერიც მიწისქვეშა სამყაროს დარაჯი. საინტერესოა აგრეთვე, რომ ჰიდრასა და კერბერის მშობლები ექიდნა ქალგველა, ხოლო მამა ტითონი უზარმაზარი ურჩხული იყო, რომელსაც 100 თავი ჰქონდა. იგი ზევსთან მებრძოლი იყო. ადრე მცირე აზიაში ცხოვრობდა, შემდგომ კი როცა სიცილიასა და იტალიას მიაღვა, იგი შებოჭეს და ეტნას წიაღში ჩააგდეს. ხახიდან ხან დმერთების ხმა ამოსდიოდა, ხან ხარის ბდავილი, ხან ძაღლის ყეფა, ხანაც გველივით სისინებდა (კუნი, 1965:363). ტითონში თავმოყრილი იყო ვეშაპთან, უფრო სწორად, უკვე გველებაპთან დაკავშირებული თითქმის ყველა ცხოველი: ხარი, ძაღლი, გველი. ქართულში არსებობს ისეთი სემანტიკური გადასვლები, როგორიცაა გველი→ჭია→ჭიაყელა→ხვლიკი→გველებაპი. დასადგენია გველი და გველებაპი, როგორც ქორნული ღვთაებები – მიწისქვეშეთის სიმბოლოები (იხ. ქართული სიტყვა ქვეწარმავალი), უძველეს ხანებში, საგაზაფხულო-საშემოდგომო სამეურნეო ციკლის ფარგლებში იმავდროულად განეკუთვნებოდა თუ არა მოკვდავ და აღდგენად ღვთაებათა რიცხვს, თუმცა ერთი რამ – გველის საკულტო და სარიტუალო დანიშნულება ფაქტია. ქართველი ხალხის ტრადიციულ

საზოგადოებრივი მისი სახელი ტაბუირებულია. იგი უსსენებელი და უსახელო'ა. ტაბუირებული გველის სახელის ნაცვლად სხადასხვა სუბსტრატი გამოიყენება ქართული ენის მეგრულ განტოტებაში და სხვა ენობრივ განშტოებებსა თუ დიალექტებში: სამეგრელოში უჩა-ლართაში ანუ შავ-ჩოხოსანი, თუდო გილერსარგალუ – მიწაზე მხოხავი (შდრ. **კიპშიძე**, 1914), სვანეთში – მეზირ სალოცავის მნიშვნელობით, რაჭასა და ლეჩეუმში უნასი – წყეული, დასავლეთ საქართველოს რიგ მხარეში, მათ შორის აჭარაში უსსენებელი და უსახელო. საინგერებოა გველის აფხაზური სახელწოდებაც: ა-მაათ/ა-ჰააზა – მცოცავი, მხოხავი, (საქართველოში გველისა და სხვა კულტების შესახებ დაწვრ. იხ. აბაკელია, 1997:5-6). მითოლოგიური ტრადიციის თანახმად და ხალხური რწმენით გველი ბრძენია. გველს შეუძლია ადამიანი ყოველგვარი სულიერის ენის მიხვდრის უნარით დასასაჩუქროს. აჭარული ზღაპრების მიხედვითაც გველს ხელეწიფებოდა მისი კეთილისმყოფელისათვის, ყველა სულიერისა და უსულოსათვის ენის წვერით ენის ცოდნა გადაეცა (იხ. რჩეული..., 1949:140). ზემო აჭარაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ის პირი, რომელიც ცოცხალი გველისათვის ენის ამოძრობას შეძლებდა მაგიურ თვისებებს იძენდა, თუმცა ამის მისაღწევად ენა მუდმივად – ჯადოს სახით უნდა ეტარებინა (ზოიძე, 2005:228). ამაშიც გამოიხატება გველის დოვლათიანობისა და ნაყოფიერების ფუნქცია. სხვა მასალებით, იცოდნენ არა მხოლოდ გველის პერანგის, არამედ ენის შენახვაც. ენას ხშირად ჯიბითაც ატარებდნენ ან საქონდის სადგომის შესასვლელში ჩამოკიდებდნენ. იგი გველის პერანგის მსგავსად ამულეტად – გათვალისწინებული გამოიყენებოდა. მიმართავდნენ გველის ენისა და ხერხემლის ძვლის აკვნის ქვეშ შემოდების ან აკვანზე შებმის ჩვეულებასაც – „ბავშვს ავი თვალი არ მიეკარება, იგი ენამახვილი გამოვაო“ (იხ. ფარგენაძე, 1992:108). განსაზღვრულ შემთხვევებში ამა თუ იმ ტიპის გველი ფუძის მფარველად, ფუძის ანგელოზად მიიჩნეოდა და მისი კარ-მიდამოში მოკვლა იკრძალებოდა, უფრო ზუსტად, თაყვანისცემის საგანი იყო არა ყოველგვარი გველი, არამედ კარ-მიდამოში შენიშნული შავი გველი. ეს იყო „ოჯახის გველი“, რომელიც კარ-მიდამოს მფარველობდა და ოჯახის კეთილდღეობას განსაზღვრავდა. მისი წყენინება ან მოკვლა უბედურების მომასწავებელი იყო (იხ. ხახუტაიშვილი, 1995:98). ფუძის მფარველ გველს კარ-მიდამოში ან სახლის საძირკველთან ხშირად ჯამით რძესაც უდგამდნენ – ესიამოვნებათ. 1977 წელს ეთნოგრაფების მიერ სოფელ კალოთას (სხალთის – ხიხაძირის ხეობა) ერთ-ერთი მკვიდრის ოჯახში დადასტურდა წიფლის ხისგან გამოქანდაკებული ოდნავ დაკლაკნილი გველის გამოსახულება. ქვეწარმავალის თავი ქვემოთაა დახსრილი მცირე ზომის ფიალისაკენ. გველის ეს ქანდაკება მფლობელთა განმარტებით ავი თვალისა და ავი სულების საწინააღმდეგოდ იყო გამოკვეთილი (ვარშალომიძე, 1979:75). არაა გამორიცხული ეს ფიალა გამოხატავდეს რძის ჯამს, რომლითაც შავ გველს კეთილგანწყობის მიზნით და მფარველობის მოსაპოვებლად ოჯახი უმასპინძლდებოდა.

შავ-ჩოხოსანი გველი ხშირად იხსენიება ქართულ ლოცვებშიც, სადაც პირდაპირაა აქცენტი გაკეთებული გველის ქორნურობაზე – მიწისქვეშეთისათვის დამახასიათებელ შავ ფერთან კონტექსტში.

გველთან დაკავშირებით საქართველოში მრავალფეროვანი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალებია გამოვლენილი. ამ მხრივ განსაკუთრებით აჭარის მთიანეთი გამოირჩევა, სადაც გველი სხვადასხვა ტიპის საკრალურ გარემოში მრავალი ფუნქციის მატარებელ არსებად წარმოგვიდგება. მასთან დაკავშირებული იყო რიგი ბუნებრივი მოვლენა თუ ადამიანისათვის აუცილებელი მხარდაჭერის ფუნქცია. იგი იყო ადამიანის მოდგმის წინაპარი და ოჯახის მფარველი, ამინდის

მმართველი, წყლის მფლობელი, ნაყოფიერებისა და მარადიულობის სიმბოლო, გრძნეული, მიცვალებული სული და სხვა<sup>8</sup>.

ქართველებში ძველად არსებობდა წარმოდგენები ბოროტი და კეთილი არსებების გველის პერანგით შემოსვის შესახებ. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ შეიძლება ეს მიანიშნებდეს კეთილი და ბოროტი ანგელოზების არსებობაზე (რეხვიაშვილი, 1964:210). აქ კარგი იქნება თუ გავიხსენებო თქმულებათა ვარიაციებს ამირანის შესახებ – ბოროტი სულების წინააღმეგ მებრძოლ სულკალმახს წელზე გველის პერანგი აქვს შემორტყმული. აჭარაში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით გველის ტყავი სამკურნალო თვისებების შემცველია და ადამიანისათვის წარმატების მომტანი. მას ხშირად ინახავდნენ კიდეც (გველის კულტის ზოგიერთი ამ და სხვა საკითხების შესახებ აჭარასა და საქართველოს შავიზღვისპირეთში იხ. ხახუტაიშვილი, მგელაძე, 2005:158-160). სამკურნალო დანიშნულებით გველის ცალკეული ნაწილის გამოყენება ფართოდ იყო გავრცელებული. სამკურნალო მიზნით ოჯახში შენახულ გველის ტყავს აჭარის მთიანეთის ოჯახებში დღესაც შეხვდებით. მიმართავდნენ გველის პერანგით დახრჩოლებას, რომელიც ტრადიციული შეხედულებით ცხროს ანუ ციებას (მალარიას) და უქმურს კურნავდა. გველის დამარხვის ადგილზე რამდენჯერმე გაგორება წელის ტკივილებს არჩენდა. უკვე დადგენილია გველის ნაკენით მკურნალობის ხალხური საშუალებებიც. ირკვევა, რომ ყველაზე ეფექტური საშუალება იყო ნაკენი ადგილის შინაური თხილის ფოთლის ნახარშში დაშუშება. სამკურნალოდ გამოიყენებოდა აგრეთვე ბალახი, რომელსაც ლაკარტა ეწოდება. მკურნალობა სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა (ფარტენაძე, 1992).

საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ აჭარაში – ბობოვათის ქვიშაზვინულების ნასახლარებზე აღმოჩენილი თიხის ფილები გველის გამოსახულებებით სარიტუალო საგნები ჩანს (თავამაიშვილი, 1987:30-41). დ. ხახუტაიშვილის დაკვირვებით ამგვარი შემკულობის ფილები აქ წარმოებული სამკურნეო საქმიანობის (მაგნეტიტის მოპოვება, მეთევზეობა,...) წარმატების გარანტი უნდა ყოფილიყო, ისე, როგორც ეს შეიძლება ითქვას საბერველების საქმეს მიღებზე დაძერწილ გველის გამოსახულებების შესახებაც. ქობულეთში, ისპაანის ტორფქვეშა ნამოსახლარებზე არქეოლოგების მიერ უკვე კარგა ხანია

<sup>8</sup> გვალვების დროს ამინდის ღვთაებისათვის წვიმის გამოთხოვის მიზნით იცოდნენ გველის მოკვლა. მოკლულ გველს თუ ხის ტოტზე ან სარზე ჩამოკიდებდნენ უსათუოდ გაწვიმდებოდა, ძველი სტილით აპრილის პირველ ოთხშაბათს ტყეში შეშის მოჭრასა და სახლში მიტანას ერიდებოდნენ – გვალვები დადგებაო. დიდი ხუთშაბათის მომდევნო წითელ პარასკევს სრულდებოდა გველის კულტოან დაგავშირებული გზობის (შდრ. გზობის დღესასწაული ანუ გველების დღეობა, ყურადღებას იქცევს გზობის დღესასწაულთან შინაარსობრივად ახლოს მდგომი გარგნობის დღის ციელის რიტუალები – გველისა და კაცის (წყლის კაცი) ურთიერთობებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, რომელიც გზობისაგან განსხვავებით ძველი სტილით აპრილის პირველ ოთხშაბათს ემთხვევა. არც ამ დღეს შეიძლებოდა ტყიდან შეშის მოტანა, რადგან ხის მჭრელს სახლში გველი მოჰყებოდა, რომელიც კარ-მიდამოს აღარ მოსცილდებოდა. გარგნობის დღეს ეზოდან ოთხში წყლის შეტანასაც ერიდებოდნენ, რადგან ხალხური შეხედულებით სახლში ლოქორია (ლოკონია) დაისადგურებდა. ამ თემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ გამოკვლევაში გარგნობა გარგანთან – ჯოხოდა დაკავშირებული. ჯოხი კი გველთან ასოცირდება. სულხან საბა ორბელანი გარას განმარტავს როგორც „გრძლად თრ კაპი ჯოხი“ (ორბელიანი, 1949:68). ჩრდილო კაგასიურში – ვაინახურში, კონკრეტულად კი ჩეხნურ-ინგუშურში გარ აღნიშნავს მორის ნაფოტს (Чечено-ингушский..., 1962:99), ხოლო საქუთრივ ჩეხნურში გარ(ა) ნიშნავს გვარს, თაობას (შდრ. მგელაძე, 2002:108-120; 2005:80-81), ამასთანვე განაყოფი მორის ნაფოტს (Чечено-русский..., 1961). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აჭარაში დადასტურებული მითოლოგიური და შრომის პროცესში შესრულებული ლუქს-სიმღერები: „გველი ხრილსა მდვინვარებდა“, „შარშანდელსა ნაყანებსა“, ხადაც ხაუბარია გველისა და ოჯახის ნაბოლარა გოგონას ურთიერთობებზე. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქალის გველზე მითხვება და ქალის დაღუპვა ყაჩების, მოსავლის ბარაქიანობისათვის გადგჲლ მსხვერპლს წარმოადგენდა (დაწვრ. იხ. ხოლაიდე, 1935:50; ჩხეიძე, 1961:90; ხახუტაიშვილი, 1995:96; ფარტენაძე, 1992:106-112; თავდგირიძე, 2004:112-123; ზოიძე, 2005:228).

ადმოჩენილია გველის სქემატური გამოსახულება. გველი ერთ-ერთ მინიატურულ, აბაზანის ფორმის ტიგელზეა დატანილი. გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში გველის გამოსახულებას, როგორც აღინიშნა, რკინისსადნობი ქურების საბერველთა საქშენ თიხის მიღებზე აძერწავდნენ, ისე, როგორც თიხის სადგრებზე, თიხის ჭურჭლებზე, ბრინჯაოს ფიბულებზე, ბრინჯაოს პინცეტებზე, ბრინჯაოს ბალთებზე, ბრინჯაოს სარტყლებზე, სარიტუალო საკიდებზე, ბრინჯაოს კოლხურ ცულებზე. ამ უკანასკნელთან გველის გამოსახულება გვხვდება მშვილდისრიან მონადირესთან, თევზებთან, ფანტასტიკურ ცხოველებთან და მზის გამოსახულებებთან ერთად (შესაბამისი გრაფიკული გამოსახულებები და ილუსტრაცია იხ. ხახუტაიშვილი, 195:97).

სამეცნიერო ლიტერატურაში ვარაუდობენ, რომ ბუნების დიდი დედის, შემდეგდროინდელი ცხოველთა მფარველი ღვთაების, ზოომორფული ინკარნაციები: გველი, ძაღლი, ირემი, ტახი, ფრინველი, თევზი არსებათა ერთ კატეგორიას განეცუთვნებოდნენ. ამ მითოლოგიურ სახეებში ჩვენ ერთი და იმავე ქალღვთაების სხვადასხვა გააზრებასთან უნდა გვქონდეს საქშე. ქართული ფოლკლორული მასალების ანალიზით დადგენილია, რომ გველი, ისე, როგორც ირემი, ფრინველი და თევზი ფლობდა ისეთ თვისებებს, რომელთაც ადამიანისათვის ხან კეთილდღეობა, ხან კი უბედურება მოჰქონდა. ეს მითოლოგიური სახეები ავლენდნენ კავშირს სხვადასხვა სახის ღვთაებებთან – ზოომორფულ, ადგილის, წყლისა და ზეცის ღვთაებებთან. აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ გველის, როგორც მავნე არსების გააზრება შედარებით გვიანდელია (იხ. ხიდაშელი, 1982:6, 61, 63). უფრო მეტიც, ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, რომ გველისათვის ოჯახის მფარველის, ღოვლათიანობისა და ნაყოფიერების ფუნქციის დაკისრება, მისი სხეულის ცალკეული ნაწილის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება და მათვის მაგიური უნარ-თვისებების მიწერა უნდა მომდინარეობდეს ტოტემური რწმენა-წარმოდგენებიდან, რაც უფრო არქაული ჩანს, ვიდრე მისი ბოროტებისა და ბოროტი ძალების სიმბოლური განსახიერება. ავტორთა ერთი ნაწილის დასკვნით, გველთან დაკავშირებული სინთეზირებული შეხედულებებიდან ადამიანის კეთილდღეობის, ავი სულებისაგან დამცველის, ადამიანისათვის სიცოცხლის მიმნიჭებლის, ნაყოფიერების ფუნქცია მისი საწყისი, თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო (ფარტენაძე, 1992:109). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ უნდა გაირკვეს გველის კულტის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართებებიც, ერთის მხრივ, ვეშაპოიდების კომპლექსის საკრალურ არსებებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ქონურ ღვთაებებთან, დემონურ სამყაროსთან და მიწისქვეშეთის შავი ფერის სიმბოლოებთან<sup>9</sup>. საკუთრივ ზოომორფულ კულტთა ხანდაზმულობა რომ აშკარაა ეს ცხადია. მ. ხიდაშელი მიიჩნევს, რომ კავკასიური ცხოველური სტილი წარმოადგენს დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ, ჩამოყალიბებულ ერთ მხატვრულ მიმდინარეობას, რომელიც სტილისტური ერთიანობით გამოირჩევა. იგი დაახლოებით ძვ. წ. IX საუკუნის ბოლოსა და ძვ. წ. VII საუკუნის ბოლომდე განაგრძობდა არსებობას. ავტორის შეხედულებით ამიერკავკასიაში მოსახლე ტომების ისტორიაში მოხდა უდიდესი სოციალური ძვრები და შესაბამისად გართულდა საზოგადოების რელიგიური ცხოვრებაც, რაზეც მეტყველებს ამიერკავკასიაში აღმოჩენილი მსხვილი საკულტო ცენტრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ დიდი და მდიდარი სატაძრო მეურნეობით, ღვთაებისადმი შეწირული მრავალრიცხვანი ნივთებით (ხიდაშელი, 1982:50). ერთი რამ ცხადია, დასახელებული საკულტო სიმბოლოების კავშირი ნაყოფიერებასთან

<sup>9</sup> აქვე გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანთა მოდგმის წინაპრების – ადამისა და ევას შესახებ ბიბლიური გადმოცემა, რომელთა სამოთხის გარეთა ცხოვრება სწორედ გველის ცბიერების საფუძველზე განისაზღვრა. თუ მივიჩნევთ, რომ ეს ბიბლიური თქმულება სხვებთან შედარებით არანაკლებ ძველია, მაშინ უნდა დაკონკრეტდეს გველის კეთილი და ბოროტი ფუნქციების თანმიმდევრობაზე არსებული შეხედულების ცალკეული დეტალი.

აშკარაა. ნაყოფიერების დვთაებები კი რელიგიურ პანთეონში უძველეს დვთაებათა რიგს განეკუთვნებოდნენ, რადგან ისინი იყვნენ სამეურნეო პეთოლდლების მფარველები, რაც ადამიანის ცხოვრების უზრუნველყოფის პრიორიტეტულ საფუძველს წარმოადგენდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის აჭარაში დაფიქსირებული ზღაპრები ამაზე უშუალოდ მიუთითებს. არსებობს გველის გადაყლაპვის მრავალი ვერსია. აჭარული ზღაპარის – „ჩობანის“ მიხედვით ირკვევა, რომ ქალს მუცელში გველებაპი ყავს, ხოლო „შაჰადეს“ თანახმად ქალის მუცელში გველია (ნოლაიდელი, 1935:95, 106, 116). ფშავში მშობიარობის გართულების შემთხვევაში ქმარი ადიოდა ცალკე მდგარი, საგანგებოდ მშობიარობისათვის აგებული შენობის სახურავზე და უწმინდური და ბოროტი ძალების განდევნის მიზნით თოვს ისვრიდა. ამით ქმარი ცოლს მშობიარობას უმსუბუქებდა. შემდგომ მასთან მიდიოდა პირი, რომელმაც შეძლო ბაყაყის გველისაგან განთავისუფლება. ეს პირი აძლევდა მშობიარეს წყალს და თან წარმოთქვამდა: „მე გავაცალკავე გველი და ბაყაყი, დედავ შვილისგან განცალკევდით“. ამას სამჯერ იმეორებდა. ზოგჯერ მშობიარეს აძლევდნენ წყალს, რომელშიც თევზის კუდი იყო გარეცხილი (**Макалатия**, 1938:112).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გველის ისეთ უნივერსალურ სიმბოლოსთან კავშირი, როგორიც წყალი იყო. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამას გვიდასტურებს წვიმის გამოთხოვის მიზნით გველის მოკვლის ჩვეულება, გვალვის საწინააღმდეგოდ ძვ. სტილით აპრილის პირველ ოთხშაბათს შეშის სახლში მიტანის ტაბუირება, გზობის დღესასწაული ანუ გველების დღეობა, გარგნობა და სხვა. აჭარაში ჩაწერილი, წარლენის თემატიკის ეთნოგრაფიული და ფოლკლური მასალა შეიცავს გადმოცემათა სხვადასხვა ვარიანტს, რომელთა შორის ერთ-ერთი უშუალოდ გველის კულტთანაა დაკავშირებული. თქმულების თანახმად, „დუნიის დაჭცვის დროს ხალხი გემით მიდიოდა თავის გადასარჩენად. თაგვს გემის კედელი გამოუხრია, გემიც წყლით აგსებულა და ჩაძირვა დაუწყია. ხალხს უცილობელი დაღუპვა მოელოდა. ამ დროს გველი გამოდგმულა ხვრელში, რითაც გემში წყლის დაგუბება შეწყვეტილა, სამაგიეროდ გველს მოუთხოვია, რომ მას ადამიანზე კბენის უფლება ქონდა. თავდაპირველად დათანხმებულან, შემდეგ კი ამაზე უარი უთქვამთ და გველი მოუკლავთ, დაუწყიათ და მისი ფერფლი გადაუყრიათ. ქარს ფერფლი ადამიანზე შეუყრია. თითქოს აქედან გაჩენილან ადამიანის პარაზიტები – ტილი და ბაღლინჯო“ (ფარტენაძე, 1992:109). წყალთან გველის პირდაპირ კავშირზე მიუთითებს ვეშაპოდების ციკლთან დაკავშირებული გადმოცემები და გრაფიკული მონაცემები. შემთხვევითი არაა აჭარაში, ხიხაძირის ხეობაში ვეშაპოდების ციკლის მეგალითური ძეგლის აღმოჩენა, ასევე კოლხურ ცულებზე საკუთრივ გველი და წყლის სიმბოლოები – ზიგზაგები რომ დასტურდება. გველისა და წყლის მფარველი, თუ წყლის დვთაების თემატიკაზე აჭარის ხეობებში ჩაწერილი მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა ამ რეალობის პირდაპირი დადასტურებაა.

ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, კოლხურ რწმენა-წარმოდგენებებში, ასევე, არსებობს წყლისა და ძაღლის კავშირის კიდევ რამდენიმე დადასტურება. **მესეფები** – ნადირთ პატრონები, რომლებთანაც ამინდის ცვალებადობაც იყო დაკავშირებული, ზღვიდან ამოდიოდნენ და თან ორი ძაღლი ამოპყვებოდათ ხოლმე (შდრ. თანდილაგა, 1976; 1978:3-43; 1981). ესეც საკმარისი იქნებოდა ძაღლის კულტის წყალთან დასაკავშირებლად, მაგრამ გვინდა კიდევ ერთი ძაღლის – ქართული ფოლკლორის გამორჩეული გმირის – ყურშას ფუნქციურ იერსახესაც შევეხოთ. ქართულ სამონადირეო ეპოსში – ამირანიანის სხვადასხვა ლექსში ხშირად ჩნდება ძაღლი ყურშა, რომლის სახელი ხალხური ეტიმოლოგიით ყურშავია. ძალზე საინტერესოა ყურშას გარეგნობის მეტაფორული აღწერა: „ყურშას ყურ-ტუჩი ოქროსი ასხია“: ოქრო დვთაებრიობის, მზესთან წილნაყარობის სიმბოლოა. ამირანს ხომ ოქროს კბილი ქონდა. ყურშას თვალები „მთვარის ოდენაა“, ამირანის თვალები

კი „საცრის ოდენა“, ყურშას წარბები – გველებია. როცა მზეთუნახავზეა გამოთქმული მსგავსი შედარება, ის მართლაც პოეტური შედარებაა, ყურშას შემთხვევაში მათი გველობა საფიქრებელიც კია. გავიხსენოთ კერძერს ყელზე სამი გველი ეხვია. ყურშას ნახტომი ქვეყნის ოდენია, ხოლო მისი ყეფა ქუხილია. ეს ყველაფერი დვთაებრივი რეგალიებია და მას ორ სკენელთან – ზესკნელთან და ქვესკნელთან აკავშირებს. მის დვთაებრიობას ელ. ვირსალაძეც ადასტურებს: „ჩვენამდე მოღწეული ყურშას სიმღერა წარმოადგენს საგალობელს, პიმნს, ქებას, მიმართულს ზებუნებრივი არსებისადმი, რომლისგანაც, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო ადრეული წარმოდგენებით, მონადირის ბედ-იდბალი (ვირსალაძე, 1964:66). ირკვევა, რომ ყურშას დვთაებრივ იერარქიაში უფრო მაღალი აღგილი ეჭირა. ამ მხრივ საინტერესოა გალექსილი თქმულება ყურშაო. ეს ლექსი მოხსენიებულია დავით გურამიშვილთან და დავით მაჩაბელთან (სვანიძე, 1957:148). მიუხედავად იმისა, რომ თქმულება გვიან უნდა იყოს გალექსილი და გადაკეთების კვალიც აჩნია, მასში მაინც ჩანს არქაული პლასტი. ჩვენ მხოლოდ ერთ სტროფს მოვიყვანთ ჩვენი მსჯელობის გასამყარებლად:

„ეგ არც ფრინველი, არც ოთხფეხია  
თითქოს ერთიც და მეორეც არის  
ეგ დვთისაგან დაწყევლილია  
და მცველი ჯოჯოხეთის კარისა“ (სვანიძე, 1957:115).

აქ გარკვევით ჩანს მისი კავშირი ქთონურ სამყაროსთან. „ქართულ ხალხურ სიმღერებში“ გაერთიანებულია კიდევ ერთი ჩვენთვის საყურადღებო ლექსი:

„ძაღლისა თავი ჰქონია  
ფრინველის ფრთები მხარზედა“ (სვანიძე, 1957:119).

აქ უკვე ყურშას ზესკნელთან წილნაყარობაც დასტურდება. ძაღლის (/მგელის) ფუნქციებში ხშირად გამოკვეთილია კავშირი ასტრალურ დვთაებებთანაც. იგი ხშირად ამ ტიპის დვთაებების დამხმარევ წარმოჩნდება (Бардавелиძე, 1957:37-53).

გამორიცხული არაა, რომ ადრე ნაყოფიერების ერთ-ერთ დვთაებას – წყალთა გამრიგეს მსხვერპლს სწირავდნენ საკრალური ცულით. ძაღლი კი – დარაჯი შავეთისა, ცულის პირზეა გამოსახული. თითქოსდა ასეთი რიტუალი ცულის დარტყმის შემდეგ შავეთის კარებში შესვლის უფლებას იძლეოდეს.

ძაღლის კულტი საქართველოში, რა თქმა უნდა, ნადირთ პატრონთან იყო დაკავშირებული, შემდგომ კი მონადირების დვთაებასთან, მაგრამ ჩვენი ფაქტები და მსჯელობა ადასტურებს, რომ ძაღლი წყლის კულტთანაც იყო კავშირში და, ამდენად, ვეშაპის კულტთან. ამ საკითხებს სამომავლოდ უფრო დაწვრილებითი კვლევა სჭირდება.

ამრიგად, ვეშაპოიდი – ბაყაყი, სოფელ ვერნებში, ბრინჯაოს ცული ძაღლის გამოსახულებით გველთან კომპოზიციაში სოფელ კალოთაში – ამ ორი სემანტიკურად დაკავშირებული ძეგლის ერთ არეალში აღმოჩენა მიუთითებს, რომ აჭარაში, კერძოდ, ხიხანის ხეობაში, ისე, როგორც მომიჯნავე ხეობებსა და, საერთოდ, საქართველოს ტრადიციულ რეგიონებში, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ვეშაპის კულტი შესაბამისი საკრალური ატრიბუტებითა და მითოლოგიური პერსონაჟებით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, დეტალურ კვლევას იმსახურებს ვეშაპებზე გამოსახული ფრინველების, კერძოდ, ყარყაგის, ყანჩის და მათთან დაკავშირებული სხვა ფრინველების (არწივი, ფასკუნჯი,...) შინაარსობრივი და ფუნქციური ასპექტები, რამაც შესაძლოა ისტორიულ განვითარებასთან შესაბამისობაში ცალკეული ფრაგმენტის რეკონსტრუქციის საფუძველზე ერთიანი მოთოლოგიური სურათის აღდგენაში დაგვეხმაროს. შემდგომ გამოკვლევებში შევეცდებით დაინტერესებულ მკითხველსა და ფართო აუდიტორიას მივაწოდოთ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია ამ მითოსურ ფრინველებზე და გადავცეთ ჩვენებული ხედვა მათ მითო-რიტუალურ ფუნქციებზე.

## literatura

- აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი, 1997
- ბარდაველიძე ვ., ქართული ღვთაება ბარბალე, თბილისი, 1941
- ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. – „ქართლის ცხოვრება“, IV, თბილისი, 1973
- ბერაძე თ., ზღვაოსნობა საქართველოში, თბილისი, 1981
- ბუანია ც. Из истории хозяйства и культуры абхазов, Сухуми, 1973
- გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983
- ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979
- ვირსალაძე ე., ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი, 1964
- თავაძაიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები ბობოვყათის ქვიშაზვინულებზე. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, XVI, თბილისი, 1987
- თავდგირიძე ხ., ქალის გველთან ქორწინების მოტივი აჭარულ მითოლოგიურ ლექსში „შარშანდელსა ნაყანევსა“. – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“ (პუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), VI, ბათუმი, 2004
- თანდილავა ზ., ლეგენდა სოფელ ვერნებზე. – „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, II, თბილისი, 1978
- თანდილავა ზ., შენიშვნები მესეფებზე. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თემისები, თბილისი, 1976
- თანდილავა ზ., მასალები მესეფებზე. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, IV, თბილისი, 1978
- თანდილავა ზ., ღვთაება მესეფის კვალი ლაზურ ფოლკლორში. – ფოლკლორული საკორდინაციო საბჭოს XX რესპუბლიკური კონფერენციის თემისები, თბილისი, 1981
- თანდილავა, 1981 – თანდილავა ზ., წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, VII, თბილისი, 1984
- ზოიძე ი., წარმართული რელიგიის გადმონაშოები აჭარაში. – „საისტორიო მაცნე“, XIV, ბათუმი, 2005
- კახიძე ა. დავითაძე ი. მამულაძე შ., ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფ. ხიხაძირიდან. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, X, თბილისი, 1981
- კიკვაძე ი., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976
- კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979
- კუნი ნ.. ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბილისი, 1965
- მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1940
- მაკალათია მ., მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი). – „მასალები“ მესხეთ-ჯავახეთის შესწავლისათვის, თბილისი, 1972
- მგელაძე ნ., ერთი წარმართული რიტუალის შესახებ დორჯომის ხეობაში. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, VII, თბილისი, 1984
- მგელაძე ნ., სულიერი სამყარო. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“, ტ. I (უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნეები), ბათუმი, 2007
- მგელაძე ნ., ქართული გეარი: სოციალური ფუნქცია, ტერმინის წარმომავლობა და გავრცელების ეთნოლინგვისტური არეალი. – „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, ქუთაისი, 2002
- მგელაძე ნ., აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004

- მგელაძე ნ. ტოტოჩავა გ., ვეშაპის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ვეშაპონდების შესწავლის ისტორიისათვის. – ხარისხონ ახვლედიანის სახელობის „აჭარის „მუზეუმის მაცნე“, I, ბათუმი, 2008
- ნოდაიდელი ჯ., ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1935
- რეხვიაშვილი ნ., სალოცავი „მზიერი“ (გიუნე). – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XXIV-B, თბილისი, 1964
- რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები (ელ. ვირსალაძის რედაქციით), თბილისი, 1949
- სვანიძე გ., ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებები, თბილისი, 1957
- სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986
- სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949
- ფარტენაძე გ., გვალის კულტი მაჭახლის ხეობაში. – ურნ. „ჭოროხი“, №1, ბათუმი, 1992
- ქართული (აჭარული) ზღაპრები (შეადგინეს, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთეს აზიზ ახვლედიანმა, ეთერ ზოიძემ, ზურაბ თანდილავამ, ალექსანდრე მსხალაძემ, ნანული ნოდაიდელმა და ნელი ცქიტიშვილმა), ბათუმი, 1973
- შამილაძე ვ., მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი, 1964
- შამილაძე ვ., კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“, I, თბილისი, 1973
- ჩაგანავა გ. ტუდუში ლ. ხეცოიძე ე., მგლის კულტის პარალელები ინდოევროპულ, თურქულ და ქართველურ ცივილიზაციებში. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, XII, ბათუმი, 2007
- ჩავლეიშვილი ი., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარებზე 1983 წელს. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, XVI, თბილისი, 1987
- ჩხეიძე ჯ., შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ბათუმი, 1961
- ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1960
- ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა, I, ბათუმი, 1995
- ხახუტაიშვილი ნ. მგელაძე ნ., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებში ასახული უძველესი რელიგიური წარმოდგენები. – „საისტორიო მაცნე“, XIV, ბათუმი, 2005
- ხიდაშელი მ., ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები), თბილისი, 1982
- Бардавелидзе В. Древнейшие религиозные вверования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957
- Варга Домкош. Древний Восток, Будапешт, 1979
- Грейвс Р. Мифы древней Греции, Москва, 1992
- Иванов Вяч. Сходные черты в культе волка на Кавказе, в древней малой Азии и на Балканах. - «Кавказ и Средиземноморье», Тбилиси, 1980
- Кун Н. А. Легенды и мифы древней Греции, Москва, 1955
- Мещанинов И., Змея и собака на вешевых памятниках архаического Кавказа. - «Записки Восточного Отделения Русского археологического общества», т. XXVI
- Макалатия С. И. Из старого народного быга пшавов. - «Советская Этнография», I, М.-Л., 1938

Мифология древнего мира, М., 1977

Миллер А. А. Изображения собаки в древностях Кавказа. - «Известия Государственной Академии Истории материальной культуры», т. II, Пб., 1922

Сихарулидзе А. Н. К вопросу о значении изображения быка на триалетских вешапах и вешапоидах. - «Кавказский этнографический сборник», Тбилиси, 1972

Урушадзе Н. К исследованию сходных форм ритуально-магической изобразительной деятельности древнегрузинских племен. – „ධაጀე”, ისტორია... სერია, I, 1980

Фасмер М. Этимологический словарь Русского языка, Москва, 1904

Чечено-русский словарь (под редакции А. Г. Мациев), Москва, 1961

Чечено-ингушско-русский словарь (составители: А. Г. Мациев, И. А. Одзаев, З. Д. Жамалчанов), Москва, 1962

**ძართველი და უცხოელი მეცნიერ-მაკვლევარები  
აჭარული ჩატოლობის შესახებ**

ერთ-ერთ უძველესსა და მნიშვნელოვან მონაპოვარს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში სამოსელის დამზადება-გამოყენება წარმოადგენს. ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ჩატოლობის სახეები ატარებენ იმ ქმპირიულ ცოდნას, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაარკვიო ისტორიულ მოვლენათა განვლილი საფეხურები.

ქართული ჩატოლობის ისტორიის უძვირფასებს წყაროს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ წარმოადგენს. მასში აღწერილია მემატიანის თანადროული და წინა პერიოდის ქართული ტანსაცმელი. სამწუხაროდ, მასში არაფერია ნათქვამი აჭარული ტანსაცმლის შესახებ.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, განხილულია უძველესი დროიდან XIX ს-მდე არსებული ქართული ტანსაცმლის წარმოშობის და განვითარების პროცესი. მოცემულია ტანსაცმლის დიდი მრავალფეროვნება კუთხეების მიხედვით. აქვე აღწერილია აჭარელი ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ჩატოლობის ელემენტები და ფორკად წოდებული კაბის ერთი ფოტო.

ი. ციციშვილის ნაშრომში მოცემულია აჭარული ტანსაცმლის ჩამონათვალი: „აჭარელი ქალის ჩატოლობა: იჩლული, ფეხი, თეფელული, ჩათაკა, ქემერი, სარტყელი, პერანგი, ზუბუნი, წინდები, ფლოსტები. აჭარელი მამაკაცის კოსტუმი შეიცავს: ჩოხას, შარვალს, პაიჭებს, ზუბუნს, ყაბალას, თოლაბულუსის სარტყელს, სავაზნეს, ქისას, მათარას, სამასრეს, პერანგს, ლოფაჩის, დამბაჩას, საპირწამლეს, ყამას“.

აჭარული ჩატოლობის შესახებ მნიშვნელოვანი მონოგრაფია ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ი. სამსონიას.

აჭარული ჩატოლობის შესახებ ცნობები გვხვდება XVII-XIX სს. იმ მეცნიერ-მკლევართა ნაშრომებში, რომლებმაც იმოგზაურეს აჭარაში. მათგან საყურადღებოა: ე. შარდენის, ე. მურიეს, დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, თ. სახოკიას, ზ. ჭიჭინაძის, ალ. ფრენკელის, პ. კოვალევსკის, ვ. ლისოვგსკის და სხვათა შრომები. მართალია, ისინი გაკვრით ეხებიან აჭარელთა ჩატოლობას, მაგრამ მათი გაცნობა საჭიროცაა და საინტერესოც.

ე. შარდენი საქართველოში ჩამოვიდა XVIII ს. 80-იან წლებში. გზად გონიოში გამოიარა, სადაც მისი ყურადღება მიიქცია თოვლზე მოსიარულე მამაკაცების ფეხსაცმელმა, უფრო სწორად თხილამურებმა: „ჩემს ყოლაუზებს ფეხებზე ეცვათ ერთგვარი თოვლზე სასიარულოდ მოწყობილი ქალამნები, რომლებიც მე მხოლოდ ამ ქვეყანაში ვნახე. ამ ფეხსაცმელს ძირი გრძელი და თხილამურის მაგვარი აქვს, თუმცა ისე განიერი არაა. აგრეთვე ბადე უფრო თხელია და ფიცარი მოლად მრგვალი, ეს ფეხსაცმელი იფარავს თოვლში ჩაფლობისაგან, რადგან თითის დადებაზე მეტი არ ჩადის თოვლში. ისინი მარდად დარბოდნენ თოვლზე, მხოლოდ მქრქალ და გაურკვეველ კვალსა ტოვებდნენ, რადგან ამ ფეხსაცმელს არც თავი უჩანს და არც ბოლო“.

ე. მურიე აჭარულ ჩატოლობაზე ნაშრომში – ბათუმი და ჭოროხის აუზი, წერს: „...თავზე ახურავს ყავისფერი ყაბალახი, ზოგჯერ წითელი სარჩულით, ტანზე აცვია მოყვანილი ყავისფერი ან ნაცრისფერი მაუდის ქულაჯა, რომლის ქვეშ დია ფერის ახალუხი მოჩანს. ახალუხი პატარა წითელი თასმებით იკვრება. იმავე ქსოვილის შარვალი წვივებთან და კოჭებთან ფართოვდება, წელს ქვევით იკეცება და რამდენიმე არშინის წვრილი თოკისაგან დაწნული ღვედით იკვრება, რომელსაც

ქუგად წოდებული დია ფერის ქამარი ფარავს. ფეხზე შალის წინდებს და ტყავის წუდა-ჩუსტებს იცვამს“.

ვ. ლისოვსკი უურადღებას ამახვილებს ადგილობრივად კუსტარული წესით დამუშავებულ ძაფებსა და მისგან უხეში ქსოვილის მიღებაზე და წერს, რომ ვინაიდან მხარეში არ არის ფაბრიკა-ქარხნები ადგილობრივი მცხოვრებლები თვითონ ამზადებდნენ საყოფაცხოვრებო და სხვა საჭირო ნივთებს: „...უხეში, კუსტარული საშუალებით სახლში ან უმნიშვნელო სახელოსნოებში, რომელშიც მეპატრონის გარდა 2-3 ოსტატი მუშაობს...“. იგი მოკლედ აღწერს ქსოვილის დამზადებას: „შალის ქსოვილი მიიღება ცხვრისა და თხისაგან. ცხვრებს ყველას კრეჭენ, თხებს კი ისეთებს, რომლებიც არ იწველიან... შალისაგან ამზადებენ ნოხებს-ფარდაგებს, ტომრებს. შედარებით წარმატებით სარგებლობს სახლში დამზადებული გამდლე და უხეში შალი – შავი, რუხი და ყავისფერი, რომლითაც ადგილობრივი მცხოვრებლები იკერავენ ზედა ტანსაცმელს. შალის ქსოვილი არის ვიწრო განის“.

საქონლისაგან მიღებული ტყავისაგან ამზადებენ ფეხსაცმელს, აგრეთვე სამგზავრო ტომრებს. თხის ტყავისაგან გუდას“.

ვ. ლისოვსკის აზრით აჭარის მხარეში ძირითადად ტანსაცმლის ორი სახეობის მოდელია გავრცელებული: 1. ის მაცხოვრებლები, რომლებიც განეკუთვნებიან ქართველებს (ქრისტიანებს) იცვამენ აჭარულად და 2. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ ლაპარაკობს ქართულად – მათში ბატონობს თურქული მოდა. ვ. ლისოვსკის შეხედულებით აჭარული ტანსაცმელი, რომელიც თითქმის მთელ მხარეში ბატონობს, დიდად არ განსხვავდება გურულისაგან. იგი იქვე აღწერს თურქული წარმოშობის სამოსსაც: „თურქული წარმოშობის მამაკაცის სამოსს შეადგენს: ფართო შარვალი, ქვევით ოდნავ შევიწროვებული, ფართო ქურთუკით და ჟილეტით რუსული ჩითის ან ადგილობრივი ქსოვილისაგან. ფეხსაცმელი ე. წ. „მანუსი“ არ განსხვავდება აჭარულისაგან. თავსაბურავია წითელი ფერის ფეხი, შემოხვეული ჩალმით, რომელიც თეთრი ფერის ქსოვილია.

აჭარელი ქალებიც იცვამენ თურქულად. მათი ტანსაცმელი არაფრით განსხვავდება შავშეთსა და არტანუჯში მცხოვრებ ქალთა ჩაცმულობისაგან. ისინი იცვამენ გრძელი ჩითის ხალათებს, ძირითადად წითელ-ყვითელი ფერის, გვერდებზე ფართო, წელს ქვემოთ გადაჭრილი, გვერდებზე ჩაჭრილები, საიდანაც ჩანს ჩითის ფართო შარვალი, რომელიც თითქმის კოჭებამდეა და შემოხვეულია ფეხებზე“.

საბოლოოდ, ვ. ლისოვსკიმ აჭარულ ტანსაცმელს ასეთი შეფასება მისცა: „აჭარული ტანსაცმელი, მიუხედავად უხეში ქსოვილისა, გამოირჩევა სიფაქიზით, რაღაც ლამაზი და ფერადი ნაქარგებითაა დაფარული, ამავე დროს მოხერხებულია“.

პ. კოვალევსკის ნაშრომში აღწერილია აჭარელი მამაკაცის ჩაცმულობის ცალკეული ელემენტები. შიგ მოთავსებული ფოტო-სურათებით შესაძლებელია ქალაქელი და სოფლეული მამაკაცის ჩაცმულობის გამიჯვნა.

XIX საუკუნიდან აჭარის მაღალმთიან სოფლებშიც უკვე ჩნდება შემოტანილი საქონელი, მათ შორის ქსოვილები, განსაკუთრებით ჩითი და შალი. აღნიშვნულმა ქსოვილებმა თანდათან ადგილობრივად დამზადებული უხეში შალისა და ბიაზის ქსოვილების ადგილი დაიკავა. ამის შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „ბათუმი უმნიშვნელო ვაჭრობას ეწევა... ინგლისიდან და შვეიცარიიდან შემოაქვთ ბამბის ნაწარმი, ალეპოდან და დამასკოდან – აბრეშუმის ქსოვილები, ყირიმიდან და საქართველოდან – მატყლი“.

გ. ყაზბეგი შენიშნავს: „ადგილობრივ მაღაზიებში – დუქნებში, ძირითადად ვაჭრობენ სომხები, ბერძნები. სომხები ყიდიან საოჯახო ნივთებს, ხოლო ბერძნები სხვადასხვა ქსოვილებს, შემოტანილს საზღვარგარებული მოთხოვნაა ინგლისურ ქსოვილებზე, რომლითაც მარაგდება ყველაზე დაშორებული

სოფლებიც კი. ეს არის იაფი ჩითები და შალის ქსოვილები ადგილობრივი მცხოვრებლების გემოვნების. რუსული ნაწარმი აქ არ იყიდება“

ზ. ჭიჭინაძე წიგნში „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, მიიჩნევს, რომ აჭარელი ქალის ტანსაცმელი უფრო ოსმალურია, ვიდრე ქართული. მისი აზრით, მუსულმანობის მიღებამდე ისევე ეცვათ, როგორც საქართველოს სხვა კუთხის ქალებს, მაგრამ შემდეგ ქართული კაბები მოუსპიათ და წითელ-ყვითელი კაბები ჩაუცვამთ ოსმალურის მსგავსად და ჩადრიც შემოუდიათ. სამწუხაროდ ზ. ჭიჭინაძემ აჭარელი ქალების ჩაცმულობაში ვერ შეამჩნია ქართული ელემენტების არსებობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მხატვარ ვ. ილუშინის ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია აჭარაში მოწყობილი საგელე ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს. მხატვრულ ტილოებზე ისინი დაცულია ხ. ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში, სადაც კარგად ჩანს აჭარელი ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობა.

ვრცელ დახასიათებას იძლევა თ. სახოკია წიგნში „მოგზაურობანი“ იგი სხვადასხვა ადგილას აღწერს აჭარულ ჩაცმულობას: „...მოკლე კვართუა ეცვათ ადგილობრივად მოქსოვილი შალისა, ტანზე შემოჭერილი, ამავე შალის ძიგვა, საჯდომთან დანაოჭებული და ფეხებთან კი მჭიდროდ შემოკრული. თავზე წითელი ოსმალური ფეხები ეხურათ“. „ყველას ერთგვარად აცვიათ ტანთა: შალის მოკლე ჩაქურა, დოშლული, ნაოჭებიანი, ტოტებვიწრო ძიგვა, შალისავე ჭრელი წინდები და ქალამნები, წელზე ბრტყელი ქამარი აქვთ შემორტყმული, სრულიათ სადა... თავზე ყაბალახი აქვს შემობლანდული, ზოგს ფეხიცა ახურავს“.

უფრო დაწვრილებით თ. სახოკია აჭარელი ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის აღწერას კიდევ უბრუნდება: „აქაური შალის ჩოხა წელს ქვემოთ ოდნავდა სცდება და ჩატანებულია აქაურ შალისავე ძიგვაში. ჩოხას ქვემოთ ზუბუნი აცვიათ, ზუბუნი ჩითისაა და საზამთროდ დაბამბულია, ხოლო საზაფხულოდ იგივე ზუბუნი უსახელო და დაუმბამბავია და სახელად ელეგი ჰქვია. ძიგვა საჯდომთან ძალზე დანაოჭებულია, სიარულს და ძირს დახრას სრულებით არ უშლის. ბოლოში ვიწროვდება, წვივებს მჭიდროდ ადგია და ფეხებზე ააჭანაგით არის მიმაგრებული. ფეხზე ადგილობრივი მოქსოვილი ძალზე სქელი და ჭრელი წინდები აცვიათ და წინდებზე ჩაფულას (ქალამანს) ატარებენ. თავზე უეჭველად ყაბალახი უნდა ჰქონდეს შემობლანდული კოხტად. თავ-მომწონენი ზაფხულობით სირმა შემოვლებულ ჩოხას, ზუბუნს და ძიგვას შავი სატინისას ატარებენ. ჩვენებური ჩოხა-ახალუხი აქაურ ბეგებსლა აცვიათ...“

აჭარელი ქალის ტანისამოსი თავისებურია. ზევიდან აცვიათ ქათიბის მსგავსი სირჩა-ჩითისა, დაბამბული ანუ უბამბო სეზონის მიხედვით. სირჩას ქვემოთ ატარებენ კაბას, კაბის ქვეშ პერანგსა და მის ამხანაგს, ალისფერ ჩითისაგან შეკერილს. პერანგის ამხანაგი მეტად განიერია, მხოლოდ კოჭებთან ვიწროვდება, თავში თეთრი არშია აქვს გადაკერებული ხონჯრისათვის... თავზე შემოკრული აქვს ჩითივით იაზმა, იმის ზემოთ თავის გარშემო ლეჩაქი, რომლის ერთი უური წელზე გადაშვებული, წინ სახეზე შემოკრული აქვს სინათლის სანახავად თხელი მანდილი-ფეხა. ყველა ამის გარშემო გადაფარებული აქვს თეთრი ჩადრი თავის დასამალავად... ფეხებზე ჩუსტები აცვიათ აღმართებზე სიარულის დროს, ხოლო ვაკეში დადიან ნალიანით (ხისგან გაკეთებული მაღალქუსლებიანი საცმელია, ზევიდან სამოგვე აქვს გადაკრული ფეხის შესაყოფად და დასამაგრებლად)“.

ა. ფრენკელს მიაჩნია, რომ „ქობულეთელებმა შემოინახეს წინაპართა ტანსაცმელი... თავზე ყაბალახი ახურავთ... ჩოხა მჭიდროდ ადგათ ტანზე, მის ქვეშ ჟილეტი (კავტანი, ელეგი) წითელი ფერის ნაჭრისაგან. შარვალი ეკვრის ფეხებს, ხოლო ზემოთ ძალიან ფართოა და მუცელსა და წელზე აქვს უამრავი ნაოჭი, ქურთუკი და შარვალი იკვრება შალის უხეში ნაჭრისაგან. წელზე შემოხვეული აქვს ქამარი (სილაქელოგი) ღია ფერის დაკეცილი ნაჭერი. აქვთ ჩანთა (კარშუმლუბი) და ტყავის მათარა წყლისათვის.


ქობულეთელი ქალის ჩაცმულობაში შედის: „პერანგი მუხლამდე, შარვალი, რომელიც ძალიან ჰგავს მამაკაცის შარვალს და რომელიც იკვრება ხვანჯრით. ზემოდან კაბა და წინსაფარი, რომლებიც მოქარგულია მრავალფეროვანი ძაფებითა და თისმებით. თავზე წითელი ფესით, რომელიც დაფარულია ფართო ჩადრით, აქაურად ჩარჩაბით... ისინი ძირითადად თხელი, გამჭვირვალე ცისფერი ან ყვითელი ფერის ქსოვილისგანაა დამზადებული“. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ „...თურქი ქართველები ჩაცმულები არიან ნაციონალურ კოსტუმებში, მხოლოდ თავზე დასახურად იყენებენ ფეხებს, ქსოვილის ნაჭრით შემოსვეულს – ასეთია ჩალმა. მოლა ატარებს თეთრი ფერის ჩალმას, ნასწავლი, ძირითადად შეიხ-ელ-უსლამის სკოლიდან ჩამოსულები კი მწვანეს“.

აჭარული სამოსი თავისი გარეგნული იერით, დამზადებისა და მოხმარების წესების თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს იჭერს ქართული ჩაცმულობის ისტორიაში.

### **ლიტერატურა**

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ.25.
2. კოვალევსკი პ., კავკასია, ტ. I, სანკტ-პეტერბურგი, 1914, გვ.219
3. მურიე ქ., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 34
4. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი, 1950, გვ. 113,191,192.
5. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი, 1976, გვ.11.
6. შარდენი ქ., მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1935, გვ. 52.
7. ციციშვილი ივ., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი, 1954, გვ.6
8. ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 86.
9. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III, IV, თბილისი, 1962, გვ. 4
10. Лисовский В. Я., Чорохский край. Военно-статистический очерк. Тф., 1887. с. 103,123
11. Френкель А. Очерк Чурук-су и Батума, Тф., 1879. с. 19-20.





## გოდერძი ტოტოჩავა

აჭარის ბანთავის შველება ქართულ პერიოდულ კრესაში  
„დროებისა“ და „ივერიის“ მასალების მიხედვით)<sup>10</sup>

1978 წელი დიდი ზეიმია ქართველი ხალხის ისტორიაში. ასი წლის წინ რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედა სამშობლოს, საქართველოს სამასი სისხლიანი წელი გამოიარა ძველი ტაოს ამ პატარა ნაწილმა, რომ შეუბლალავად მოეტანა ძმებთან ქართული ენა. სამასწლოვანი ტრაგედია XVI საუკუნეში დაიწყო. ბიზანტიის დაცემის შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერებული ოსმალეთი ამიერკავკასიის დასაპყრობლად მოიწვდა. კერძოდ, 80-90-იან წლებში ოსმალებმა შესძლეს დაეპყროთ სამცხე-საათაბაგო, საქართველოს ერთი მესამედი. აჭარაც დაპყრობილ ტერიტორიებში მოექცა. ოსმალებმა საათაბაგოში „სასტიკი ბრძოლა გამოცხადეს ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებასა და კულტურას, იგი ოსმალურით შეცვალეს და ეროვნული გადაგვარების გზით წაიყვანეს“ (სინ, 1974:9). დამპყრობლებს ასიმილაციის პირველ პირობად მუსლიმანური რელიგიის დანერგვა მიაჩნდათ. ისინი არაფერს ერიდებოდნენ ამის მისაღწევად. ტანჯვა-წამების ხერხების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და მათ არც ჰქონიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ისლამის დანერგვაში. ისლამის დანერგვა უფრო ეკონომიკურმა ფაქტორმა გადაწყვიტა. ტერორმა და სისხლიანმა რეეიმმა ვერ დააშინა და გასტეხა ქართველი ხალხი, ისინი არ სთმობდნენ ქრისტიანულ რელიგიას. ზ. ჭიჭინაძეს აჭარაში ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ჩაუწერია გადმოცემები და ლეგენდები, თუ როგორ ხდებოდა დღვანისა თუ ქობულეთის გამუსლიმანება. ყველგან სისხლსა და ცრემლების ზღვა იდგა. თურქები აჩანაგებდნენ და სპობდნენ ყველაფერს. სულხან-საბა ორბელიანი თავის „მოგზაურობა ევროპაში“ წერდა: „სადაც თათარს მიუღწევია, იქ დვთის ნათელი აღარ დამდგარა, ისარს გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ“. თურქებმა საქართველოს ამ ნაწილსა და კონსტანტინოპოლის აღებით გადადობებს სახმელეთო და საზღვაო გზა აზიასა და ევროპას შორის. „ამ დიდ საგაჭრო-სატრანსპორტო გზაზე მდებარე სახელმწიფოს ცხოვრება ჩაკვდა, სასტიკმა და ველურმა „ოსმალომ“ გაავერანა და გააპარტახა დაპყრობილ ხალხთა კულტურა“ (მაისურაძე, 1943:3). ქართველების ერთი ნაწილი დაპყრობილ მხარეებში ვერ ურიგდებოდა ოსმალთა ძალადობას, საქართველოს სხვა კუთხეებში სახლდებოდნენ და ცდილობდენ თან წარეტანათ და გადავრჩინათ საეკლესიო-სარიტუალო ნივთები. საინტერესოა, რომ სწორედ ამ გზით მოხვდა აჭარა-მესხეთის საზღვარზე მდგარი ზარზმის მონასტრის ხატი შემოქმედში. „მას უამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი საათაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და უღმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუენა, იწყო მოკლებად ჰსჯულმან ჩვენმან და აღორძინებად ჰსჯულმან მაჰმადისამან, მაშინ უამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათართაგან განირყმნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთა გორსა განბრწყინებელი. აქ გურიას ჩამოასვენეს ვითარცა ექსორია ქმნილი“ (ბაქრაძე, 1987:12).

<sup>10</sup> ნაშრომი შესრულებულია 1978 წელს, გამოყენებულია კ. მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გაზეთ „დროების“ ფოტოასლები და აგრეთვე „ივერიის“ ნომრები. შენარჩუნებულია თავდაპირველი სტილი და შინაარსი.

მართლაც, ძნელად გადასატანი იყო ის ბარბაროსული ხერხები, რომლებსაც თურქები იუენებდნენ ისლამის დასანერგად. აჭარაში ერთ-ერთი სოფლის მკვიდრო უბრძანეს ადიდებული მდინარის, რომელიც ქვებს მოაგორებდა, გადაცურვა, ვინც მდინარეს გადაცურავს მას ქრისტიანად დავტოვებთო. სტიქიასთან ბრძოლაში დაიღუპა თითქმის მთელი სოფლი. ილია მაისურაძეს მოჰყავს პ. ზედგინიძის მონათხრობი გადმოცემა: „როცა ათათრებდნენ ქართველებს, გადახურებულ თასს ადებდნენ თავზე. თუკი ქართველობას უარყოფდა მაშინ მოაცილებდნენ თუ არა უნდა გაეძლო, ან მომკვდარიყო“ (მაისურაძე, 1943:13). რა თქმა უნდა, ასეთი რამ ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მოსახლეობას და იძულებული შეიქმნენ ოფიციალურად მიეღოთ მაკმადიანობა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ეს მაინც არ იყო გადამწყვეტი. აქ დიდი როლი ითამაშა ოსმალურმა მიწისმფლობელობის წესმა. მიწისმფლობელი მხოლოდ მხედარი შეიძლებოდა ყოფილიყო. მხედარი კი მხოლოდ მუსლიმანია. ფეოდალთა უმრავლესობა მიწის შენარჩუნების მიზნით, იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა მამა-პაპათა რჯული. გლეხობაც იძულებული იყო მათ მიჰყოლოდა, რადგანაც ისინი ამ მიწით ირჩენდნენ თავს, თუმცა ისინი უფრო დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას. „მჩაგვრელთა ხელი ტრადიციულ ქართულ თჯახს, მის ოდინდელ სიწმინდეს, მორალსაც სწვდა. მან შებდალა და წმინდათა წმინდად მიჩნეული ქართველი ქალის მანდილი, მან ფეხქვეშ გათელა ქმრისა და შვილის, ცოლისა და დედის ბუნებრივი და საზოგადოებრივი უფლებები. მოთარეშენი შეურაცხყოფდნენ ქმარს და რძალს, მასობრივად იტაცებდნენ მათ და ტყვეთა ბაზარზე უსულგულოდ ჰყიდნენ“. თჯახის, ცოლისა და დედის შეურაცხყოფა კიდევ ერთ-ერთი იმ მიზანთაგანი იყო, რამაც მაკმადიანური რელიგიის დამკვიდრება გამოიწვია აჭარასა და მესხეთში. მუსლიმობას ჯერ მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ, სახლში ჩუმად მაინც ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ, თუმცა ქრისტიანული სამყაროსგან (სამშობლოსაგან) იზოლირების გამო, მომდევნო თაობებმა თანდათან დაივიწყა მამა-პაპური რჯული, მაგრამ ჩვენ ხალხს პქონდა კიდევ ერთი დიდი რელიგია – ქართული ენა, რომელიც სისხლთან ერთად მოძრაობდა ქართველი კაცის ძარღვებში და სისხლთან ერთად აღწევდა მის სულსა და გულში. სისხლიანმა რეემმა, გაუთავებელმა თარეშმა, ოდესდაც ეკონომიურად დაწინაურებელი მხარე გაავერანა და დაამშო. ქედა და შუახევი ვენახის მხარე გახლდათ ოსმალთა გამოჩენამდე, შემდეგ უკრძენი გაიჩეხა და აი, აგრე ახლა, რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყეს მისი ხელახლად გაშენება. დაქვეითდა კულტურა, ასეც უნდა მომხდარიყო, რა შეიძლებოდა უძველესი კულტურის მატარებელ ხალხს ესწავლა ოსმალთაგან, თუ არა, მხოლოდ ძველის დავიწყება. აჭარა სამასი წლის განმავლობაში სრულად იზოლირებული იყო საქართველოსგან. მხოლოდ აჭარა-გურიის საზღვრისპირა მოსახლეობას ჰქონდათ კონტაქტი.

დედასაქართველო ამ დროს დიდ გასაჭირები იყო. მცირერიცხოვანი ქართველი ხალხი თრ ფრონტზე იბრძოდა, თრ გველეშაპს ებრძოდა – აღმოსავლეთით ირანს, დასავლეთით კი ოსმალეთს. ოსმალეთთან ბრძოლა კიდევ უფრო გაჭირდა, რადგან მათ დაპყრობილი ქართული ტერიტორიები, საქართველოზე თვდასხმის პლაცდარმად აქციეს. XVI–XVIII საუკუნეები საქართველოს ისტორიაში უიმედო, მაგრამ გმირული ბრძოლების საუკუნეებია. ცალკეულ გამარჯვებებს არ შეეძლოთ შვება მოეგბანათ საქართველოსთვის. მიზანთროპ შაპ-აბასს ვერ მოულბო გული ქართულმა სისხლმა, მის ძარღვებში, რომ ჩქეფდა. ორასი ათასი კაცი აჭყარა კახეთიდან და ირანის უდაბნოებში გადასახლდა. საქართველო სისხლისგან იცლებოდა აღსასრული ახლოვდებოდა, ერთ-ერთი გზა ხენისა ჩრდილოეთით სხანდა მხოლოდ. მანამდისაც იყო ცდები რუსეთთან კონტაქტისა, მაგრამ აქედან, კონტაქტის გარდა არაფერი გამოვიდა. საქართველოს პრაქტიკული დახმარება სჭირდებოდა: ჯარი და ფული. შემდეგ დასავლეთ ევროპასთან შეეცადნენ

კავშირის გაბმა. სულხან-საბამ სულ მოიარა „ფრანცია“ და რომი – კვლავ უშედეგოდ. შემდეგ ერეკლე მეორემ სცადა კათოლიკე მისიონერების საშუალებით ევროპისგან დახმარების მიღება. მან მათი საშუალებით წერილი გაუგზავნა ვენეციის სენატსა და ავსტრიის იმპერატორს. მისიონერი ადრე გარდაიცვალა და წერილს ადრესატამდე არ მიუღწევია. 80-იანი წლების დასაწყისში ერეკლე რუსეთისკენ გადაიხარა. მან დაამყარა კონტაქტი რუსეთის იმპერატორთან. იგი ითხოვდა რუსეთის ორი პოლკი მუდმივად ყოფილიყო საქართველოში. რუსეთმა განიხილა ერეკლეს წინადადება, მათ ჩამოაყალიბეს ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიესკის ციხე სიმაგრეში ტრაქტატს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის მხრიდან თავადებმა ი. მუხრანბატონმა და გ. ჭავჭავაძემ. რუსეთის მხრიდან გენერალმა პავლე პოტიომკინმა. ხელშეკრულების ტექსტი შედგებოდა – პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატიული მუხლისაგან. მას დართული ჰქონდა ტექსტი ფიცისა. რომელიც ერეკლე მეფეს უნდა მიეღო რუსეთის იმპერატორის ერთგულების ნიშან. 1784 წლის 24 იანვარს ხელშეკრულება თბილისში რატიფიცირებული იქნა.

„1783 წლის აქტით ქართველი პატრიოტები შეეცადნენ რუსეთის იმპერიისაგან მიეღოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების იურიდიული გარანტია, უზრუნველეყოთ ქვეყნის უშიშროება გარეშე მტრების შემოსევისაგან. რუსეთის იმპერიამ კი აღნიშნული აქტით დიდი გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიაში. მან უომროდ გადალახა კავკასიონის მთაგრეხილი და მის სამხრეთით უაღრესად ხელსაყრელი პლაცდარმი მიიღო“ (სინ, 1974:693). რუსეთმა მხოლოდ ორი ბატალიონი გამოგზავნა საქართველოში, რომელთაც არავითარი ცვლილება არ შეეძლო შეეტანათ საქართველოს მდგომარეობაში. როცა 1785 წელს ავართა ხანი ომარი დაესხა თავს. კახეთის ბატალიონმა არავითარი დახმარება არ გაუწია ერეკლე მეფეს. ერეკლე მეტი ჯარის გამოგზავნას თხოულობდა, მაგრამ გენერალი პოტიომკინი „მთლიანად გაფუჭებულ“ გზებს იმიზეზებდა. ოსმალო მაინც შეშფოთებული იყო რუსული ბატალიონების გამო და უველაფერს ცდილობდა, ოღონდაც არ შემოეშვათ რუსები ამიერკავკასიაში. 1787 წელს განჯაზე ერთობლივ ლაშქრობის შემდეგ. რუსთა ჯარმა მიიღო ბრძანება დაეტოვებინა საქართველო. ამ მონაკვეთში რუსეთის იმპერიას სურდა ოსმალეთან ომის აცილება და მათ საქართველო ბედის ანაბარა მიატოვეს. პოტიომკინი ჯარების გაყვანას ასე ხსნიდა: „საქართველოში რუსთა ჯარების ყოფნამ მდგომარეობა გააუარესა და მისი გაყვანით მდგომარეობა გაუმჯობესდება“. როცა 1795 წელს, როცა ირანის შაჰი აღა-მახმად-ხანი შემოესია. კრწანისის ველზე 5 000 მეომრით 75 წლის ერეკლე მეფე შეება სპარსთა 35 000 ლაშქარს. მოკავშირეებმა კვლავ დაარღვიეს 1783 წლის ტრაქტატი.

ქართველებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ამ ოში ერეკლეს ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა, მაგრამ სპარსელებმა სამჯერ მეტი 13 ათასი კაცი დაკარგეს. იმავე წლის 11 სექტემბერს თბილისის კარები გაუდეს მოღალატეებმა სპარსელებს და ვინ იცის თბილისი მერამდენეჯერ გახვია ცვეხლის ალში. თბილისის დაცვაში მოქალაქეებიც დებულობდნენ მონაწილეობას. ორივე მხრიდან მის მისადგომებთან ოცი ათასი მოკლული და დაჭრილი ეყარა მიწაზე. ბევრი გვამი დაუმარხავი დარჩა, რამაც კიდევ ერთი მტერი შექმატა თბილისს, ეპიდემია.

ამ პერიოდში რუსეთში გამეფდა პავლე I. ის აგრძელებდა ურთიერთობას საქართველოსთან, მაგრამ რუსეთის ჯარების რიცხვი საქართველოში მაინც არ გაზრდილა. 1797 წელს საქართველოს კიდევ ერთხელ ააოხრებდა ცვედანი შაჰი მის მონას „სადევ გურჯას“ – მცხეთელ ანდრიას, რომ არ მოეკლა. საქართველო კი წლითიწლობით დაქვეითებისკენ მიდიოდა. საუკუნის მიწურულს ქართლ-კახეთში 200 ათას სულ ითვლიდნენ. მალე ერთი დიდი უბედურება კიდევ უწვია ქართველ ხალხს. 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა გმირი მეფე ერეკლე II. მას შემდეგ

გამეფდა მისი ავადმყოფი ვაჟი გიორგი, რომელსაც სამიოდე წელი უნდა ემეფა კიდევ. ამ დროისათვის რუსეთის ლაშქარის რიცხვი გაიზარდა საქართველოში. გაერთიანებულმა ქართულ-რუსულმა ლაშქარმა დაამარცხა ხანი ომარი და საქართველოში მშვიდობამ დაისადგურა. 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი მეფე. რუსეთის იმპერატორმა მყისვე ისარგებლა ამით და 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. მალე იმპერატორი პავლეც გარდაიცვალა და ამ მანიფესტის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. „მეფის რუსეთის მთავრობა და ისტორიოგრაფია თავს არ ზოგავდნენ. რომ რამენაირად შეენიღდათ დამკურობლური პოლიტიკა და მოქმებათ „გარეგნულად საპატიო მიზეზი“ ისედაც ვრცელი იმპერიის გაფართოებისათვის“ (სინ, 1974:806).

1801 წლის 19 აპრილს გენერალ კნორინგს დაევალა „გაერკვია“ შესძლებოდა თუ არა ქართლ-კახეთის სამეფო დამოუკიდებლად არსებობს. „ამის გამოქვეყნებისას კნორინგს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ქვეყანას ინარჩუნებდნენ, არა რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვის, არამედ ქართველი ხალხის მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის“ (სინ, 1974:816). ენგელსის სიტყვებით, რომ ვთქვათ ეს შემდეგს ნიშნავდა: „ყოველგვარ დაპყრობას ტერიტორიისა, ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღბით“. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრემ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლის საფუძველზე ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნატორად გამოცხადდა. ალექსანდრე პირველის მანიფესტს საქართველო პროტესტით შეხვდა, რასაც რეპრესიებით უპასუხეს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამეფოს გაუქმებას პირველი დღიდანვე შეუდგა ქართველი ხალხი განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა. „ქართველები საგარეო და საშინაო ამბოხებათა ქარიშხალში გახვეული ხალხია“ წერდა 1803 წელს რუსეთის მთავარსარდალი ციცანოვი.

მიუხედავად ამისა მაინც, მშვიდობა დამკვიდრდა საქართველოში. XIX საუკუნის 40-50-იან წლებისათვის მთელი საქართველო მიიერთა რუსეთმა. დაიწყო ეკონომიური და კულტურული აღმავლობა. გამოჩნდა მთელი რიგი ნიჭიერი მწერლებისა და პოეტებისა. ქართველები სასწავლად მიემგზავრებოდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში. განვითარდა ვაჭრობა, გაშენდა ქალაქები. 1828-29 წლებში რუსეთ-თურქეთის კიდევ ერთი ომი დაიწყო. ამ ომში ქართულ მოხალისეთა ლაშქრობაც იღებდა მონაწილეობას, რამეთუ ჯარი ახალციხის მესხეთის დასახსნელად მიეშურებოდა. მალე ქართველმა ხალხმა პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა – მესხეთი და ფოთი დაუბრუნდა დედასამშობლოს. ამან კიდევ უფრო გამოაცოცხლა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება და სწორედ ამ პერიოდში იწყება ფიქრი და ზრუნვა „ოსმალოს საქართველოს“ სხვა ნაწილების დასახსნელად. 1856 წელს ყირიმის ომის დროს შეიქმნა იმედი „ოსმალოს საქართველოს დასახსნელად, მაგრამ ამ ომმა ეს შედეგი ვერ მოიტანა.“

XIX საუკუნის დასაწყისში დიდი გამოცოცხლება იგრძნობა საკუთრივ „ოსმალეთის საქართველოშიც“ სელიმ ხიმშიაშვილის ახალციხის ფაშის მეთაურობით იწყება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა სამხრეთ საქართველოში. სელიმი რუსეთთან ცდილობდა კავშირის დამყარებას. იგი ანგითარებდა და პქმნიდა კიდეც ხელსაყრელ ვითარებას რუსეთის ჯარების შესასვლელად აჭარაში, მაგრამ ბიუროკრატმა მოხელეებმა ვერ გამოიჩინეს გამბედაობა სელიმი თვითონ შეუდაგა შეიარაღებულ ბრძოლას, რაც აჯანყებულთა მარცხით დასრულდა ხისანის ციხესთან. სელიმი დაატყვევეს და 1815 წელს სტამბულს თავი მოჰკვეთეს. არც მის შთამომავლებს შურცხვენიათ თავი – ქორხუსეინ ხიმშიაშვილი, ისევ სელიმი, დიდი სელიმის შვილიშვილი, რომელიც, ასევე დაიღუპა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ დროისთვის, როცა 1844 წლის

აჯანყება დაიწყო ქედაში. მესხეთი უკვე საქართველოსთან იყო შემოერთებული და აჭარლები სულ მთლად მარტო იყვნენ დარჩენილი მტრების ხელში, მაგრამ არც თუ ისე მარტო.

ქართველი ინტელიგენცია – მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები თუ ისტორიკოსები, ყველანი „ოსმალეთის საქართველოზე“ ფიქრობდნენ და, როგორც მერე გამოჩნდა, ქართველ ხალხსაც ახსოვდა ტყვეობაში დაკარგული მმა.

როგორც უკვე ითქვა, რუსეთთან შეერთებამ გამოიწვია გარკვეული კულტურული აღმავლობა და 1799 წელს წამოყენებული იდეა იოანე ბაგრატიონისა – ქართული გაზეთის დაარსებაზე, მხოლოდ 1819 წ. 8 მარტს განხორციელდა. „საქართველოს გაზეთი“ ასე ერქვა პირველ ქართულ გაზეთს. მერე სხვა გაზეთებიც გამოჩნდნენ: „თბილისის უწყებანი“, რომელიც საქართველოში პირველი რუსული გაზეთის „ტბილისკოვ ვედომოსტის“ ქართულ ვარიანტს წარმოადგენდა. „თბილისის უწყებანის“ დამატების სახით ს. დოდაშვილმა გამოსცა 5 ნომერი ჟურნალისა „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“. ქართულ კალენდარს გამოსცემდა პ. იოსელიანი. 50 წლებში გ. ერისთავმა დაარსა „ცისკარი“, მაგრამ სამწუხაროდ ჟურნალს არ პქონდა გარკვეული მიმართულება, რადგან მას პოლიტიკური წერილების გამოქვეყნება კარძალებოდა.

1857 წელს ივ. კერესელიძის მეთაურობით განახლდა „ცისკარის“ გამოცემა და სწორედ ამ ჟურნალის მეორე რედაქტორს მისცემს პირველ ინტერვიუს აჭარელთაგან შერიც ხინშიაშვილი – მოსალოდნელი რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ: „დმერთმა პქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველ შვილებს შევუერთო და როგორც ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს“.

„ცისკარმა“ მიუხედავად კრნსერვატიზმისა და ლიბერალიზმისა დიდი როლი შეასრულა რუსული და ევროპული განმანათლებელი იდეების გავრცელებაში და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ჟურნალში თანამშრომლობდნენ: გ. თუმანიშვილი, ლ. არდაზიანი, დ. ბაქრაძე, რაფ. ერისთავი, დ. ჭონქაძე, ან. ფურცელაძე, ალ. ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, სხვანი და სხვანი. 1863 წელს ილიას მეთაურობით გამოდის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ აქაც ბევრი საზოგადო მოღვაწე თანამშრომლობდა: დ. ყიფიანი, გ. წერეთელი და სხვები. მაგრამ 12 ნოემბრის გამოცემის შემდეგ ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა უსახსრობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის გამოცემა მოკლე ვადაში შეწყდა, მან დიდი გავლენა მოახდინა ქართული დემოკრატიული პრესის, ლიბერატურისა და აზროვნების განვითარებაზე. „საქართველოს მოამბის“ უახლესი მემკვიდრე, დროის მიხედვით იყო ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-დემოკრატული მიმდინარეობის გაზეთი „დროება“ (1866-1885 წწ.). მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. 1869-1883 წლებში „დროებას“ სერგეი მესხი რედაქტორობდა, ხოლო შემდეგ, სანამ მეფის მთავრობა დახურავდა, მას ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა. 1877 წლიდან გამოდის ილიას რედაქტორობით „ახალი თაობანი“, „ივერია“. ეს ორი გაზეთი წარმოადგენდა ერთ პროგრესულ ფრონტს. სწორედ ამ ორ პერიოდულ ორგანოსთანაა დაკავშირებული აჭარაზე კერძოდ „ოსმალოს საქართველოზე“ გამოქვეყნებული მასალები. ჩვენ ქვემოთ შევმიდებით განვიხილოთ „დროებაში“ დაბეჭდილი მასალები 1872-1878 წლებში და აგრეთვე „ივერიაში“ 1877-78 წლებში დაბეჭდილი ზოგიერთი წერილი.

„დროებაში“ ლრმა პვალი გავლო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და XIX საუკუნის II ნახევრის ქართული აზრის შესანიშნავ მატიანედ დარჩა“ (ქსე, 1978:3). მართლაც, რომ „დროება“ ქართული აზრის მატეანეა. საზოგადოებრივი აზრი აჭარის შემოერთების შესახებ პირველად მართლაც „დროებაში“ გამოქვეყნდა. ქართველი ისტორიკოსები, რომელთაც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, რამე დაუწერიათ აჭარაზე დროებაში თანამშრომლობდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყირიმის ომის შემდეგ პიდევ უფრო გაძლიერდა ანტიოქიალური განწყობილება და მეტი სიმძფრით ისმოდა საკითხები აჭარის შემოერთებაზე. ამიტომაც აჭარა ქართველ ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა უურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამ მხრივ აღსანიშნავია დიმიტრი ბაქრაძე და მისი შესანიშნავი წიგნი «археологическое путешествие по Грузии и Аджаре», რასაც წინ უძლოდა შრომები: 1874 წელი – „გურიის, ხურუქ-სუსა და აჭარის მოკლე მიმოხილვა, წინასწარი ანგარიში“. უურადღება მიაქციეთ შრომა დაწერილია 1874 წელს. „დროება“, №7, 13 ივლისი, 1873 წელი: „ამ მოკლე ხანში უფ. დიმიტრი ბაქრაძე აჭარაში იგზავნება იქაური ძველი ეკლესიების და, საზოგადოთ, იმ საგნების გასასინჯათ, რომელნიც ძველი დროიდან იქ დარჩენილა. იმედი გვაქვს რომ არქეოლოგიურ მოგზაურობას ცოტაოდენი ცხოველი მნიშვნელობაც ექნება. აჭარაში ცხოვრობს ქართველი ხალხი, ქართული ენით მოლაპარაკე და ჩვენმა საზოგადოებამ გაგონითაც ძლივს იცის აჭარა რაა და აჭარლები ვინ არიან. მათი მდგომარეობის, აზრისა და ჩვეულებების გამოსახვა ჩვენი საზოგადოებისათვის გასაცნობლად მეტის მეტად სასარგებლო და სასიამოვნო საქმე იქნება, და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ არქეოლოგიური სამარხების ძებნა უფ. ბაქრაძეს ამ მხარეს როდი დაავიწყებს“. წერილში სხანს, რომ ქართველმა საზოგადოებამ „ოსმალეთის საქართველოზე“ ბევრი რამ არ იცის გარდა „არქეოლოგიურ სამახსოვროებისა“ ე. ი. იცის, რომ ეს მხარე ოდესაც საქართველო იყო და იქ ქართული კულტურის ძეგლებია, მაგრამ დროებას უფრო იქ მოსახლე ქართველი ხალხი აინტერესებს, მისი დღვანდელობა და მომავალი ბედი. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა დ. მიქელაძის სტატია ის დაბეჭდილია რუბრიკაში „ფელტონი“ სათაურით: „სურათი ოსმალო საქართველოს ცხოვრებიდამ“ (№2, 1873 წ. 15 იანვარი). წერილი პარიზიდანაა. იგი პირდაპირ საყვედურით იწყება: „დარწმუნებული ვარ, ბევრი საპატიო და დარბაისელი ადამიანი მონახება ჩვენში, რომელსაც არც კი გაუცნია, რომ რამდენიმე ასი ათასი ქართველი კაცი, მისი ძმები ოსმალეთის ხელშია დღესაც, ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად შეხვდებით იმისთანა პირს, რომელსაც შეეძლოს გითხრათ: რომელმა უბედურმა ისტორიულმა შემთხვევამ მოგაგლიჯა გულზედ ეგ ჩვენი ნათესავი ხალხი? როგორი ბედისა იყო ის შემდეგში და როგორ მდგომარეობაშია ეხლა? აქაც იგივე კითხვა – რა ხდება დღეს იქ „ოსმალეთის საქართველოში“. აწყოთი დაინტერესება აი, ის მთავარი საკითხი, რომლის დასმასაც ცდილობს დროება ამ სტატიებში, ზემოთ დასახელებულ ფელტონში. დ. მიქელაძე მოგვითხოვობს თუ, როგორ შეხვდა „ოსმალოს საქართველოდან“ წამოსულ კაცს პარიზში და გადმოგვცემს მის მონათხოვის. მოხუცი თხრობას შემდეგი სიტყვებით იწყებს: „თქვენ, ქართველები, არც კი ჰავითხელობო ჩვენს ამბავს: არ იცით, რა გაჭირვება გამოუვლია და ეხლაც, როგორ შევიწროვებულია თქვენი ძმები, თქვენი ერთ-ხორცი და სისხლი. იქნება პირველად გესმის ჩემგან, რომ მათი გული თქვენის სიყვარულითა და ერთგულებით სხვერს ნიადაგ. თქვენ შეუძლებელია არ იცოდეთ, რომ ოსმალო საქართველოს თქვენზედა აქს სასოება და ცისქვეშეთში თქვენს გარდა არავის შესცემრის იმედათ. დიდებული და სამართლიანი განგება რათ ანგებს, რომ ჩვენი ბედი სამუდამოთ დააშოროს ერთმანეთსა? რა დანიშნულება აქვს ჩვენს ხალხს კაცობრიობის წინაშე, რომ ის ნიადაგ დათხოებილი და მონობაში იქნეს? არა ეს შეუძლებელია! მე რომ ის იმედი არ მამხნევებდეს, რომ ჩვენ ერთდროს შეგიერთდებით და ძმურად ვიცხოვრებო – იმედი, რომ არა მქონდეს ამდენ ხანს თორმეტჯერაც ჩავიდოდი სამარეში... საუკუნეებით დაშორებული ძმები ისევ ჩავეხვევით ერთმანეთს ძმურის სიყვარულით და ჩვენს ცხოვრებას ერთი მაჯისცემა ექნება! ოსმალოს დიდი ხანი ადარა აქვს: დღეს არის თუ ხვალ, ეს სხვადასხვა ტომისაგან შევსებული სახელმწიფო უნდა დაინგრეს. მისი აღსასრულის უამს მალე დაპკრავს ზეციური ზარი... იქნება მე ვერც მოვესწრო ამ ბედნიერ დღესა, მაგრამ გახსოვდეთ თქვენი ძმები შვილო...“ რა

სიტყვებია, ჯერ საყვედური მერე ამოდენა სითბო და, რაც მთავარი მოვლენაა საოცრად რეალური განჭვრება, მოკლედ თხრობის ტონზე ეტყობა, რომ ასეთი მოხუცი რეალურად არ უნდა არსებულიყო. ეს ქართველი ინტელიგენციის ჩივილია „ოსმალოს საქართველოს“ მცხოვრებლის პირით გამოთქმული, რადგან მკითხველს აჭარის უფრო ახლოს გასაცნობად ცოცხალი აჭარელი სჭირდება. უსიქოლოგიურ ეჭვს იწვევს, რომ ეს ფელტონი, შეთხულია და ასეთი შეხვედრა არ უნად მომხდარიყო, რასაც მოხუცის შემდეგი ნამბობი ადასტურებს. იგი მოგვითხოვთ: „ხანოქარის ფირმანით, ჩვენ ოსმალო ქართველებს, მონიშებული გვქონდა უფლება სახდო კაცების აღმორჩევისათვის ჩვენს შორის. ისინი ვალდებული იყვნენ ხალხის საჭიროებისათვის ეშუამდგომლათ მთავრობასთან დაეცვათ მისი სარგებლობა“ ასეთმა რჩეულმა, ვიღაც ნომარბეიმ უდალატა ქართველებს. მათ გადაწყვიტეს მის ნაცვლად სხვა აერჩიათ, რის უფლებაც მთავრობამ არ მისცა. ამის გარშემო მოუხდა მოხუცს კონფლიქტი მთავრობასთან და იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო, იგი უცხოეთში მიემგზავრება. ჩემს სამშობლოში ადარ მიმესვლებოდა, ვიფიქრე: სხვაგან მაინც ვიძრძოლებ თავისუფლებისათვის, იქნებ ჩემს ქვეყანას დვაწლად ჩამეთვალოს მეთქი... იტალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, ყველგან თავისუფლების ბაირაიის ქვეშ ვიდეგ და მინდოდა შემეწირა ჩემი სიცოცხლე ჭეშმარიტებისათვის, მაგრამ შემიბრალა ღმერთმა, ყოველგრინ ცოცხალი გამუედი, იქნება ჩემი ქვეყნის უფრო ბედნიერ დღეს მოვესწრო და ამისათვის არ გამწირა ბედმა, ვინ იცის!“

და ასეთი გმირის ვინაობა დ. მიქელაქემ არ გვაცნობა „პარიუიდამ“ როგორ მოვიდა? როგორ გამორჩა? რა უბრალოდ, ეს ლიტერატურული ნუსხა სწორედ ამიტომაა უსახელოდ გმირი მოხუცი, მწერლის მოგონილი, მაგრამ მაინც რეალური და სახელიც ცნობილია მისი „ოსმალოს საქართველო“.

აღსანიშნავია ასეთი ხასიათის წერილებიდან ოსმალოს საქართველო სერგეი მესხისა, რომელიც გამოქვეყნდა 1875 წ დროების 76-ე ნომერში რუბრიკით – საქართველო. ამ რუბრიკით ხშირად ქვეყნდებოდა ეკონომიკური თუ პოლიტიკური და კულტურული ხასიათის საჭიროობო სტატიები. ეს სტატია წარმოადგენს თავისებურ რეცენზიას, ან ანალიზს გ. ყაზბეგის წიგნზე, რომელიც 1874 წელს დაიწერა აჭარა-გურიაში მოგზაურობის შემდეგ. სერგეი მესხი ისე თავგამოდებით ამტკიცებს აჭარლების და ოსმალოს საქართველოს სხვა მცხოვრებთა ქართველობას თითქოსდა მას ვიდაც ოპონენტი უნდა ჰყოლოდა. ე.ი. იყვნენ ისეთებიც ვისაც არ სჯეროდა მათი ქართველობა. „ერთი სიტყვით, მთელი ომალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდინა. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი. ხალხი თუმცა დიდი ხანია გამაპმადიანებულა, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებიან იქაურის ქართული ეკლესიის ნანგრევებში და შესაწირავი მიაქვთ. იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამომენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია, რომ ბედსა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ, ერთი მეფები გვყოლია, ერთი სარწმუნოება და ერთი ენა, სარწმუნოება ეს ვყელა იმათ ახსოვთ იმათ იცია!“

„მაგრამ ჩვენ?“

უკვე მერამდენედ გაისმის დროების სტატიებში, რომ ჩვენ არ ვიცით, ჩვენ უნდა ვიცოდეთ. მართლაც და ძნელი იყო ქართველ ხალხს დაწვრილებით ცოდნოდა, თუ რა ხდება „ოსმალოს საქართველოში“ ისინი სამასი წლის განმავლობაში მოკლებული იყვნენ ძმებთან ერთობას. სწორედ „ოსმალოს საქართველოს“ გაცნობაა ამ სტატიის მიზანი და ამ საკითხს კიდევ ბევრი სტატია მიეძღვნა დროებაში. მათ გარშემო ქვემოთ ვიმსჯელებთ. ს. მესხი აგრძელებს: „ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე მთებს გადაღმა ორას ათასამდე ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილი, ძმები ვართ რომ იმათ ძალ-დატანებით სარწმუნოება შუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან?“

ან თუ ახელვს ვინმექს, ვინ ცდილობს, რომ ჩვენ შორის ისტორიულ ვითარებათა წყალობით გაწყვეტილი კავშირი და იმათი მდგომარეობა გაეცნო და აგრეთვე გაეცნო ჩვენი თავი ჩვენი მოქმედებისათვის.

ს. მესხი ცდილობს დააინტერესოს ქართველი მკითხველი აჭარლებით, ცდილობს კონტაქტი გააბას ძმებს შორის. სტატიის ბოლოს იგი მკითხველებს მოუწოდებს: „ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ მცირე ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეული შეეხება. სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“. გაზეთს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლია დაეხმაროს ამ საქმეს“.

მართლაც ასეთმა მოწოდებამ შედეგი გამოიღო. წერილები რედაქციაში მოდიოდა. სანამ ამ წერილებს განვიხილავდეთ მინდა გაგაცნოთ „დროების“ კორესპონდენცია, რომელიც სერგეი მესხის ხენცხულ წერილამდე დაიბეჭდა დროებაში. ეს წერილი მაგალითია იმისა, რასაც ს. მესხი მოითხოვდა მკითხველისაგან. წერილი დაბეჭდილია 1875 წლს მე-9 ნომერში. მისი ავტორია კონსტანტინე გეგიაძე ოზერგეთიძან. წერილი აკაკის ლექსის კუპლეტით იხსენება:

„როგორც რომ სპილო არაა მანამ  
სპილოს თუ არ ექნება ხორთუმი

ისე კავკაზი, კავკაზათ,

თუ არ ექნება ბათუმი“.

ჩვენ გურულებს, მწარეთ გვაგონდება ის უბედური შემთხვევა, რომ ჩვენ დიდი ხანია მოვაკლდით ერთობას იმ გურულებთან, რომელიც დღეს ოსმალეთის ქვეშერდომნი არიან და შეადგენენ აჭარის, ქობულეთის და ლაზისტანის მცხოვრებლებს“.

სტატიის ავტორი ცდილობს მოშალოს ტომობრივი და სარწმუნოებრივი ზღვარი „ოსმალოს გურულებს“ და ისე გურულებს შორის და კიდევ ერთხელ აგრძნობინებს მკითხველს, რომ ჩვენ ერთი სისხლი და ერთი ხორცი ვართ. უკვე პირდაპირ აყენებდნენ საკითხს: „ჩვენ დაკარგული ძმების, ოსმალო გურულების ხელახლა დაბრუნება შეგვიძლია...“ ავტორი მზადაა საომრად და წერილიც მეომრული სულისკვეთებითაა გაედენთილი. ავტორი განაგრძობს: „ვისურვოთ და, რომ ოდესებ მკლავის ძალაც საჭირო დარჩებოდეს ამ წმინდა ნატვრის სისრულეში მოსაყვანად მაშინაც დავამტკიცებდით, რომ ჩვენ მათვის მზათ ვართ ყველა შენიშვნებისათვის“.

მართლაც გურულებმა თავისი სიტყვა შეასრულეს გაზეთი „დროება“ იტყობინება, რომ შორაპანის მაზრაში ყოველ ას გლეხზე ორი – რუსეთ-თურქეთის ომში უნდა წასულიყო, მსურველები ათჯერ მეტი აღმოჩნდა. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები. ეს გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო. ისტორიულ-აღმინისტრაციულ ერთეულში, როგორიც იყო გურიის სამთავრო, ბათუმი და ქობულეთიც შედიოდა. ასე, რომ ვის უნდა ცოდნოდა უკეთესად „ოსმალოს ქართველების“ გასაჭირო, თუ არა ყველაზე ახლო მეზობელს, დვიძლ ძმას. წერილებიც აჭარის ამბებზე გურიიდან მოდიოდა. აჭარლებიც ხშირად ჩადიდიოდნენ გურიაში, კერძოდ ოზურგეთში. ჩადიოდნენ არა მხოლოდ ქობულეთლები, არამედ ზემო აჭარიდანაც. ზაფხულობით მათი საძოვრები ესაზღვრებოდა ერთმანეთთს. 1875 წლის „დროების“ 141-ე ნომერში დაბეჭდა ფელეტონი რუბლიკით „აჭარლების საუბარი“. აქ მოთხოვნილია სამი აჭარელის ამბავი, რომლებიც ოზურგეთში ჩავიდნენ – ერთი ხულოელი და ორი ღორჯომელი. გვარებიც მოყვანილია ბერიძე, ირემაძე და კორინტელოდლი (ალბათ კორინთელი) ისინი „ნაჩალნიკთან“ მივიღნენ საჩივრად მეგრელებმა ჩვენი 4 კამები წამოასხეს თავის ნახირთან ერთადო. „ნაჩალნიკი“ ვერ დაეხმარა მაშინ მათი დახმარება ეკისრა ბათუმელ ხომერიკს. მან დაიარა მეგრელთა ჯოგები და ორი კამები აპოვნინა აჭარლებს. ისინი დიდად მადლიერი წასულან...

1875 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო სტატია რაფიელ ერისთავისა, „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე“ (1875 წ. №80-81). სტატიაში

რაფიელ ერისთავი ჩამოთვლის „ოსმალოს საქართველოს“ ტოპონიმებს და იქ გავრცელებულ გვარებს. სტატია შემდეგნაირადაა აგებული. ქობულეთის შემოგარენში გავრცელებული გვარები, შემდეგ ხინოში, დაბლა აგარაში, შუაში ბათუმში, ლივანაში, არდანევაში, პარხალში, ჯანცაში და სხვაგან. შემდეგ იმავე რიგით იძლევა ტოპონიმებს და იქ შემორჩენილი ისტორიული ძეგლების მოკლე აღწერას. ეს უკვე დოკუმენტური მტკიცებაა, რომ აქ ჯერ ისევ ქართველები ცხოვრობენ და მათი გამაპმადიანება სულ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თურქები არიან.

1875 წელს მნიშვნელოვანი ამბები მოხდა ოსმალეთის იმპერიაში – დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყდნენ ბოსნიელები და პერცოგონელები. მალე მათ აჯანყებას შეუერთდნენ ბულგარელები, სერბიელები, ხერნოგოვიელები, რის შედეგადაც მან მიიღო სლავი ხალხების ეროვნულ-განმათვისუფლებელი ომის ხასიათი. თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. უკამაყოფილო აჭარლები აჯანყდნენ. „დროება“ ხშირად ეხმაურებოდა აჭარლების აჯანყებას და პერიოდულად აქვეყნებდა იქედან მოსულ ცნობებს. 1875 წ. №101, რუბრიკა საქართველო: „არეულობა ოსმალოს საქართველოში“. ავტორია გურული მოკვდ-მორჩიაშვილი, ოზურგეთი 31 აგვისტო. „ოსმალეთის მთავრობამ, გასული აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ხონტქის ფირმანით გამოუცხადა ხალხს, რომლის ძალით თხუთმეტი დღის განმავლობაში რედიფები (შინ გაშვებული ძველი სალდათები) უნდა შეაკრიბათ და საომრად გაეგზავნათ აჯანყებული პერცოგონისა და სხვა სლავიურ ხალხების დასანშვიდებლად“.

ხალხმა უარი თქვა, მხოლოდ ადგილობრივ საზღვრებს დავიცავთო. მაშინ ოსმალო ფაშას ბრძანება გაუცია ძალით გამოეყვანათ, ვინც წინააღმდეგების გასწევს საზღვარი გადავწიოთო. „თუმცა ქობულეთის კაიმაკამი, ოსმან-ბეგი თავდგირიძე ძალიან ცდილობდა, რომ ეს ბრძანება მშვიდობიანად და ძალდაუგრანებლად აესრულებინა. მაგრამ წყენით არ გაუვიდა რა და შემდგომ ყირსარდლები (ჟანდარმები) გაგზავნა სოფლებში.“

„სოფლებმა ახლოს არ მიუშვეს ჯარი და ზოგან თოფიც გავარდა, შეტაკებაში ერთი კაცი მოკლეს და სამი დაჭრეს. იძულებული იყვნენ სოფლებიდან ჯარი უკან დაებრუნებინათ“.

იმავე წლის №104 „დროება“ რუბრიკით „დღიური“ აქვეყნებს ცნობას „ოსმალოს საქართველოდამ (ქობულეთიდამ) არეულობის თაობაზე, პირველი ცნობის შემდეგ, საუბედუროთ, ჯერ არაფერი არ მოგვსვლია. ოზურგეთის გარდა, ბათუმშიც გავგზავნეთ წიგნი ერთ იქაურ ჩვენი გაზეთის ხელმომწერთან და ვსთხოვთ, რომ უველაფერი დაწვრილებით შეგვატყობინოს, რაც მოხდება, ამნაირად იმედი გვაქს, რომ იმ მოუთმენელ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას, რომელიც თუ არა აქს, უნდა ჰქონდეს, ამ შემთხვევაში ჩვენს საზოგადოებას მალე დაგაქმაყოფილებთ“.

ეს ცნობა იმითაა საყურადღებო, რომ გაზეთ „დროების“ ხელისმომწერი დაცყრობილ ტერიტორიაზე, ოსმალოს საქართველოში, ბათუმში ჰყოლია. „დროებას“ ქობულეთლებიც კითხულობდნენ. 1875 წლის №109 დროებაში ქობულეთის მცხოვრებ ოსმან თამაზ-ოდლის კორესპოდენცია, სტატიაში მოთხოვნილია სულთნის ჩინოვნიკების ბიუროკრატიზმსა და მომხვეჭელობაზე და, საერთოდ, უსამართლობაზე. ხშირად რუბრიკით დღიური გამოჩნდება ხოლმე კორესპონდენცია, ქობულეთიდან გვწერენ...

საინტერესო ამბავია მოთხოვნილი „დროებაში“ №138, 1875 წელს. გურიიდან ვიდაც როსაპოშვილის გაზეთი ჩამოუტანია კითხვა კი არ იცოდნენ, ქალებს კი სცოდნიათ, მაგრამ სახლიდან ვერ გამოვიდნენ, მერე ფარეიშვილის ბავშვი გაუგზავნიათ გელა კაიკაციშვილთან და იმას წაუკითხავს გაზეთი მათვის. გელა კაიკაციშვილს წერილიც გამოუქვეყნებია №143-ში „წერილი რედაქციასთან“. ეს

წერილი ცნობილია ფართო საზოგადოებრიობისათვის და მის გარჩევას ადარ შეუდგებით. როგორც ზემოთ მოხსენებული მასალებიდან სჩანს დროებას მოუხერხებია და ნაწილობრივი კონტაქტი დაუმყარებია ოსმალოს საქართველოსთან. ეს გაზეთის პრაქტიკული ნაბიჯი იყო განთავისუფლების საქმეში. საზოგადოებრივი აზრი კი უკვე თითქმის მზად იყო. ქობულეთელთა აჯანყებამ კიდევ უფრო დააინტერესა საზოგადოებრიობა. ისინი მოუთმენლად ელიან ცნობებს ქობულეთიდან და „დროებაც“ არ უმტყუნებდა იმედს, აჯანყების ამბები დაწვრილებით ქვეყნებოდა.

ამ სტატიებიდან ჩანს, რომ ოსმალებმა ვერ შეძლეს ჩაერთოთ აჭარელი გლეხები სხვა ხალხთა წინააღმდეგ ომში. ნელ-ნელა აჯანყების თემა კლებულობს და უფრო აქტუალური ხდება წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ ოსმალო მოხელეების უსამართლობაზე (№114, 1875). ამ ხანებში გამოქვეყნდა აგრეთვე ისტორიული სამეცნიერო მიმოხილვა ინგილო ჯანაშვილისა (№115, 116, 118) სათაურით „ოსმალო საქართველო 1323 წლიდან ვიდრე 1579 წლამდე“. გაზეთი იუწებოდა აგრეთვე სხვადასხვა შემთხვევებს აჭარელთა ცხოვრებიდან. მაგ. №130, 1875 წელი. ეურადღების ღირსია №120-ში 1875 წელს გამოქვეყნებული ცნობა.

„აჭარის სოფელში მსხალას შური-ბეგი ხიმშიაშვილის<sup>11</sup> სასახლეში შემდეგი ამბავი მოხდა. შური ბეგის ვაჟი მურთუზა-ბეგი და რამოდენიმე ახლო-მახლო სოფლების აღები იწვნენ ზემო ეტაჟის ერთს ოთახში მათ შორის ერთი იყო თათრის მოლა, რომელიც გათენებისას ადგა სალოცავად და გაადგინა სხვებიც იმ ოთახში მძინარენი, როცა ყველანი ადგნენ, შეხედეს, რომ ბეგი არ დგება, ახლოს მივიდნენ და გაკვირვებით დაინახეს, რომ ეს ვაჟი სისხლში სცურავდა. ის მკვდარი იყო. კარგად დახედეს, ნახეს, რომ ტყვია მოხვედროდა ერთს ყურში და მეორეში გავარდნილიყო. ეს ამბავი მით უფრო გასაკვირი შექმნილა იმათვის, რომ ამდენ ხალხში არავის ტყვიის ხმა არ გაუგონია. ამ საქმეს თაობაში ახალი გამოძიება არ დანიშნულა, წერს ჩვენი კორესპონდენტი, მაგრამ ჯერ ვერ გაიგეს რით“

გამოძიეს ეს ამბავი და თუ არა სამწუხაროდ ამაზე დროება არაფერს გვეუბნება. ერთი წლის მანძილზე (იქნებ დააინტერესოს აჭარის ამ პერიოდის ისტორიის მკვლევარნი ზემოთ მოყვანილმა სტატიაში და რამე გაარკვიონ მის ირგვლივ), 1875 წელს ყველაზე მეტი სტატია დაიბეჭდა „დროებაში“ ოსმალოს საქართველოს შესახებ. 1876 წელს კი მხოლოდ სამი, №71, 74, 92.

1877 წელს დაიწყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ნანატრი ომი და... აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს. 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომზე დროებაში გამოქვეყნდა 44 სტატია, 77 კორესპონდენცია, 667 დეპეშა თუ მიმოხილვა. „დროების“ დვაწლი აჭარის განთავისუფლების საქმეში და საერთოდ სამასი წლის დაშორებულ ძმებთან შესახვედრად ფსიქოლოგიურ მომზადებაში შეუფასებელია. ასევე დიდი როლი ითამაშა შერიფმაც, მისი როლი შემდგომშიც – განთავისუფლებულ აჭარაზე ზრუნვაში ორჯერ მეტია.

ილიას ახალი ორგანო, „საქართველოს მოამბის“ შემდეგ გახლდათ „ივერია“. იგი 1877 წლის 1 იანვარს გამოვიდა და მაშინვე გვერდით ამოუდგა „დროებას“, „დროშის“ დახურვის შემდეგ „ივერია“ აგრძელებდა დაკისრებულ მოვალეობას. „ივერიის“ გამოსვლის წელი ემთხვევა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წელს, ამიტომაც ივერიაში ცოტა მასალად განთავსებული, შემოერთების შემდეგ კი იცოცხლე, თითქმის ყოველ მეორე ნომერში. ჩვენ კი მხოლოდ ომის დაწყებამდე გამოქვეყნებული სტატიებით ვართ ამჟამად დაკავებული. გაზეთის მე-13-ე ნომრიდან იწყება პირველი სტატია აჭარაზე, მისი ავტორია პეტრე უმიკაშვილი, ცნობილი ქართველი მეცნიერი. „ოსმალოს საქრთველო – აჭარა, შავშეთი, ლივანა,

<sup>11</sup> ალბათ შერიფ ბეგი თუ იგულისხმება.

ქლარჯეთი, ტაოსკარი და კოლა, ჭანეთი, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა“ (ინგოროვა, ????:452). №15,18,20,21,23 და 44-ე ნომრები ეთმობა ამ სტატიებს.

უთუოდ მეტ ინტერესს იწვევს საქართველოს მამის – დიდი ილიას წერილი („ივერია“, №9, 1877 წ.). ამ შესანიშნავ წერილში ილია ეხება ისტორიის ერთობის ფაქტორის მნიშვნელობას ერთს ცხოვრებაში და აღნიშნავს იმ განუყრელ კავშირს, რომელიც არსებობს დედა-საქართველოს და მისგან ხელოვნურად მოკვეთილს, მტრის მიერ მიტაცებულ ოსმალოს საქართველოს შორის“.

ილია წერს: „ეოვალი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონებს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნებით და გონებით აღმატებულობას, თავის ვინაობისთვის თვისებას... ერი, ერთის დგაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უდელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული-ერთსულობით, ერთგულებით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალობა, იდუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულ ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულებამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენ და ოსმალეთის საქართველო“.

პავლე ინგოროვას თქმით, ილიამ ამ წერილში დაგვანახა ისტორიული ერთობის ფაქტორის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. სტატიაში ფილოსოფიურადაა განხილული ისტორიული ერთობის მნიშვნელობა და შემდეგ პროფესულად დანახული მომავალი ერთობა საქართველოსი და ოსმალო საქართველოსი.

„ივერიას“ აჭარის განთავისუფლების კვალობით, მეტი მნიშვნელოვანი სტატიის გამოქვეყნება აღარ მოუხდა, დაიწყო ომი და უკვე გაზეთი აქვეყნებდა ცნობებს რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ. ამ პერიოდში დაიბეჭდა 62 სტატია (საპოლიტიკო მიმოხილვა) 282 დეპეშა და სხვა სახის ინფორმაცია ფრონტის შესახებ.

ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიდო ოსმალეთთან ომის დროს 1877-78 წლებში. სამწუხაროდ სახაზინო პრესაში ქართველი ხალხის დგაწლი მიჩქალული იქნა. ყველაფერი მხოლოდ რუსულ ძლევამოსილ არმიას მიეწერებოდა. მაშინ, როცა შოროპანის მაზრაში ყოველ ას გლეხზე ორი ომში უნდა წასულიყო, მსურველები ათჯერ მეტი გამოჩნდა – 21274 კაცი. მაგრამ „დროებასა“ და „ივერიაში“ სჩანს ქართული სახალხო ლაშქრის საბრძოლო სულისკვეთება, სჩანს მის ფურცლებზე განთავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლი. 1879 წლის იანვრის ნომერში ილია წერს „.... ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა. მიიღო კიდეც ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი! ...“ ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს? კითხულობს ილია. შემდგომშიც, მრავალი წლის მანძილზე იყვნენ „ივერია“ და ილია აჭარის ბედ-იდბლის განმკითხველნი.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ უფრო „დროება“ მიმოვიხილეთ, რადგანაც იგი სხვა გაზეთებთან და ჟურნალებთან შედარებით მეტ ადგილს უთმობდა ოსმალოს საქართველოს. რომლებიც ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივი აზრზე. გაზეთი მეოთედურად ცდილობდა ამას. ჯერ საყვედური, მერე გაცნობა, ისტორიითა და დღვენდელობით დაინტერესება, კონტაქტები ოსმალოს ქართველებთან და ბოლოს – რუსეთ-თურქეთის ომი, სადაც „დროების“ და მისი თანამშრომლების მიერ შემზადებული ქართული სახალხო ლაშქარი შიშის ზარს დასცემს ციხისძირსა და ხუცუბანთან ასკერებს. ოსმალოს ქართველებიც მზად აღმოჩნდნენ მმებთან შესახვედრათ, ჩვენ ვფიქრობთ გარკვეული წვლილი აქაც აქვს „დროებას“. განა მისი კორესპონდენტები არ იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ოსმალოს ქართველები – დიდი პატრიოტები და ნამდვილი

ქართველები: გულო კაიკაციშვილი, თამაზ-ოდღი და სხვები, რომლებიც უცნობი დარჩნენ ჩვენთვის სხვადასხვა კონსპირაციულ კითრებათა გამო.

„დროებისა“ და „ივერიის“ ღვაწლი განუზომელია არა მარტო ოსმალოს საქართველოს განთავისუფლების საქმეში, არამედ მთელი XIX საუკუნე ქართული აზროვნება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მის წინაშე კალამია.

### გამოქვეყნებული ლიტერატურა

1. ახვლედიანის ხ., სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია, ბათუმი, 1960
2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი, 1987
3. ინგოროვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 1, თბილისი, 1963
4. მესხი ს., თხზულებანი, თბილისი, 1963
5. მაისურაძე ი., მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე, თბილისი, 1943
6. მაისურაძე ალ., მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე, თბილისი, 1943 (ინახება ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში)
7. პაიჭაძე გ., ქართული საზოგადოებრივი აზრი თსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების შესახებ XIX ს-ის 70-იან წლებში. – მაცნე, ისტორიის... სერია, III, თბილისი, 1978
8. სინ - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1974; V, თბილისი, 19770
9. ქართული გაზეთების ანალიზიკური ბიბლიოგრაფია. – „ტექნიკა და შრომა“, II, თბილისი, 1952
10. ქართული უურნალების და კრებულების ბიბლიოგრაფია, ნაკვ. 2, თბილისი, 1941
11. ქსე - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, თბილისი, 1978

## ინგლისელები ბათუმში

1918 წლის ნოემბრიდან ბათუმის ოლქი ინგლისელების ოკუპაციის ობიექტად იქცა. თურქი ხელისუფლების მსგავსად, სამუსლიმანო საქართველოს ძარცვა და გლეჯა ამიერიდან ინგლისელებმა ითავეს და არანაკლებ სადისტური მეთოდებით წარმართავდნენ თავიანთი მიზნების განხორციელებას. ერთი მხრივ, დამარცხებული თურქეთის ხელისუფალნი ხელს როდი იღებდნენ სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ბათუმის ოლქზე და თავიანთი დასაყრდენი ძალებით აგრძელებდნენ ფარულ თუ აშკარა მუშაობას; მეორე მხრივ, ინგლისელები, რომლებიც მოევლინენ ბათუმის ოლქს, მსოფლიო რეაციულ ძალებთან კავშირში ადგენდნენ გეგმებს მხარის უცხო ქვეყნების ორბიტაში მოსაქცევად, საქართველოზე მოსაცილებლად და დასანაწილებლად.

უკრავდასადებია მრავალმხრივი ოფიციალური ისტორიული მასალები თუ მემუარული წყაროები. იტალიის სამხედრო მისიის მეთაური, პოლკოვნიკი გაბა, თავის მთავრობას ატყობინებდა: „ინგლისელები, არ არიან დაინტერესებული ბათუმსა და ბათუმის ოლქში ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენაში... ბათუმს არ შეუძლია არსებობა საქართველოს გარეშე“ (სიორიძე, სურგულაძე, 1995:40).

ინგლისელების ბათუმის ოლქში ბატონობის დროს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ქორდანია წერილით მიმართავს პოლკოვნიკ გაბას, რომელშიც ნათქვამია: „...ჩვენი საზღვრები არა მარტო იმყოფებიან საშიშროების ქვეშ, არამედ ისინი დღემდე ცნობილი არაა. ის, ვინც ცოტა მაინც იცის საქართველოს რუკა, დარწმუნდება, რომ საქართველო ბათუმის გარეშე და ბათუმი საქართველოს გარეშე ვერ შესძლებენ არსებობას. მიუხედავად ამისა, ბათუმის ბედი წყდება ჩვენი აზრისა და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების გარეშე. ბათუმის სახელმწიფოს შექმნა, რის შესახებაც ჩვენ გვაცნობა საფრანგეთის მისიამ, ნიშნავს ან საქართველოს სახელმწიფოს დაღუპვას, ან ბათუმის დაღუპვას, ვინაიდან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მათი არსებობა ერთმანეთის გარეშე“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დონისძიებების მიუხედავად, ინგლისის სარდლობა აგრძელებდა თავის თავშეუკავებელ მოქმედებას ქალაქ ბათუმში და ბათუმის ოლქში. ევგენი გეგეჭკორი, 1920 წლის 15 მაისს, პოლკოვნიკ გაბასადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „ჩემი მთავრობის სახელით, ჩემს მოვალეობად ვთვლი განვაცხადო ყველაზე გადამწყვეტი პროტესტი გენერალ პუბ-კოლისის უმსგავსო მოქმედების წინააღმდეგ. შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ბათუმის ოლქის ქობულეთის რაიონში მოქმედებენ, გაჩნდნენ არა გუშინ. ჩემი მთავრობის სახელით არა ერთხელ გაცნობეთ, რომ მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული, თურქი და ბოლშევიკი აგენტები, საოკუპაციო ხელისუფლების თვალწინ თავისუფლად ეწეოდნენ პროპაგანდას, ქმნიდნენ დაქირავებული აგენტების ჯგუფებს ჩვენს წინააღმდეგ. ამისათვის დაიხარჯა რამდენიმე მილიონი მანეთი... ინგლისის სარდლობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩვენს პროტესტებს. ბათუმი გახდა ნამდვილი ბაზა, საიდანაც ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია ველოდოთ თავდასხმას.

საქართველოს მთავრობა დღემდე ახერხებდა ამ საშიშროების პარალიზებას, ბათუმის ოლქის სამხერეთ-აღმოსავლეთ რაიონში თავისი ჯარის ნაწილების განლაგების საშუალებით, სადაც სიმშვიდეა და არსებობს საშუალება, დაცულ იქნეს საქართველოს საზღვრები თურქეთის შემოტევისაგან. ამის შემდეგ ხენებულმა ბანდებმა თავი მოიყარეს ქობულეთის რაიონში. ამან გვაიძულა შეგვეყვანა ამ რაიონში ჩვენი ჯარები, ინგლისის სარდლობა ამაში დაინტერესებულ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ლაპარაკია ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაზე და რაიონში წესრიგის დამყარებაზე. მაგრამ ვამტკიცეთ, რომ მოხდა

სრულიად საწინააღმდეგო, როდესაც ჩვენი ჯარის ნაწილები შეიქრნენ ქობულეთის რაიონში და დაიწყეს ბრძოლა ზემოხსენებული ბანდების წინააღმდეგ, რომელთა სათავეში იდგნენ თურქი ოფიცრები და პაიჭაძის (ინგლისელი ექიმის მკვლელის) ტიპის მოდალატე ელემენტები. საქმეში ჩაერია ინგლისის სარდლობა. პირველ რიგში გენერალი მილი, რომელიც ბანდების წინააღმდეგ სროლის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა სროლის ქაშ და მისცა ამ ფაქტს ისეთი შეფასება, რომ თითქოს ჩვენი ნაწილები ესროდნენ მას და ბრძანა უკანვე გაეყვანათ ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი. როდესაც ჩვენი მთავრობა მიდიოდა რა დათმობაზე, შეასრულა ეს მოთხოვნა, გენერალმა კუპ-კოლისმა მოითხოვა საერთოდ, ჩვენი ჯარების გაყვანა ამ რაიონიდან. მან ჩვენს წინააღმდეგ წარმართა ინდოელთა რაზმი, რომელიც ცეცხლის გახსნით გვემუქრებოდა. ქობულეთის რაიონში ჩვენს წინააღმდეგ ბანდების მოქმედება დაემთხვა საბჭოთა აზერბაიჯანის საომარი მოქმედების დაწყებას საქართველოს წინააღმდეგ. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ეს ორი ფრონტი ერთია: აქაც და იქაც ერთიდაიგივე მტერია.

გადასტურებ რა გენერალ კუპ-კოლისის ჩვენდამი მტრულ მოქმედებას, რაც ეწინააღმდეგება ანტანტის ქვეყნების, კერძოდ ბრიტანეთის მთავრობის განცხადებებს საქართველოს რესპუბლიკისადმი, გთხოვთ აცნობოთ ეს თქვენს მთავრობას, ამავე დროს, ჩემი მთავრობის დავალებით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს შემდგომ მოქმედებაში სრული თანხმობის ინტერესებისათვის. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ბათუმში დანიშნულ იქნება ადამიანი, რომელთანაც მას შეიძლება ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს“ (სურგულაძე, 1998:68.).

ინგლისის სარდლობა თვითნებურად აგრძელებდა ბათუმსა და მის ოლქში აღვირასსნილ მოქმედებას; ევგენი გეგეჭკორის, 1920 წლის 16 მაისის წერილში კონკრეტულადაა მითითებული და ჩამოთვლილი ინგლისელთა ნამოქმედარი ბათუმის ოლქში, კერძოდ, წერილში ნათქვამია: „სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით, არაერთხელ მივაქცევდით დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ყურადღებას იმ არანორმალურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ბათუმსა და მის ოლქში ბრიტანეთის ოკუპაციის პირველ დღიდანვე. ამის დასადასტურებლად, აუცილებლად მიმაჩნია აქ ჩამოვთვალო ის ფაქტები, რომლებმაც თავის დროზე მიიქციეს ჩვენი ყურადღება და გახდნენ ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგნლებთან ჩვენი მიმოწერის საგანი.

1919 წლის 5-6 თებერვალს დამით, მდ. ჩოლოქის ხიდზე გუშაგებმა სროლა აუტეხეს ქართველ მესაზღვრეებს, რომლის შედეგად ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე დღეს, უმიზეზოდ, ქართული ჯარის ოფიცერი აბაშიძე, მის მშობლიურ სოფელ ბორჩხაში მიმავალი, ბრიტანეთის ხელისუფლებამ დააკავა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ბათუმში პოლკ. გედევანიშვილმა მიღება სოხოვა გენერალ-გუბერნატორს, მაგრამ დროის უქონლობის გამო მან იგი არ მიიღო.

იმავე წლის 1 ივნისს ჩემს განცხადებაში, რომელიც მიმართული იყო ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდლისადმი, პროტესტს ვაცხადებდი გენერალ-გუბერნატორის პოსტზე გენერალ რომანოვსკი-რომანენკოს დანიშნვის გამო, რომელმაც პირველმა შექმნა ანარქია ბათუმში.

ამავე წლის 20 და 21 თებერვლისა და 1920 წლის 6 მარტის წერილებში ვაცნობებდი საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს და პოლკოვნიკ ჰასკელს, რომ ბათუმში ბოლშევიკებისა და თურქეთის აგენტების ორგანიზაცია, მათი ჯგუფებად შექმნა ხდება ბრიტანეთის ხელისუფლების თვალწინ, ხოლო ეს ჯგუფები იქმნება ერთადერთი მიზნით: შექმნას ანარქია ქვეყანაში და გააჩაღონ სამოქალაქო ომი მთელს ამიერკავკასიაში. საქართველოს რესპუბლიკისა და ანტანტის მტერმა თავშესაფარი ჰპოვა ბათუმში და იქ შეიქმნა ბაზა ძირგამომთხოველი მუშაობისათვის. ქობულეთის რაიონში ასეთ ბანდებს

სათავეში უდგანან თბილისში ინგლისელი ექიმის მკვლელი პაიჭაძის მსგავსი სხვა აგენტები, რომლებმაც თავიდან აიცილეს თბილისში მართლმაჯულება.

მიმდინარე წლის 6 მარტს ვაცნობე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს და ლორდ კერზონსაც ის ფაქტი, რომ გენერალი კუპ-კოლისი არიგებს იარაღს ბათუმის მოსახლეობაში და ქმის რაზმებს ქართული ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც უკავია ზოგიერთი პოზიცია ამ რაიონში.

5 აპრილს, სოფელ კინტრიშში, ხიდის აფეთქების მეორე დღეს, კვლავ მივაქციე თქვენი უურადღება იმ არასასიამოვნო ფაქტებს, რაც ხდება ბათუმის რკინიგზაზე და გამოვთქვი პროტესტი გენერალ კუპ-კოლისის განცხადების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით, თითქოს, ამ რაიონის მოსახლეობა განწყობილია ქართული ჯარის წინააღმდეგ, რაც უსაფუძვლო განცხადებაა, თქვენდამი მიწერილ წერილებში და პირადი საუბრის დროსაც, ყოველთვის თქვენს უურადღებას მივაქცევდი ინგლისის სარდლობის დაუინტერესებლობას, დაამყაროს წესრიგი ბათუმსა და ბათუმის ოლქში, მიიღოს ზომები საზოგადოებრივი დაწესებულებების, მაღაზიების მდარცველების წინააღმდეგ. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბათუმის ბაზარზე სრულიად თავისუფლად იყიდება თურქეთიდან ჩამოგანილი ვაზნები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და შაშხანები. ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლები კრებებზე და მიტინგებზე დევნიან იმათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის მხარდასაჭერად გამოდის, ხოლო ანტიქართულ ელემენტებს ეძლევათ სრული თავისუფლება... (სცსა, 14).

საქართველოს გააჩნია ბათუმსა და ბათუმის ოლქში მეტად მნიშვნელოვანი ინტერესები, რომლებიც დაფუძნებულია პოლიტიკურ, ეროვნულ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ მოსაზრებებზე. რომ უდალატო ამ მოსაზრებებს ან უარი თქვა მათზე, ეს იქნებოდა გამოუსწორებელი კრახი... როდესაც ჩვენ სანდო წყაროებიდან მივიღეთ ცნობები, რომლებიც შეეხებოდნენ ინგლისის ჯარების გაყვანას ბათუმიდან, საქართველოს მთავრობამ დაინახა საშიშროება, რომელიც თურქეთის, აზერბაიჯანისა და ბოლშევიკების მითითებით მოქმედი ანარქისტული ელემენტებისაგან ემუქრებოდა ამ რაიონს, უბრძანა თავისი ჯარის ნაწილებს მისულიყვნენ ბათუმის რაიონის საზღვრებთან და დაეკავებინათ ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტი, უკვე დატოვებული ბრიტანეთის ნაწილების მიერ. მას ჰქონდა ამის უფლება ბრიტანეთის სარდლობასთან ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, მაგრამ გენერალმა კუპ-კოლისმა ეს არ დაუშვა და ჩვენი ჯარების უკან დახევა მოითხოვა.

...ბანდიტურ ჯგუფებთან ქართული ნაწილების შეხვედრის დროს, იქ აღმოჩნდენ ინგლისელი ოფიცირები - კაპიტანი რეინიკი და ლეიტენანტი როლების გენერალ მილნის სახელით აიძულა ქართული ჯარები შეჩერებულიყვნენ. გარდა ამისა, ინგლისელებმა ქართველებს ბრალი დასდეს იმაში, რომ ისინი თითქოს ესროდნენ არა ბანდიტებს, არამედ ინგლისელებს, მათ შტაბებს და სხვა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მტკიცე პროტესტს აცხადებდა ინგლისელების მტკიცების წინააღმდეგ, რომ თითქოს „ქართულმა არტილერიამ ესროლა გენერალ მილნის შტაბს“ და თითქოს ქართული ჯარის ნაწილები „ინგლისის სარდლობის თანხმობის გარეშე შევიდა ბათუმის რაიონში“ (სცსა, 25).

სამუსლიმანო საქართველოს, კერძოდ აჭარის მოსახლეობა მტკიცედ იდგა ქართულ, ეროვნულ ტრადიციებზე, კოლხური სიმტკიცითა და სიდინჯით მუდამ-უამს ერის ერთიანობის, შეკავშირების პოზიციები ეჭირა. ამ მოსაზრების ერთერთი დამადასტურებელია 1919 წლის 31 აგვისტოს, სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ერილობის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ბათუმის ოლქის მუსულმან-ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალაქ ბათუმში, რიცხვით ასი. 1919 წლის აგვისტოს 31-სა, კვირას, ვაცხადებო ერთხმად

დგთისა და ქვეყნის წინაშე, რომ ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს (აცსა, 51).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და პარლამენტის წევრი – გრიგოლ ურატაძე, მუსლიმან ქართველთა 1919 წლის 31 აგვისტოს კრილობის დადგენილების გამო, აჭარის ავტონომიის სტატუსით საქართველოსთან შეერთების შესახებ, წერდა: „ამ დადგენილებას იმითაც პქნედა დიდი მნიშვნელობა, რომ მისი მიღების დროს ბათუმსა და მის ოლქში ფორმალურად არსებობდა ინგლისელების ოკუპაცია, ფაქტიურად ხელისუფლება დენიკინელების ხელში იყო, მან დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოს ყველა რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მან ღრმად ადაშფოთა როგორც დენიკინელები, ისე თურქეთის აგენტები, რომლებიც თავის მხრივ არანაკლებ ენერგიულ პროპაგანდას ეწეოდნენ მთელი ოლქის თურქეთთან შეერთების სასარგებლოდ. მათ საერთო ძალით სცადეს გაეფანტათ ამ გადაწყვეტილებით მოხდენილი შთაბეჭდილება“ (აცსა, 66).

1920 წლის 18 მარტს, ბათუმის ოლქის მუსულმანთა გაერთიანებულმა საბჭომ დეპეშა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კავკასიაში, საფრანგეთის და იტალიის მისიების თავმჯდომარებელს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და საქართველოს დამფუძნებელ კრებას, ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „ბათუმის ოლქის შეერთებულ მუსულმანთა საბჭოს სახელით ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას, რომ თუ დღემდის ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით დედასაქართველოსთან შეერთების, ეს იყო შეუთანხმებლობა ზოგიერთ საკითხში საქართველოს მთავრობასთან, როგორც ქალაქი ბათუმი, აგრეთვე მთელი ოლქი ავტონომიურად უნდა შეუერთდეს დედასაქართველოს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და ამით აცდება სისხლის ღვრა, რომელსაც აწყობენ საქართველოს მტრები. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აშკარად აზერბაიჯანის აგენტები აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე. საქართველოს ჯარს ელის აღფრთოვანებით და სიყვარულით ჩვენი ხალხი, რათა დაიცვან ძველი საქართველო“ (აცსა, 92).

ყოველივე ამან საბოლოოდ ის გამოიწვია, რომ 1920 წლის ივლისში ინგლისელებმა ბათუმის ოლქი პვლავ საქართველოს დაუბრუნეს. ქართული ეროვნული საჯარისო ერთეულები ქალაქში შემოვიდა. მთელი მოსახლეობა მას აღფრთოვანებით შეხვდა. იყო ზემო. ბათუმის ოლქში დამყარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წეს-წყობილება.

## ლიტერატურა

1. სიორიძე მ., სურგულაძე ა., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1995
2. სურგულაძე ა., ცხოვრება და დვაწლი პაიდარ აბაშიძისა, ბათუმი, 1998
3. სცსსა, ფ. 1864, აღწ. 12, საქ. 50, ფურც. 14.
4. იქვე, ფურც. 25.
5. აცსა, ფ. რ-ს, აღწ. 1, საქ. 26. ფურც. 51.
6. იქვე, ფურც. 66.
7. იქვე, ფურც. 92

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
საბარეო ორიენტაციის პროგლობა – 1918-1921 წლები

კურსი გერმანიაზე

საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის მომენტში საერთაშორისო ვითარება დაძაბული იყო. საქართველოს უზენაესმა ორგანომ – პარლამენტმა და მთავრობამ თავის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს.

1918 წლის მაისში შიდა პოლიტიკურმა სიტუაციამ და საერთაშორისო ძალთა განლაგებამ საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი პოლიტიკური გაერთიანება გერმანულ ორიენტაციაზე დააყენა. ვიდრე მსოფლიო ომი გრძელებოდა, გერმანიას ხელს აძლევდა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სუვერენული სახელმწიფოების კეთილგანწყობა, მათი ინტერესების დაცვა. გერმანიის მთავრობა თავშეკავებულად მოქმედებდა: პატივს სცემდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს, რესპუბლიკის მთავრობას და ოპოზიციურ პარტიებს არ აძლევდა ანტიგერმანული განწყობილების საფუძვლადს (სურგულაძე, სურგულაძე, 1991:25).

აღმოსავლეთ ევროპის ფრონტზე ძლევამისილი გერმანია შესული იყო უკრაინასა და ყირიმში და ამგვარად უახლოვდებოდა საქართველოს. წინასწარი მოლაპარაკების გარეშე გერმანიის ჯარი, ფონ კრესის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 17 000 კაცი, შემოვიდა და დაბანაკდა საქართველოში. გერმანიამ იკისრა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დაცვა, რის გამოც შემოსვლისთანავე ამ ჯარის ერთი ნაწილი გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში ოსმალების მიერ ამხედრებულ შეიარაღებულ ბრძოებთან საბრძოლველად. შემდეგ გერმანიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობაც.

გერმანიის დროებით წარმომადგენლად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგი, საკონსულო წარმომადგენლად ფოთში ბ-ნ ანდერსი.

1918 წლის 28 მაისის ძირითადი „დროებითი შეთანხმება საქართველოს და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“, რომელიც დაიდო ფოთში გერმანიის საიმპერატორო მთავრობის, გენერალ-მაიორის ფონ ლოსოვისა და ა. ჩხერიმელის მიერ – სულ 5 მუხლისაგან შედგებოდა.

I. საქართველო გერმანიასთან ურთიერთკავშირის საფუძვლად აღიარებდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის დადგენილებებს.

II. საქართველო ნებას რთავდა გერმანიის მთავრობას ომის დამთავრებამდე ესარგებლა საქართველოს სარკინიგზო ხაზით, ოთხთა კავშირის სახელმწიფოების ჯარებისა და სამხედრო მასალის გადასატანად. რკინიგზებზე კონტროლისათვის იქმნებოდა საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც იმოქმედებს საქართველოს მთვრობასთან ერთად. გათვალისწინებული იყო, ასევე გერმანული რაზმების დაყენება რკინიგზის სადგურებსა და ფოთის ნავსადგურში.

III და IV მუხლები ეხება საზიარო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების შექმნას.

V მუხლი გვაუწყებს, რომ ეს შეთანხმება, რაც შეიძლება მალე უნდა შეცვლილიყო ტრაქტატით მომლაპარაკებელ მხარეებს შორის, რამდენადაც არ დაიდება საერთო ხელშეკრულება, ერთი მხრივ ოთხ მოკავშირე მთავრობასა (ე.ი. გერმანის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთის) და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობას შორის.

ამ შეთანხმების მთავარი ძალაა: ა) გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს მთვრობის ფაქტიური აღიარება და ბ) ომის პერიოდში საქართველოს სარკინიგზო ხაზზე გერმანიის კონტროლის დაწესება.

ამასთან დაიდო ორი დამატებითი ხელშეკრულება. პირველი ეხებოდა სამეურნეო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქართვე-

ლოს მთავრობის მიერ გერმანიაში სესხის ადებისათვის. ეს იყო ამ სესხთან დაკავშირებული მომავალი გკონომიკური შეთანხმების ერთგარი პროგრამა. საქართველოს მთავრობა მიიჩნევდა, რომ რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის შემოსავალს შეეძლო სესხის გადასახადის დაფარვა და წინასწარ აცხადებდა, რომ საქართველოში სარკინიგზო ხაზი არის სახელმწიფოს საკუთრება, ფოთის ნავსადგური გადავა სახელმწიფო მმართველობაში და მთავრობა თანახმაა, დაარსდეს ქართულ-გერმანული კომისია აღნიშნული გზებისა და ნავსადგურის ექსპლოატაციის კონტროლისათვის.

II მუხლით იქმნებოდა პარიტეტულ საწყისებზე ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო საზოგადოება, რომელსაც სახელმწიფო გადასცემდა წიაღისეულის ექსპლუატაციის განსაკუთრებულ უფლებას, მაგრამ საკანონმდებლო წესით იგი წინასწარ იმტკიცებდა მონოპოლიურ უფლებას სამთო მრეწველობაზე. ამ საზოგადოებას სახელმწიფო გაუწევდა ზედამხედველობას, სამთო საწარმოებისა და შეძენილი უფლებების ლიკვიდაცია მოხდებოდა განსაკუთრებული უფლებებით. შეთანხმების საფუძველზე მოპოვებული მადნის ექსპორტი არ შეფერხდებოდა.

III მუხლში გამომჟღავნდა გერმანიის დიდი ინტერესი ნედლულისადმი, რომლის მთელი რაოდენობა, ადგილობრი მოთხოვლინებების დაკმაყოფილების შემდეგ, შეეძლო შეეძინა და გაეზიდა.

IV მუხლით გერმანია გვპირდებოდა მოეგვარებინა საქართველოსთან საზღვაო კავშირი და გაეადვილებინა საფაბრიკო საქონლის, ნახევარფაბრიკატებისა და სურსათის შემოტანა საქართველოში (ავალიშვილი, 1990:19).

მეორე დამატებითი შეთანხმება ითალისწინებდა გერმანელი კოლონისტების ინტერესებს, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასახლდნენ საქართველოში; ეს იყო მათი პრივილეგიების შენარჩუნება, გერმანიაში თავისუფალი დაბრუნება და გერმანიის უფლება – მოსარჩევობა გაეწია მათვის.

ფოთში ხელი მოაწერეს, ასევე სამ ცალკეულ კონვენციას: გერმანის ვალუტის, როგორც გადახდის საშუალების, დროებითი დაშვება ადგილობრივ ფულთან ერთად, განსაკუთრებული კურსით, და ამ კურსის წესის დადგენა მოვრობათა შორის საგანგებო შეთანხმების საფუძველზე; საშუალებანი და დონისძიებანი ტყველების უსწრაფესი გაცვლის დასაჩქარებლად. საქართველოს პორტებში არსებული ტონაუის გერმანის განკარგულებაში გადაცემა.

ამ ხელშეკრულების წყალობით საქართველო თავიდან იცილებდა თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი ოკუპაციის უდელს. 1918 წლის ზაფხულში გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრქმელი – ამ დროს ამ როლის შესრულება ხელეწივებოდა მხოლოდ მას. მისი მხარდაჭერით ეს საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა.

1918 წლის 28 მაისს გენერალი ფონ ლოსოვი, ფოთში საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი საიდუმლო წერილით, ვალდებულებას იღებდა მიეღწია იმისათვის რომ „გერმანიის მთავრობას გამოეცხადებინა თავისი მზადყოფნა საქართველოს მხარდასაჭერად რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში. საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასვლასთან დაკავშირებით, მისი გამოყოფის შემდეგ კი ეცნო საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“. გერმანიის რწმუნებული ასევე იღებდა ვალდებულებას, რომ „გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს საზღვრების უზრუნველყოფაში და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთკავშირის დამყარებაში“. იმავე წერილში განსაზღვრული იყო საქართველოს ტერიტორიული შემადგენლობა: მისი საზღვრები მოიცავდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოკრუგს.

ბათუმის ოლქი გამოყოფილი იყო საქართველოს ფარგლებიდან, მაგრამ ბათუმში გამოცხადებულ თურქეთის ახალ პრეტენზიებს თბილისის გურბერნის ორ მაზრაზე (ახალციხესა და ახალქალაქის) გერმანიის წარმომადგენელი არ დებულობდა მხედველობაში.

ასევე საყურადღებოა, წერილში გადმოცემული ერთი შენიშვნაც: სოხუმის ოკრუგი (გაგრის ჩათვლით) საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, სანამ საქართველო ცალკე სახელმწიფოა კავკასიის ფარგლებში, მაგრამ თუ შეიქმნა კავკასიის ხალხების კონფედერაცია საქართველოს მონაწილეობით სოხუმის ოკრუგის მოსახლეობას უფლება უნდა მიეცეს, თვითონ გადაწვიტოს კავკასიის ქვეყნებს შორის თავისი მდგომარეობის საკითხი. სხვა სიტყვებით, ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის მოსახლეობას შეეძლო აერჩია საქართველოსთან შეერთება, მთის ხალხთან კავშირში გაერთიანება, ან კავკასიის კონფედერაციაში შესვლა განსაკუთრებული სახელმწიფო – კანტონის სახით. აქედან ჩანს, როგორი მნიშნელობა ეძლეოდა კავკასიის ხალხების პოლიტიკური გაერთიანების გეგმას სწორედ იმ მომენტში, როცა აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის კავშირის დაშლა.

ფონ ლოსვეის წერილი მთავრდებოდა ცნობით, ფოთში გერმანის საჯარისო ნაწილები უნდა ჩამოვიდნენ. ეს იმას მოასწავებდა, რომ აღარ ექნებოდა რა თურქეთის შემოტევის შიში, საქართველოს შეეძლო შესდგომოდა თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირველ აქტებს. ამგვარად, ჩვენი უპირველესი ამოცანის აღსრულება ახლოვდებოდა, გარკვეული შედეგების მოპოვება, კერძოდ: თურქეთისაგან გამიჯვნა, საქართველოს საკითხის შეთანხმება რუსეთში არსებულ მდგომარეობასთან და ა.შ.. მხოლოდ ბერლინში შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო.

### თურქეთი ზეიმობს

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეწყდა ბათუმის კონფერენცია (1918 წ. 26 მაისი). ეს შეწყვეტა შესვენება იყო, თურქეთი ელოდა ამიერკავკასიიდან სამ დამოუკიდებელ დელეგაციას – საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. დელეგაციებმაც არ დაყოვნეს ჩასვლა. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ: მინისტრი-თავჯდომარე რამიშვილი, ინფანტერიის გენერალი ოდიშელიძე, ბატონები: გვაზავა და რცხილაძე. ერთი სრული გენერალი და წარმომადგენელი სამი პარტიისა. (სოც. დემოკრატები, ნაც. დემოკრატები, სოც. ფედერალისტები.)

რამიშვილმა „თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის“ დამყარების სურვილი გამოთქა, მხოლოდ იმ პირობით, რომ „საქართველოს სამხრეთი საზღვრები დადგენილი იქნებოდა ბრესტ-ლიტვასკის ხელშეკრულების თანახმად“ ე.ი. იგი უარყოფდა თურქეთის ტერიტორიულ მოთხოვნებს, მაგრამ შემდეგ დათანხმდა მათ მიღებაზე. ხელის მოწერადა დარჩა, რაც შესრულდა ქ. ბათუმში 4 ივნისს (სცხია, ფურც. 38).

ხალილ-ბეის სიტყვით დამატებითი უსიამოვნებანი ჩვენსავე თავისთვის უნდა დაგვებრალებინა: რატომ გავუწიოთ წინადმდეგობა თურქების შესვლას ბათუმსა და ყარსში? საერთოდ კი, – აღნიშნა მან, – კავკასიაში კარგად ორგანიზებული და პროგრესული სახელმწიფოს შექმნა ოტომანთა იმპერიისათვის სასიცოცხლო მნიშნელობის საკითხია. ასეთი სახელმწიფოს საფუძველი უნდა იყოს კავკასიელი ხალხის მეგობრობა, განსაკუთრებით მისი ძლიერება უნდა ემყარებოდეს კავკასიელი მუსლიმანებისა და ქართველების მეგობრულ ურთიერთობას.

თავის მხრივ, რამიშვილმა გამოხატა უკმაყოფილება ომის შეწყვეტის გამო. ეს იყო „მეფის მთავრობის მემკვიდრეობა და მის გამოცხადებაში ქართველ ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო“ – აღნიშნა მან. გამოთქა იმედი, რომ „ჩვენს ერს მუდამ ექნება მშვიდობიანი ინტელექტუალური განვითარების უფლება“ და ა.შ. რამიშვილის სიტყვით – „ჩვენი სახელმწიფო ამ ომში თავს აცხადებს ნეიტრალურად“. ეს განცხადება არ იყო აუცილებელი და ასეთი ფორმით არც სწორი, რადგან საქართველოს რკინიგზები გადადიოდა მეომარ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის ხელში.

ქართული დელაგაციის თავმჯდომარემ ხელმოწერის შემდეგ განაცხადა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს თურქეთისა და მისი მოკავშირეების მიერ საქართველოს ცნობა და ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

ამ ხელშეკრულებით საქართველო უბრუნდებოდა იმ ეპოქის დროინდელ საზღვრებს, როცა იგი რუსეთს შეუერთდა. თურქეთი იძენდა 1878 წელს დაკარგულ: ბათუმის, არდაგანის, ყარსის, ახალციხისა და ახალქალაქის სანჯაყებს, რომელსაც ჯერ კიდევ ეპატერინე პირდებოდა ერეკლე II დროინდელ საქართველოს და რომელიც, მართლაც შევიდა თბილისის გუბერნიაში 1828 წელს.

1918 წლის 11 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციისადმი წარდგენილი ხელშეკრულების პირვანდელ ტექსტთან შედარებით, 4 ივნისის საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება ჩვენთვის ერთ უძველეს გაუმჯობესებას შეიცავს – ახალციხის მაზრიდან საქართველო ინარჩუნებს აბასთუმანსა და აწყურს. ამ დათმობაში ჩანს გერმანიის გავლენაც და თურქების სურვილიც, ოდნავ მაინც ენუგეშებინა საქართველო, რომელიც მტკვრის სათავესა და ჭოროხის აუზის ყველა ისტორიულ ტერიტორიას კარგავდა. 4 ივნისის ხელშეკრულებით უნდა მომხდარიყო საქართველოს ჯარების დემობილიზაცია, თურქეთის სასარგებლოდ დაწესებულიყო რესპუბლიკის სამხედრო ძალებზე კონტროლი. საქართველო ვალდებული ხდებოდა თავისი ტერიტორიიდან დაეთხოვა ყველა იმ სახელმწიფოს ჩინოვნიკი, რომლებიც მონაწილეობდნენ თურქეთთან ომში, რაც მთავარია განსაზღვრული იყო სამხედრო ტვირთის გადასატანად რკინიგზების გამოყენების წესები. გზების დაცვა ქართულ ჯარს ეკისრებოდა.

იმავე დღეს ბათუმში ხელმოწერილი იქნა სამშვიდობო ხელშეკრულებები თურქეთსა და აზერბაიჯანს (მ. გაჯინსკისა და რასულ-ზადეს მიერ) და ასევე თურქეთსა და სომხეთს შორის (რ. კახაზნუნი, ა. ხაგისოვი, მ. პაპაჯანოვი). რკინიგზა – ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფა გადადიოდა თურქების ხელში.

ბათუმში ხელმოწერილი აქტებით დამოუკიდებელ კარიერას იწყებდნენ ახალგაზრდა კავკასიური რესპუბლიკები. დაიდო კონვენცია ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გამართულობის შენარჩუნების შესახებ და სამი კავკასიური რესპუბლიკისა და თურქეთის შეთანხმება ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის განადგურების შესახებ. თითოეული ამ რესპუბლიკის მიწა-წყალზე გამავალი რკინიგზის სიგრძის პროპორციულად.

ამგვარად, ბათუმისა და ყარსის მოსახლეობას უნდა მისცემოდა თვითგამორკვევის უფლება. საქართველო ამ ხელშეკრულებით რჩებოდა XIX საუკუნის საზღვრებით – ლორეს, ბამბაკისა და ყაზახის გამოკლებით. აწყურსა და აბასთუმანსაც დროებით თმობდა ოსმალეთი. ამ ხელშეკრულებას მოჰყვა ოსმალეთის ზაგი აზერბაიჯანსა და სომხეთთან, რომელიც მძიმე იყო სომხეთისათვის. ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფას რკინიგზა ოსმალეთის ხელში გადადიოდა.

### გერმანიის იმედით

გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყებამდე შედგა მემორანდუმი: „საქართველო რუსეთის ასწლიანი ბატონობის დროსაც რჩებოდა ცოცხალ ეროვნულ ორგანიზმად და მომენტს ელოდა პოლიტიკური მოთხოვნების განსახორციელებლად.

საქართველო რუსეთის ერთგული რჩებოდა ომის განმავლობაში – ზავის დადებამდე, მაგრამ იგი გულგრილად ვერ შეხვდებოდა რუსეთის თვითნებურ მოქმედებას, რითაც საქართველოს საზღვრები გაუხსნა მტერს. „ქართველ ხალხს სურს მოაწყოს სახელმწიფო და საერთაშორისო კავშირები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ადგენილი უფლებების ხანგრძლივი გამოყენება საქართველოსა და მთელი კავკასიის სასარგებლოდ, ქართველს სურს დაეყრდნოს ისეთ სახელმწიფოს, რომლის მხრიდანაც არ მოელის ანექსიის საშიშროება“.

საქართველო-გერმანიის ურთიერთობა უნდა აიგოს მოკავშირეობის საწყისებზე საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ცნობით, გერმანიას კი ურთიერთშეთანხმებისა და კონვენციების საფუძველზე უნდა მიენიჭოს პრივილეგირებული მდგომარეობა, რაც განისაზღვრება, მისი მონაწილეობით ეკონომიკურ აღმავლობაში. განსაკუთრებით ხაზი გაესვა საქართველოს საერთაშორისო აღიარებაში გერმანიის მხარდაჭერას, ფულის სისტემის შესაქმნელად გერმანისაგან სესხის მიღებას და ა.შ. (სცხია, ფურც. 118).

საქართველოსთან ეკონომიკურ კავშირებს გერმანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, გადაწყდა ჭიათურის მარგანეცის საზღვარგარეთ გატანის საქმის მოგვარება საგანგებოდ შექმნილი სააქციო საზოგადოების მეშვეობით. ასევე, ორი სააქციო საზოგადოების დაარსება: ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის მისასვლელი ხაზის ექსპლუატაციისათვის, რომელზეც გადაიტანდნენ მარგანეცს შორაპნამდე და ფოთის პორტის ექსპლუატაციისათვის.

გერმანიას სურდა შეექმნა წმინდა გერმანული სააქციო საზოგადოება, მაგრამ სანაცვლოდ საქართველოს სასარგებლოდ დაეწესებინა დიდი ანარიცხი და ფინანსური მოგება. რეალურად კი მიიღეს გერმანულთან ერთად საქართველოს ჯგუფის პარიტეტული მონაწილეობა აქციონერულ კაპიტალში. გერმანულ ჯგუფს უპირატესობა ეძლეოდა აქტიური ადმინისტრაციის მხრივ, ქართულს კი ზედამ-ხედველობაში მონაწილეობა თანაბარი რჩებოდა. ამგვარი შეთანხმებით სამი ხელ-შეკრულება 12 ივლისს იქნა ხელმოწერილი. გერმანულ წრეებს უფლება ჰქონდათ ჭიათურაში შესდგომოდნენ „მარგანეცის“ ჯერ არარსებული დარგის ექსპლოატაცის, კერძოდ, ფერომანგანუმისა და სხვა შენაერთების გამოდნობას.

მე-6 პუნქტი: „საქართველოს მთავრობა აღიარებს ამ ხელშეკრულებებს საბოლოოდ მხოლოდ ფინანსური ხელშეკრულებების დადებისა და საქართველო გერმანიას შორის პოლიტიკური დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ“.

ფინანსური შეთანხმება გულისხმობდა საქართველოსადმი გერმანიის რაიხს-ბანკის მიერ სესხის მიცემას, მტკიცე ქართული ვალუტის შესაქმნელად. ქართულ ვალუტას საფუძვლად უნდა დასდებოდა მარჩილი, რომელიც უნდა გათანაბრებოდა გერმანიის მარკას. ეს ხელშეკრულებები საქართველოს უცხოეთის კულტურულ კაპიტალთან თანამშრომლობის გზას უსწიდა, რასაც ბუნებრივი სიმდიდრის ათვისების სწრაფი განვითარება, საქმიანი ჩვევების შეთვისება მოყვებოდა.

ჩხერიელი ვერ ურიგდებოდა გერმანიის სურვილს – რუსეთის თანხმობის შემდეგ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. უკვე 1918 წლის ივლისში მოსკოვი მზად იყო დაეშვა გერმანიის მიერ საქართველოს ცნობა, მაგრამ გერმანული აღიარება არ შედგა...

ისევ თურქეთი... თურქელი ბანდები ჩნდებოდნენ ხან აფხაზეთში, ხან ბორჩალოს მაზრაში და ა.შ. გერმანული მისიის გავლენით ამ მუქარებს ადგილად იცილებდა საქართველოს მთავრობა. თურქები მიისწრაფოდნენ ბაქოს ხელში ჩაგდებისაკენ, მოსკოვი კი მოითხოვდა აზერბაიჯანში გამმიჯნავი ზონის შექმნას, რომლის აღმოსავლეთითაც თურქებს ეკრძალებოდათ საომარი მოქმედებანი, რაც ბაქოს გამორიცხავდა თურქეთის ოკუპაციის სფეროდან. ამგვარად გერმანიას უნდა შეეჩერებინა თურქეთი.

ასეთი ვალდებულება აიღო გერმანიამ 27 აგვისტოს ხელშეკრულების მე-14 მუხლით. მე-13 მუხლში მოსკოვი ამბობდა: „რამდენიც გნებავთ აღიარეთ საქართველოს დამოუკიდებლობაო.“ მე-14 მუხლში უმატებდა „მხოლოდ თურქები ბაქოში არ შეუშვათო“. თურქების ბაქოში შესვლას ინგლისელებიც ეწინააღმდეგებოდნენ, რომლებიც 1918 წლის აგვისტოში გადმოსხდნენ ბაქოში. თურქები კი აზერბაიჯანელ მოხალისეებს შემოჰყვნენ ბაქოში 1918 წლის 15 სექტემბერს.

სხვა რესპუბლიკები კონსტანტინოპოლში ელოდნენ „უკეთეს ამინდს“... ამინდი კი არ იცვლებოდა.

პოლიტიკური და ეკონომიკური შეთანხმებები დარჩა მხოლოდ პროექტში, მაგრამ მაინც გერმანიის მხარდაჭერამ საქართველოს დამოუკიდებლობას შეუმსუბუქა პირველი თვეები. ევროპის შეცვლილ პოლიტიკურ პირობებში კ. წ. „გერმანულ ორიენტაციას“ ნიადაგი გამოეცალა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება აღიარეს ძალადაკარგულად. ამით საქართველოსა და სომხეთის სასიკეთოდ თურქეთი კარგავდა ახლად მიღებულ უფლებებს სამ სანჯანყზე (ბათუმი, ყარსი, არდაგანი), მაგრამ მეორე მხრივ, უქმდებოდა გერმანია-რუსეთის 27 აგვისტოს ხელშეკრულების მე-13 დამატებითი მუხლი, რომელიც შეიცავდა საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შენიდბულ აღიარებას. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო განმტკიცების საქმეში ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იყო (ბენდიანიშვილი, 2005:64).

სანგრძლივ ომში ეკონომიკურად დაუძლურებული გერმანია ცდილობდა საქართველოდან გაეზიდა ნედლული. მათ საოკუპაციო ჯარები ჩააყენეს საქართველოს ქალაქებში, უხეშად ერეოდნენ საშინაო საქმეებში, არბევდნენ მოსახლეობას. გერმანიის საქართველოში გაბატონების შედევგ შეიზღუდა თურქი იმპერიალისტების გეგმები, მაგრამ ისინი მაინც არ ისვენებდნენ და თარეშობდნენ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში, მოითარეშეს ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის სოფლები.

პირველი მსოფლიო ომში ანტანტის წევრი ქვეყნების მიერ გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ არსებითად შეცვალა სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა განხლაგება მთელ მსოფლიოში. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ხელი მოაწერა ზავს, რომლითაც გაუქმებულად ცხადდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. მას მოყვა სამცხე-ჯავახეთიდან, ბათუმ-არტანიიდან ოსმალებისა და გერმანელების წასვლა, მათი ადგილი უნდა დაეკავებინა ინგლისის ჯარს. უქმდებოდა რუსეთის მიერ გერმანიისათვის მიცემული უფლებაც ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოში გერმანელები ინგლისელებმა შეცვალეს 1918 წლის დეკემბერში. როცა ინგლისის კრეისერები ბათუმში შემოდიოდნენ ნავთის მრეწველთა ოთხი კავკასიური კომპანიის თავჯდომარე ლონდონში აცხადებდა „კავკასიაში ბათუმიდან ბაქომდე და ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, მცირე აზიაში, მესოპოტამიაში გაჩდნენ რა ბრიტანეთის ჯარები, ყველა ერისა და რწმენის ხალხები მიესალმნენ მათ“. ამიერკავკასიაში ინგლისელებმა თავი მოუყარეს 30 ათასიან არმიას, შექმნეს თავიანთი საკომენდანტოები, ხელთ იგდეს ბაქოს ნავთი, კასპიისა და შავი ზღვის ფლოტი.

## ლიტერატურა

1. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საგარეო პოლიტიკაში, თბილისი, 1990
2. ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბილისი, 2005
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 1461, აღწ. 12, საქმე 125, ფურც. 38
4. იქვე, ფურც. 118
5. სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991

## ძველი გათუმის ძარღვი

ძველად ბათუმი მდებარეობდა ახლანდელი ყოროლისწყლის ზღვასთნ შეერთების მიმდებარე ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაიწყო ქალაქის ცენტრის გადანაცვლება ზღვისპირა ყურის მიმართულებით, სადაც დიდი წყალწის გემების გაჩერებისათვის კარგი ბუნებრივი პირობები იყო.

საერთაშორისო ნაოსნობაში ბათუმის მნიშვნელობის ზრდასთან დაკავშირებით ოსმალეთის ხელისუფლება მეტ დაინტერესებას იჩენდა აღნიშნული პუნქტის მიმართ. ოსმალეთის სულთნის – აბდულ აზიზის 1863 წლის ფირმანში ვკითხულობთ: „ტრაპიზონის ვილაეთის ვალმა, ვეზირმა ესედ მეჰმედ ემინ მუხლის ფაშამ თავის მოხსენებაში დასვა საკითხი საგუბერნიო ქალაქ ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქის გაშენების შესახებ, რომელიც (ქალაქი) ტრაპიზონის ვილაეთის, ლაზისტანის სანჯაყის ცენტრი იქნება და გაშენდება გამოუყენებელ სახელმწიფო მიწაზე, რომელიც ქვიშიანი და მიწათმოქმედებისათვის უვარგისია. სანაპირო მიწიდან საკმაოდ დიდი ზოლი ხელუხლებელი უნდა დარჩეს მომავალში დაპროექტებული სიმაგრეების ასაშენებლად. შეა აღილას გამოიყოს დაახლოებით 60 ათასი კვადრატული არშინი ნაკვეთი, რომელიც გეომეტრიის წესების მიხედვით ყველა მიმართულებით ქუჩების გაყვანით დაიყოს ნაწილებად (უბნებად). სიგანე ქუჩების 12 არშინი უნდა იყოს და ამ ნაკვეთების შეა ნაწილში მოხერხებულ ადგილას აშენდეს მეჩეთი, რომელსაც მისი უდიდებულესობის სულთნის სახელი უნდა ეწოდოს (ავალიანი, 1960:98-99).

ოსმალებმა ყურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ააგეს დიდი ქვის მეჩეთი „აზიზიეს ჯამე“. იგი ააშენა ვალიდე ხანუმმა 1868 წელს თავისი შვილის სულთნ აბდულ აზიზის საპატივცემულოდ (Суворов, 1895:115).

მეჩეთი მდებარეობდა თანამდეროვე გოგებაშვილის ქუჩაზე. შემდეგ მეჩეთის მიმდებარე კრცელ ტერიტორიას ეწოდა „აზიზიეს მოედანი“ (დღევანდელი თავისუფლების მოედანი).

იქვე სანაპიროსთან ახლოს 1864-1867 წლებში ოსმალეთის ხელისუფლების მიერ აგებული იქნა სამხედრო სიმაგრე „ბურუნ თაბიე“ (კონცხის სიმაგრე). მეორე სიმაგრე მებარეობდა დღევანდელი საზღვაო პორტის მიდამოებში – მდინარე სარისუს ანუ ყვითელი წყლის მახლობლად. მას სარი-სუს სიმაგრე ეწოდა. იგი საზღვაო პორტის რეკონსტრუქციის დროს, 1885 წელს აიღეს.

თურქთა მმართველობისას ბათუმის საზღვრები განისაზღვრებოდა ბურუნ-თაბიედან სარი-სუმდე და შავი ზღვის სანაპიროდან დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩამდე.

თავდაპირველად ბათუმში ქუჩების მოვალეობას ასრულებდა მოკირწყლული, ეტლით სავალი და სასიარულო ბილიკები.

ქალაქში ფაქტიურად არსებობდა ერთი სანაპირო ქუჩა, რომელიც ბალზე ვიწრო იყო, სანაპირო ქუჩას მაშინ ეწოდებოდა „ალი-კიისი“ (ახლ. ი. გოგებაშვილის ქუჩა) შემდეგ იყო რამდენიმე ჩიხი: სანაპირო ქუჩის ჩიხი; „ჯამე არასი“ (ახლ. ჩალოვის ქუჩა); შემდეგ „ჩიხმას სოხახი“ (აბანოს შესახვევში); „პემიდ სოხახი“ (ახლ. საიათოვას ქ.); „აჭარა სოხახი“ (ახლ. ხულოს ქ.); „მეზერ ლუქბაში“ (თურქ. ბაზრისკენ მიმავალი ქუჩა); „აზიზიე სოხახი“ (ახლ. ა. მელაშვილის ქ.); „ბურუნ ბაშ სოხახი“ (ახლ. მ. კოსტავას ქ.); „ურუმ სოხახი“ (ახლ. ფარნავაზ მეფის ქუჩის მონაკვეთი); „ტელეგრაფ სოხახი“ (ახლ. ზ. გამსახურდიას ქ.); „ნურიე სოხახი“ (ახლ. მ. აბაშიძის გამზირი). სოხახი თურქული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს ქუჩას, მაგრამ რადგანაც აქ ქუჩები კი არ იყო, ეს სახელწოდება ფაქტიურად აღნიშნავდა პატარა შესახვევებს (ახვლედიანი, 1944:172-174).

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, რის შემდეგ სწრაფი ტემპით წავიდა ქალაქის

ეკონომიკური და სამრეწველო ზრდა-განვითარება. 1883 წლიდან ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის საშუალებით ბაქოს ნავთობს გაეხსნა გზა ევროპისაკენ. ბათუმმა საერთაშორისო მნიშვნელობის პორტის სახელი შეიძინა. იგი აივსო ვაჭრებით და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ქალაქი სწრაფად შენდებოდა და იცვლიდა სახეს, არქიტექტურაში გაჩნდა ნეოკლასიკური სტილის შენობები, ინგლისური ქალაქების მსგავსად გაყვანილი იქნა სწორი მოკირწყლული ქუჩები, დაინერგა და განვითარდა ცივილიზაციის მონაპოვრები: რკინიგზა, ფოსტა, აშენდა საავადმყოფო. მოკლედ ბათუმი მცირე დროში ევროპული ტიპის ქალაქად იქცა (ტოტოჩავა, 1979:12-16).

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ გაიზარდა ბათუმის ქუჩების რაოდენობა, ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა მათი სახელწოდებები.

ძევლი ბათუმის შესახებ ქალაქის პროვინციის აღ. თიროშვილის მოგონებების მიხედვით: „მთავარ ქუჩას ერქვა მარინეს პროსპექტი. იყო სანაპირო ქუჩა (ახლ. გოგებაშვილის ქუჩა). სხვა რამდენიმე ქუჩას ერქვა ყოფილი გენერლების: შეპელოვის, ბარიატინსკის, დონდუკოვ-კორსაკოვისა და სხვათა სახელები. ვინაიდან ახლად შემოერთებული ბათუმი გამოცხადებული იყო „პორტ-ფრანკოდ“ ე. ი. თავისუფალ ქალაქად, რომელშიც საბაჟო ჯერ არ იყო გახსნილი, ამიტომ აუარებელ საზღვარგარეთელ ფირმებს შემოქმნდათ სხვადასხვა სახის საქონელი, მთელი ქალაქი მოფენილი იყო სხვადასხვა ფირმების კანტორებით. ამასთან დაკავშირებით აქ იყო თითქმის ყველა ქვეყნის საკონსულო (თიროშვილი, 1975:4-5).

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქალაქში მაღიან ცოტბა იყო სწორად დაგეგმილი ქუჩა. ისინი დაფარული იყო წვრილი ხრეშით, შუაში იყო არხი წყლისათვის. 1888 წელს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III ოჯახის სტუმრობასთან დაკავშირებით ქალაქის სამეურნეო საბჭომ მიიღო განსაკუთრებული ზომები. სახელდახელოდ მოიკირწყლა ყველა ის ქუჩა, სადაც იმპერატორს უნდა გაევლო, მაგალითად: მარინსკის პროსპექტი (ახლ. მ. აბაშიძის გამზირი). ვინაიდან იგეგმებოდა იმპერატორის მიერ ქალაქის ბაღის მონახულება. მოწესრიგდა ის ქუჩები და შესახვევები, რომლებიც უკავშირდებოდა ასაშენებელ სამხედრო ტაძარს, სადაც იგეგმებოდა იმპერატორის მიერ მშენებლობის საძირკვლის ჩაურა. ასევე მოწესრიგდა ბულვარის (ახლ. ნინოშვილის) ქუჩის ნაწილი და ასევე, ის ქუჩები, რომლებიც გადიოდა რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოების ნავმისადგომი. ქუჩებთან ერთად იდებებოდა სახლის ფასადები და ლობეები (Месхи, 1906:518).

1888 წლის სექტემბერში ბათუმში დაფუძნდა თვითმმართველობა, რომლის შედეგადაც ბათუმის განაშენიანება უფრო მიზანმიმართულად წარიმართა. ჯერ კიდევ პირველი მოწვევის თვითმმართველობამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ჭაობების ამოსამრობად, ჩატარდა ქალაქის ნიველირება, შემუშავებული იქნა ქუჩების გაყვანის და მოწყობის საერთო გეგმა. “

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა 1890 წლის 16 თებერვალს ბათუმის თვითმმართველობის შუამდგომლობით, რომელიც შედგენილი იყო მივლინებით ჩამოსული გუბერნიის ინჟინრის სლიუჟინსკის, ქალაქის არქიტექტორის ლენჩინსკის და თვითმმართველობის წევრის კოიანდერის მიერ, დაამტკიცა განსაკუთრებული ოქმი, რომლის თანახმადაც პირველ რიგში უნდა გაეყვანათ პორტან მიმავალი ქუჩები. ბათუმის ქუჩები დაყოფილი იქნა 3 ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ის ქუჩები, რომელზედაც უნდა გაევლო საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ტვირთს, ნავთობპროდუქტების გარდა. მეორე ჯგუფში ერთიანდებოდა ის ქუჩები, რომელზეც გაივლიდა ნავთობპროდუქტები და ყველანაირი ზეთი. ესამე ჯგუფში შედიოდა სანაპიროს ქუჩა, რომელზედაც გაივლიდა ყველანაირი ტვირთი და ამიტომაც მას ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა (Месхи, 1906:524-525).

ეს სამუშაოები შესრულდა 1891 წელს ქალაქის არქიტექტორის ა. სოზინოვისა და თვითმმართველობის წევრის ა. კოიანდერის მიერ.

საბოლოოდ 1892 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა ბათუმში შემდეგი ქუჩები, შესახვევები და მოედნები.

№	ქუჩების სახელწოდება 1892 წლის მიხედვით <sup>12</sup>	ქუჩების თანამედროვე სახელწოდება
1	არტილერიის	მაიაკოვსკის
2	ბაზრის	ზ. გორგილაძის
3	ბაქოს	გოგებაშვილის ქუჩის ნაწილი
4	ვლადიკავკაზის	ფარნავაზ მეფის ქუჩის ნაწილი – ბარათაშვილიდან მელიქიშვილის ქუჩამდე
5	დონდუკოვო-კორსაკოვის	ქ. გამსახურდიას
6	ეპარქიის	იმედაშვილის
7	კათოლიკეს	ვახტანგ გორგასალის ქუჩის მონაბეჭო – გოგებაშვილიდან ბარათაშვილის ქუჩამდე
8	სასაფლაოს	შავშეთის
9	ქუთაისის, ლორის მელიქოვის	ნ. ჟორდანიას
10	მარინსკი პროსპექტი	გ. აბაშიძის
11	მიხაილოვის	ზ. გამსახურდიას
12	სანაპიროს	გოგებაშვილის
13	ნავთობის	გრ. ვოლსკის
14	ოკლობუნისკის	გ. კოსტავას
15	ოდესის	პეტკინის
16	სვიატოპოლქ-მირსკის	ა. მელაშვილის
17	სკოლევის	ღ. თავდადებულის
18	სმელალოვის	რუსთაველის
19	თბილისის	ბარათაშვილის
20	ერისთავის	გ. მაზნიაშვილის
21	მეგრელის შესახვევი	ამჟამად გაუქმებულია
22	ხლის შესახვევი	ზ. ბერიძის
23	თურქელი ბაზრის შესახვევი	ამჟამად გაუქმებულია
24	„აზიზიეს“ მოედანი	თავისუფლების მოედანი

ქალაქი დაყოფილი იყო უბნებად. XIX საუკუნის ბოლოსთვის ბათუმში არსებობდა შემდეგი უბნები: აზიზიე, ახმედიე, ნურიე და მუფტიე.

აზიზიეს უბანი მოიცავდა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და წარმოადგენდა მსხვილ საგაჭრო ცენტრს. სანაპიროზე საბაჟოს ვრცელი შენობიდან რიგ-რიგობით ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა საგაჭრო და სამრეწველო კანტორები. მიხეილის და ქუთაისის ქუჩების ნაწილში განლაგებული იყო საუკეთესო მაღაზიები და სასტუმროები. ქუჩები იყო უფრო განიერი და შესანიშნავად განაშენიანებული. ნაწილი იყო მოასფალტებული, ნაწილში კი იყო ქვის ტროტუარები. შენობების უმეტესი ნაწილი იყო ევროპული სტილის. მათ შორის გამოირჩეოდა შპოლიანსკის (ამჟ, ქუთაისის ქ. №2) და ტაიროვის (ქუთაისის ქ. №8) დიდი ლამაზი სახლები, ვოლფენზონის (მ. აბაშიძის ქ. №25 და კ. გამსახურდიას №13 მდებარე სახლი) და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის ვაკიეს სახლი (მ. აბაშიძის პრ. №35) და ბევრი სხვა. იქვე თბილისის ქუჩაზე მდებარეობდა ქალაქის ერთადერთი რკინის თეატრი, ხოლო ბულვარში საზოგადოებრივი საკრებულო. აზიზიეს ოიონები ზღვაში შექრილი იყო ბურუნ-თაბიეს კონცხი, რომელიც ეკავა ქვემეხებს. მათ წინ იდგა შუქურა. ქვემეხების აღმოსავლეთით მდებარეობდა რუსეთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების ნაგინათვალი. აქვე იყო უფლისწულ ნიკოლოზ II ბულვარი, რუსული და მართლმადიდებლური ტაძრები (Гурская, 1901:6).

მეორე უბანი ახმედიე სრულიად სხვა ხასიათის იყო. აქ ბევრი რამ იყო შემორჩენილი ძველი თურქული ქალაქიდან: მოხვეული ვიწრო ქუჩები, უბადრუკი ქოხმახები. აქ განლაგებული იყო ე. წ. თურქული ბაზარი, სადაც იყო ძველი ქვის

<sup>12</sup> ცხრილი შედგენილია ს. მესხის მონაცემების მიხედვით, იხ. მესხი, 1906:530.

შენობები და ვიწრო დახლები. ირგვლივ მიმოფანტული იყო დუქნები. ზღვის სანაპიროზე, ლია ცის ქვეშ, ნაჭრით გადახურულ დახლებზე იყიდებოდა თევზი, საზამთრო, ნესვი, კიტრი და ა. შ. აქ იყო ბევრი სპარსული ყავახანა და სასაუზე, სადაც გაჩადებული იყო სხვადასხვა აზარტული თამაში. ეს იყო ქალაქის ყველაზე ხმაურიანი უბანი. ამ უბანში მდებარეობდა სომხურ-კათოლიკური ეკლესია და ახმედ ფაშას ჯამე (Гурская, 1901:7). ახმედ ფაშას ჯამეს ადგილას შემდეგ ააგეს ქვის მეჩეთი „ორთა ჯამე“ – დღეისათვის მოქმედი ჯამე.

მესამე უბანი ნურიე მდებარეობდა აზიზიეს სამხრეთით და მუფტიესგან გამოიყოფოდა თბილისის (ახლ. ბარათაშვილის) ქუჩით, რომელზედაც გადიოდა რკინიგზის ხაზი. აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა საწარმოების და უწყებების მოსამსახურები. ეს იყო ქალაქის ახალი ნაწილი, ევროპული ტიპის შენობებით, რომელიც წარმოიქმნა აფხაზური დასახლების ადგილზე 80-იან წლებში. აქ თავმოყრილი იყო თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულება – ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, მარინის ქალთა და სახელოსნო სასწავლებელი, დაწყებითი სამოქალაქო სკოლები – ქართული და ბერძნული, აქვე იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სადგური, ჰოსპიტალის მართლმადიდებლური და მშენებარე რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ქალაქის საავადმყოფო. ნურიეში იყო სავაჭროები და ქალაქის თვითმმართველობის მშენებარე სახლი. ნურიეში მდებარეობდა აგრეთვე ქალაქის ალექსანდროვის ბაღიც.

მეოთხე უბანი მუფტიე იყო ყველაზე დიდი უბანი. აქ მოთავსებული იყო ნავთის ქარხნები. ამ ნაწილში განლაგებული იყო საცხოვრებელი სახლები, მათ დასაგლეთით ქუჩების დიდი ნაწილი არ იყო განაშენიანებული. შენობები იყო დარიბული და მიწების დიდი ნაწილი დაჭაობებული. მუფტიეში ძირითადად ცხოვრობდა ქალაქის უდარიბესი მოსახლეობა. (Гурская, 1901:8). ამ უბანს მუფტიე ეწოდა აქ არსებული მუფტიეს ჯამეს გამო. მუფტიეს ჯამე მდებარეობდა დღევანდელი წერეთლისა და ჭავჭავაძის ქუჩებს შორის ჯორჯიაშვილის ქუჩის მონაკვეთში.

1902 წლამდე ბათუმში ქუჩის სახელის აღმნიშვნელი ფირნიშები არ იყო გაკრული, არც შენობებს გააჩნდათ ნუმერაცია, რაც საგრძნობლად ართულებდა ქუჩებისა და სახლების მიგნებას.

ხშირად ადგილი პქონდა ერთი ქუჩისათვის რამდენიმე სახელის დარქმევას, მაგალითად: ახლანდელი ზურაბ გორგილაძის ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩიდან პეტრე მელიქიშვილის ქუჩამდე იწოდებოდა ბაზრის ქუჩის სახელით, მელიქიშვილის ქუჩიდან გრიბოედოვის ქუჩამდე – ვორონცოვის ქუჩის სახელით.

ახლანდელი ფარნავაზ მეფის ქუჩა, გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე მოიხსენებოდა ბერძნის ქუჩის სახელით. ბარათშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე – ვლადიკავკაზის სახელით, ხოლო მელიქიშვილის ქუჩიდან – ბებუთოვის ქუჩის სახელით.

ახლანდელი გახტანგ გორგასალის ქუჩა ქუთაისის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე იწოდებოდა კათოლიკეს ქუჩის სახელით, ბარათაშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე – ოლგას ქუჩის სახელით, მელიქიშვილის ქუჩიდან გრიბოედოვის ქუჩმდე კი ბარიატინსკის ქუჩის სახელით.

ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქუჩების რაოდენობა, ხდებოდა მათი მოასფალტება, გამწვანება, განათება.

აქარის მუზეუმში დაცულია ქ. ბათუმის 1909 წლის გეგმა. გეგმა შედგენილია და დახაზულია სამხედრო სტამბის კორპუსის კაპიტნის სტრახოვის მიერ 1905 წ. მიწისმზომელ სოსელის მიერ ჩატარებული ინსტრუმენტული აზომვების საფუძველზე. რუკაზე დატანილია იმ პერიოდში ბათუმში არსებული ქუჩები. სამეურნეო და საკულტო ნაგებობები, ქარხნები და ა.შ. რუკას აქვს პირობითი და ამსხელი ნიშნები როგორც რუკაზე ჩანს, ამ პერიოდისათვის დასახლებული იყო ქალაქის ცენტრალური ნაწილი სანაპიროდან დღევანდელ ნური-გელის ტბამდე, ხოლო ქვედა საზღვარი გადიოდა დღევანდელ პუშკინის ქუჩაზე. ქალაქის ცენტრალური ქუჩება ივლებოდა:

სანაპიროს (ახლ. გოგებაშვილის), დონდუკოვო-კორსაკოვის (ახლ. კ. გამსახურდიას), მარინსკი პრ. (ახლ. მ. აბაშიძის გამზ.). სმეკალოვის (ახლ. რუსთაველის) და მიხაილოვის ქუჩები (ახლ. ზ. გამსახურდიას). რუკაზე ასევე დატანილია ის ქუჩები, რომლებიც ქალაქის რეკონსტრუქციის დროს ლიკვიდირებული იქნა. ამდენად რუკა მეტად მნიშვნელოვანია XX საუკუნის 10-იანი წლების ბათუმის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ეს ქუჩებია:

- სულთანის ქუჩა, მდებარეობდა ახლ. მ. აბაშიძის და ა. მელაშვილის ქუჩებს შორის. იწყებოდა ქუთაისის ქუჩიდან და გადიოდა აზიზიეს მოედანზე.
- საბაჟოს ქუჩა – მდებარეობდა ახლ. ა. მელაშვილის და მ. კოსტავას ქუჩებს შორის. იწყებოდა ქუთაისის ქუჩიდან და გადიოდა გოგებაშვილის ქუჩაზე.
- ჩუბაჩის შესახვევი – მდებარეობდა ჩალოვის ქუჩის დასასრულს, ქუთაისის ქუჩიდან გადიოდა გოგებაშვილის ქუჩაზე.
- მატროსის შესახვევი – განთავსებული იყო ახლ. იმედაშვილისა და კანდელაკის ქუჩებს შორის, გამოდიოდა გოგებაშვილის ქუჩიდან და უერთდებოდა კანდელაკის ქუჩის შუა ნაწილში.
- სამეგრელოს ქუჩა – იწყებოდა ახლ. ზ. ბერიძის ქუჩის დასაწყისიდან და უერთდებოდა ახლ. იმედაშვილის ქუჩას.
- ჭაობის ქუჩა – გადიოდა ახლანდელი საზღვაო აკადემიის ადგილზე.

1918 წლის 14 აპრილს ბათუმი თურქეთის ჯარმა დაიკავა. იმავე წლის 16 აპრილს ბათუმში ჩამოვიდა ბათუმის გუბერნატორად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი პამიდ-ბეი, რომელმაც 1918 წლის 22 აგვისტოს გამოსცა ქუჩების სახელების შეცვლის განკარგულება იგი იუწყებოდა, რომ ბათუმის ქუჩების სახელები და წარწერები ფირნიშზე შეიცვალოს და დაიწეროს თურქულ ენაზე. თურქი გუბერნატორის განკარგულების თანახმად ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას გამზირს ეწოდა თურქი მთავარსარდლის – უჩანჯი-ორდუს სახელი, ბარათაშვილის ქუჩას – თურქი გენერლის ოდუს-ედინჯი-ფორკეს სახელი. ხოლო რაც შეეხება ქალაქის დანარჩენ ქუჩებს, მათ მიეცათ ნუმერაცია, ბულგარის პარალელურ ქუჩებს მიეცათ კენტი რიცხვები.. აღნიშნული ქუჩების გადამკვეთ ქუჩებს კი მიეცათ წყვილი ნომრები და ა. შ. (კომანიძე, 2000:305).

ქალაქის თვითმმართველობამ იმდენი მოახერხა, რომ თურქ გუბერნატორს მოსთხოვა აღნიშნული განკარგულების ცოტა ხნით გადავადება, მოსახლეობას კი დაავალა ჩამოეხსნათ ქუჩის აბრები.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუჩების სახელწოდებები კვლავ შეიცვალა.

დამზადდა ქუჩის ახალი აბრები სამენოვანი წარწერებით ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე. აღნიშნული აბრები ქალაქში გამოყენებული იყო XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე. აჭარის მუზეუმში დაცულია სამენოვანი აბრები: ქუთაისის, კამოს, ტურგენევის, საქართველოს, ჯაფარიძის ქუჩების. აბრები ჩამოსხმულია თუჯისგან, წარწერები შესრულებულია ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე.

მუზეუმში დაცულია ქ. ბათუმის ქუჩის აბრა – „Матросский переулок – 6“ შესრულებულია თუნუქზე. ოვალური ფორმისაა და ლურჯ ფონზე წარწერები შესრულებულია თეთრი მინანქრით. აბრა გამოყენებული იყო 1918 წლამდე. აღნიშნული აბრა იმ პერიოდის ქუჩის ნიშანთაგან ერთადერთია მუზეუმში.


ამრიგად, ქალაქ ბათუმის ქუჩების ქსელს მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს. ქალაქის ცენტრალური ქუჩები ჩვეულებრივ მიმართული იყო საზღვაო ნავსადგურისა და შავი ზღვის პერპენდიკულარულად. აქედან გამომდინარე ქუჩებს გააჩნდათ მართკუთხა ფორმა, რითაც ქალაქი კვარტლებად იყო დაყოფილი.

გთავაზობთ ბათუმის ქუჩების ძველი და ახალი სახელწოდებების ნუსხას ცხრილის სახით:


№	ქუნის თანამედროვე სახელწოდება	ქუნის ძველი, სხვასდასხვა დროის სახელწოდებები
1	გოგებაშვილის	ყოფილი ალი-კისის, სანაპიროს, შმიდტის, ბაქოს, ქობულეთის, ბერიას
2	რუსთაველის	სმეგალოვის
3	ნინოშვილის	ბულვარის
4	მემედ აბაშიძის გამზირი	რუმ სოხახი, მარინესკი პრ., მე-3 ინტერნაციონალის
5	კომინტერნის	სტალინის, ოქტომბრის, თავისუფლების, მემედ აბაშიძის
6	ზვიად გამსახურდიას	ტელეგრაფ სოხახი, მიხალოვის, ტროცკის, ორჯონიშვილის, 9 აპრილის
7	კონსტანტინე გამსახურდიას	დონდუკოვო-კორსაკოვის, უჩანჯი-ორდუს, ლენინის, ერთობის
8	ფარნავაზ მეფის	ურუმ სოხახი, ბერძნის, ვლადიკავკაზის, ბებუთოვის, ზინოვიევის, ტელმანის
9	ახმედ მელაშვილის	აზიზი სოხახი, სვიატოპოლქ-მირსკის, კამოს
10	ვახტანგ გორგასალის	კათოლიკეს, ოლდას, ბარიატინსკის, ცხაკაიას
11	ზურაბ გორგილაძის	ბაზრის, ვორონცოვის, ლუკა ასათიანის, ერას, გორკის, იბერიის
12	ჩალოვის	ჯამე არასი, მეჩეთის
13	საიათონოვას	ჰემიმ სოხახი, სომხის შეს
14	ხულოს	აჭარა სოხახი. ახმედ ფაშას, თათრის
15	მერაბ კოსტავას	ბურუნ-ბაზ სოხახი, ოლობერინსკის, ლუქსემბურგის
16	სტეფანე ზუბალაშვილის	აჭარის, გიორგის, ხრუშჩოვის კალინინის
17	მაზნიაშვილის	ერისთავის, ლიბერეტის
18	ელიავას	სავაჭროს, ბაზრის
19	ნოე ქორდანიას	ლორის მელიქოვის, სვერდლოვის
20	იმედაშვილის	ეკატერინეს, შადრევნის, ფარნის, ჯორჯიაშვილის
21	შავშეთის	სასაფლაოს, დერვიშ-შას, ფრუნზეს
22	ზურაბ ბერიძის	იმედის, ახლის, კალიევის
23	ქუთაისის	ქუთაისის
24	ბარათაშვილის	თბილისის, ოდეს-ედინჯი-ფორკეს
25	პ. მელიქშვილის	ვოზნესენსკის, ენგელსის
26	დ. თავდადებულის	კომარვის, შაუმიანის
27	26 მაისის	ზღვის, კიროვის
28	ლუკა ასათიანის	შერემეტიევის, ჯაფარიძის
29	ვაჟა-ფშაველას	შეპელოვის, მარქსის
30	პუშკინის	ოდესის
31	ჭავჭავაძის	პეტერბურგის, პეტროგრადის, კომპერაციის
32	მაიაკოვსკის	არტილერიის, პროლეტარიის
33	ირაკლი აბაშიძის	სკობოლევის, კოროვის, ბლაგოევგრადის
34	რევაზ კომახიძის	ლაზარევის, ბუდიონის
35		

### ლიტერატურა


1. ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944
2. ავალიანი ა., მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960
3. თიროშვილი ალ., მოგონებანი ძველი ბათუმის ცხოვრებიდან, 1975
4. აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 604
5. ტოტოხავა გ., ბათუმის ურბანიზაციის ზოგიერთი საკითხი. – აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 797, ბათუმი, 1979
6. კომახიძე თ., ქ. ბათუმის განაშენიანებისა და დაგეგმარების ისტორია. ბათუმი, 2000
7. Суворов А., Описание города Батума с планами и видами. Батум, 1895
8. Гурская Н., Путеводитель и справочная книжка по г. Батума и окрестностям. Тифлис, 1901
9. Месхи И. С. Очеркъ развития батумского городского хозяйства. - Батумъ и его окрестности. Батумъ, 1906




№ 44. Батумь. Мариинский проспект.  
Batum. La Cetraato Mariinskiij



III გივერცხულის პრინციპი



Набережная улица  
La rue de la plage



კანაპიროს ქუჩა

სანაპიროს ქუჩა



კამოს ქუჩის აბრა



მატროსის შესახვევის აბრა

**საყდარი  
(სოფელ ერგეს წარსულიდან)**

ერგე, მასში შემავალი სოფლებით: ზემო და ქვემო ჯოჭო, ნიკიტაური, კაპანდიბი, მიეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს დასახლებათა რიგს. სოფლის წარსულის სხვადასხვა ასპექტის შესახებ შემორჩენილია საინტერესო წერილობითი, ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმიური, ნივთიერი მასალები. როგორც ირკვევა, თავის დროზე ერგეს თემში მოქმედებდა ცხრა ეკლესია (საყდარი). ჯოჭოს წყლის ხეობა ხასიათდება ქრისტიანულ სალოცავთა სიმრავლით. ერთ-ერთ უბანს ქვია საყდარი. იგი მდებარეობს ჯოჭოს წყლის მარჯვენა ნაპირზე. გადმოცემით აქ არსებულა საყდარი. დღემდე შემორჩენილია მხოლოდ მისი საძირკეელი. იგი წარმოადგენდა დარბაზული ტიპის, 25 კვ. მ. ფართობის ნაგებობას. საყდრის ეზო და მისასვლელი მოპირკეთებული ყოფილა რიყის ბრტყელი ქვებით. 1956 წელს პროფესორი ი. სიხარულიძეს ჯოჭოელი ალი მიქელაძისგან ჩაუწერია: „ჩემი დიდი ნენე იტყოდა, რომ აქ ძველად ქილისე იყოო. ხალხი მაშინ სულ მაღლობებზე ცხოვრობდა და ჩანგს რომ დაარტყამდნენ, მოუდონენ მოსახლეები“ (სიხარულიძე, 1958:77).

საყდრის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: მარანი, ერთად დაფლული ხუთი დიდი ჭური, რაც მიუთითებს, რომ ეკლესიას საკუთარი მეურნეობა ჰქონია (უზუნაძე, 2003). საყდართან არსებობდა სასაფლაო. სოფლის მკვიდრი ტარიელ მიქელაძე მოგვითხრობს: „ჩემი ბებია ფაქიზო მიქელაძე გვეტყოდა, ნასაყდრალთან სასაფლაოს არ გაეკაროთ, ავად გახდებით“.

თავისი დანიშნულებით საყდარი შენობაა „სადაც ქრისტიანთა წირვალოცვა იმართება, – ეკლესია“ (ქეგლ., 1986:399). ეს უკანასკნელი ბერძნულიდან შემოსული სიტყვაა (ჭუმბურიძე, 1978:71). ჩუბინაშვილის მიხედვით „ეკლესია – შესაკრებელი ტაძარი სალოცავად დგოთისა“ (ჩუბინაშვილი, 1961:209). საინტერესოა თუ რა სიტყვა გამოიყენებოდა დგოთისმსახურების შენობის აღმნიშვნელად ქართულში. ბერძნული სიტყვის - ეკლესიის დამკვიდრებამდე? ძველ საქართველოში ქრისტიანულ სამლოცველო შენობას ეკლესიის გარდა საყდარიც ეწოდებოდა, მიჩნეულია, რომ ეს უკანასკნელი აღნიშნული მნიშვნელობით დამკვიდრდა მოგვიანო პერიოდში (ძიძიგური, 1982:29-30). საკითხის ლინგვისტური, ისტორიულ-ტოპონიმური ანალიზით გამომდინარე, ვფიქრობთ საყდარი არის დგოთისმსახურების შენობის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი. იგი წარმოსდგება სიტყვისაგან საყუდარი. მასში გამოიყოფა ფუქე ყუდე. დაერთვის დანიშნულების მაწარმოებელი სა- -არ თავსართ-ბოლოსართი.<sup>13</sup> „ყუდე“ მეგრული სიტყვაა, შალიტერაცურო ქართულში მისი შესატყვისია „სახლი“ (ქაჯაია, 2002:332). ამდენად, საყუდარი (საყდარი) ნიშნავდა განსაკუთრებული დანიშნულების სახლს, სადაც სრულდებოდა დგოთისმსახურება.

ვფიქრობთ, სიტყვა საყუდარი შორეულ წარსულში უნდა წარმოშობილიყო. სწორედ, ჩვენი წინაპრები, ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდში, თავიანთ სალოცავ სახლებს, სადაც იკრიბებოდნენ და ასრულებდნენ დგოთისმსახურების რიტუალებს, უწოდებდნენ „საყუდარს“ ანუ „დგოთის სახლს“. თუ გავითვალისწინებთ სიტყვა „საყუდარი“-ს აგებულებას იგი ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის პერიოდიდან (დაახ. ძვ.წ. II ათასწლეული) მოდინარე ტერმინად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე, ქრისტიანულ სამლოცველო სახლებს (შენობებს) ტრადიციის გავლენით ეწოდა საყუდარი ანუ საყდარი. შემდგომ მისი ადგილი დაიკავეს ტერმინებმა: ეკლესია, ტაძარი, ხოლო

<sup>13</sup> სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტოპონიმთა დანიშნულების მაწარმოებლების შესახებ იხ.: ქამადაძე, 1992:31; ცეცხლაძე, 2000:68-69.

ტერმინი საყუდარი (დვთის სახლი) პარალელურად განაგრძობდა არსებობას.<sup>14</sup> ამ მხრივ საყურადღებოა ე. წ. „რატიანის სიგელი”, რომელიც XVII ს-ის შუა წლებშია გაცემული სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის მიერ. მასში ვკითხულობთ: პაპა ჩვენი ლიონ დადიანი (საუბარია ლევან I დადიანზე) სტამბოლს წასულა და რაც ოდიშის საყდრები ყოფილა, იმისათვის ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი კვამლი შეუწირავს” (ბერაძე, 1981:77). ჩანს, რომ ტრადიციის მიხედვით ამ პერიოდის სამეგრელოში უწინდებურად „დვთის სახლს” საყდარს ეძახდნენ. აღნიშნული ტრადიცია მყარად იქნა შენარჩუნებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მხარის ტოპონიმიაში. გეოგრაფიულ ადგილებს, სადაც ფიქსირდება ქრისტიანული სამლოცველოები, ძირითადად ეწოდება: საყდარი, სახტარი, სახტარი. მრავლად გვაქვს მათგან წარმომდგარი ტოპონიმები: საყდარი, საყდრი-ძირი, საყდრისერი, საყდრიუელი, ნასაყდრალი, ნასაყდრევი, ნასაყდარი, სახტარი, ნასახტრევი (სიხარულიძე, 1958:226; 1959:52,64,180; ცეცხლაძე, 2004:199,210). საკითხთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა ტერმინი საყდრიონი, დაყუდებული. აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით საყდრიონი ნიშნავს საყდრის შვილებს (ჯანაშია, 1959:41) ანუ საყდრის მორწმუნეთა კრებულს. ხოლო „დაყუდება, დაყუდებული არის განმარტოებით მცხოვრები ბერი, განდეგილი” (ქეგლ., 1986:203). თავდაპირველად დაყუდება, დაყუდებული ნიშნავდა საყდარში ლოცვად დადგომას, ლოცვად დგომას.

საყურადღებოა, რომ სამწერლო ლექსიკაში, ქრისტიანულ სამლოცველო შენობის აღმნიშვნელად იყენებდნენ ტერმინ საყდარს ი. ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე, 1987:269; 1988:30,69,103,143,147), ა. წერეთელი (წერეთელი, 1989:122,133), ი. გოგებაშვილი (გოგებაშვილი, 1912:243-244).<sup>15</sup> დროთა ვითარებაში ტერმინმა „საყუდარი“ განიცადა ცვლილებები. სიტყვის ფუძეში მოხდა „უ“ ხმოვნის დაკარგვა (რედუქცია), რის შედეგადაც მივიღეთ საყდარი [სა უ(უ) დარი→საყდარი].

### ლიტერატურა

1. ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი, 1981
2. გოგებაშვილი ი., დედა ენა, თბილისი, 1912
3. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, ბათ., 1958; ტ. II, ბათ., 1959
4. უზუნაძე რ., წინაპართა ნაკვალევზე. – გაზ. „აჭარა”, ბათუმი, 2003, №233
5. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959
6. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონი, VIII, თბილისი, 1992
7. ქაჯაია ოთ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2002
8. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986
9. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961
10. ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000
11. ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, ბათ., 2004
12. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბილისი, 1982.
13. წერეთელი აკ., თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1989
14. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1987; ტ. II, თბილისი, 1988
15. ჭუმბურიძე ზ., როგორ გაჩნდა სიტყვა, თბილისი, 1978
16. ჯანაშია ს., შრომები, ტ. III, თბილისი, 1959

<sup>14</sup> ქართულ საისტორიო წეროში გეხვდება გამოთქმა: „ყოველი საყდრის შვილი“ (ქართლის ცხოვრება, 1959:449). რაც ნიშნავს საყდრის (ეკლესიის) სამწყსოს.

<sup>15</sup> ი. გოგებაშვილის მოხსრობაში „საყდარი“ ვკითხულობთ: ჩვენს სოფელში აშენებულია მშვენიერი თლილი ქვის საყდარი... სოფელი დიდად თაყვანს სცემს ჩვენს საყდარს. ყველა ჩვენგანი ამ საყდარშია მოხალული, მასში ევედრება დმერთსა... იმავე საყდარის შორი-ახლო მიაბარებენ მიწას ჩვენს სხეულსა... ჩვენი საყდარი საყოველთაო საღმრთო საფარველია (გოგებაშვილი, 1912:243).

## გვარას ციხე

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობათა ხშირი ქსელის არსებობაზე ნათლად მიუთითებს აჭარის ტერიტორიაზე ცნობილი ციხეეპულაქები: გონიო-აფსაროსი, ბათუმის ციხე, პეტრა-ციხისმირი, ხინამი, ასევე ათობით დიდი თუ მცირე ციხე (მამულაძე, 1993; კახიძე, ხახუტაშვილი, 1988; სიჭინავა, 1962; ჩხეიძე, 1959; ინაიშვილი, 1993), რომელთა შორის საყურადღებოა გვარას ციხე.


გვარას ციხე მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონის კირნათის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, ადგილ ნაკირნათევესა და სოფელ გვარას შორის საზღვარზე. წარსულში სოფელი კირნათი აღნიშნულ ადგილზე ყოფილა გაშენებული და შემდგომ – ზვავების ჩამოწოლის გამო, გადაადგილებულა 3 კმ-თ. როგორც ჩანს, ადრე ეს ადგილები სოფელ გვარას ეკუთვნოდა და ციხის სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს. სოფელი გვარა ციხიდან დაცილებულია 1-1,5 კმ-ით და განლაგებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით.

ციხე გაშენებულია ორ ხევს შორის, გვარას მთის დაბლობზე, იგი გადაჟურებს: სამხრეთ-აღმოსავლეთით მაჭახლის ხეობას, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მდინარე ჭოროსს. გვარას ციხე ზემოდან დაჟურებს მდინარე ჭოროსისა და მაჭახლის მიერ შექმნილ დაბლობზე გაშენებულ სოფელ მაჭახლისპირს და ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ჭოროსის სანაპიროზე გაშენებულ სოფელ ქვედა მარადიდს. მთლიანად ციხის სათვალთვალო არეალშია მოქცეული მაჭახლის ხეობისა და კირნათისაკენ მიმავალი გზების შესაყარი. მისი მეშვეობით ადვილად შეიძლებოდა გაკონტროლებულიყო მაჭახლისა და ჭოროსის ხეობათა შემოსასვლელები.

გვარას ციხეს, მისი მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიის გარკვეულ მონაკეთში დიდი სტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა, რაც განპირობებული იყო აღნიშნული რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობით. თვით ციხის მიმდებარე ტერიტორიაც ჭოროსის აუზის ერთ-ერთ უძველეს, მაღალგანვითარებულ დასახლებას წარმოადგენდა (კახიძე, კახიძე, 1993; კახიძე, 1997). მდინარე მაჭახლის ხეობასა და მის ფერდობზე მოსახლეობა ადრეული პერიოდიდან დასახლებულა (კახიძე, 1974:7; კახიძე, მამულაძე, 2000:68-69). ამასთან, მაჭახლისა და ჭოროსის ხეობებში გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. ერთ-ერთი გრძელი გზა უშუალოდ ჭოროსის ხეობაზე გადიოდა, მეორე უმოკლესი გზა მაჭახლის ხეობაზე. პირველი გზა მიემართებოდა ართვინ-არტანუჯის მიმართულებით და ჭოროსის აუზის პროვინციებს აკავშირებდა შავიზღვისპირეთთან (კახიძე, 1974:14; ვარშანიძე, 1990:72-73). შავიზღვისპირეთიდან მტკვრისა და ჭოროსის აუზებზე გამავალი გზები „მიემართებოდა სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონებში: ბიზანტია, ხომხეთი, ქვემო და შიდა ქართლი, ლიხეთ-იმერეთში“ (ბერძნიშვილი, 1966:80). გარკვეულ პერიოდში ჭოროსის (ნიგალის) ხეობაზე გადიოდა ცნობილი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი შტო და უკავშირდებოდა შავიზღვისპირა პუნქტებს (ბექირიშვილი, 1998). მეორე გზა კი შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა ზედა და ქვედა აჭარას. შესაბამისად დიდი იყო ამ გზების სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჭოროსის მხარის პროვინციებისათვის და საერთოდ, საქართველოსათვის. ამან გამოიწვია აღნიშნული სამიმოსვლო გზების კარგი განვითარება, რასაც ადასტურებს ისტორიული, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები; მატერიალური კულტურული ძეგლები - ხიდები, ციხეები (კახიძე, 1974:13). ამ უკანასკნელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენდა სავაჭრო გზების დაცვა (მამულაძე, 1993:27-28, 70-71; ვარშანიძე, 1990:69-70). ასე რომ მაჭახლისა და ნიგალის ხეობათა შესაყარზე მდებარე გვარას ციხე ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი სიმაგრე, „... ნიგალისა და მაჭახლის გასაღები იყო“ (სიხარულიძე, 1959:156).

ზემოთქმულიდან გამომდინარე გვარას ციხის ისტორიის შესწავლა საშური საქმეა. წერილობითი წყაროების უქონლობის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ციხის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. ამ ინტერესით იყო განპირობებული გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2000 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში ციხეზე ჩატარებული დაზვერვითი ექსპედიცია.<sup>16</sup>

გვარას ციხე გაშენებულია მდინარეთა დონიდან 120-140 მეტრის სიმაღლეზე. მას ძირითადად სათვალთვალო (სასიგნალო) ფუნქცია ჟნდა შესრულებინა, შეეძლო არამარტო მოახლებული საშიშროების შესახებ ეცნობებინა ცეცხლისა თუ სხვა საშუალებებით, არამედ მტერთან მცირე მასშტაბის ბრძოლაც გაემართა.



ციხე ციცაბო კლდეზეა აშენებული. მშენებლობისას გამოყენებულია ორი სახის ქვა, კლდოვანი ქანები და რიყის ქვა. რიყის ქვა ამოქონდათ როგორც ჭოროხის, ისე მაჭახლის სანაპიროდან. ციცაბო ბილიკი მიემართებოდა ციხისაკენ. რაც შეეხება კლდოვან ქვებს, ისინი ციხის ირგვლივ მრავლადაა შემორჩენილი. ქვების მცირე ნაწილი ფაქიზადაა ნათალი. ისინი ფორმით, დამუშავების ხარისხით ავლენებ მსგავსებას გონიოს ციხის კვადრული ტიპის ქვებთან. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია ჯვარი, რომელიც შესრულებულია თლილ ქვაზე.<sup>17</sup> გათხრების პროცესში ციხე მოინახულეს პროფესორებმა გ. ლორთქიფანიძემ, ს. ნონეშვილმა. მათ ჯვარი XII საუკუნით დაათარიდეს. ასევე ციხეზე იმყოფებოდა ცნობილი მკვლევარ – არქეოლოგი პროფ. რ. რამიშვილი. მან ჯვარი უფრო ადრეულ ხანისად მიიჩნია. იგი ემსგავსება ბოლნისის სიონში შემორჩენილ ჯვარს, რომლის მსგავსი ფორმები ქართულ არქიტექტურაში შემოდის V საუკუნის 70-90-იანი წლებიდან და ცნობილია ბოლნური ჯვრის სახელწოდებით, მას სხვა ჯვრებისაგან განსხვავებით გააჩნია გარკვეული თავისებურებები, რაც გამოიხატება იმაში რომ ჯვარი მოქცეულია მართკუთხა ჩარჩოში და ბოლოებ გაფართოებულია. აღნიშნული ჯვრის იდენტურობა ბოლნურ ჯვართან მიუთითებს გვარას ციხის არქაულობაზე. პროფესორ ა. კახიძის ვარაუდით ციხე რომაული ხანისა უნდა იყოს, კერძოდ, ციხე თავისი მნიშვნელობის ხასიათიდან გამომდინარე ამჟღავნებს მსგავსებას გონიოს ციხის რომაულ სამშენებლო ფენასთან. ამ აზრს, ასევე იზიარებს ეთნოლოგი, პროფ. ნ. კახიძე. იგი მიუთითებს, რომ თავისი ძველი ფენით – თარაზული წყობა, ფაქიზად თლილი ქვები, გვარას ციხე გონიოს ციხის გვერდით დგება და მას წინაფერდალური ხანით ათარიდებენ” (კახიძე, 1974:14).

სიძველისა და დროთა ვითარების შედეგად ციხის დიდი ნაწილი მონგრეულია, ამასთან, იგი შიდა ციხეშია ჩაქცეული, რაც ართულებდა ექსპედიციის საქმიანობას. შედარებით უკეთესად გადარჩენილია ციხის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ზედაპირიდანაა აშენებული. ციხის დიდი ნაწილი კლდეზეა ნაშენები. გადარჩენილი კედლის სიმაღლე 5-6 მეტრია, ხოლო კლდოვან (ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ) ნაწილში 16-24 მეტრამდე აღწევს. ციხეს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ოდნავ ოვალური, წაგრძელებული

<sup>16</sup> ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფ. ა. კახიძე, გონიო-აფსაროსის მუზეუმის დირექტორი, პროფ. შ. მამულაძე, დოკ. ს. გოგიარიძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გ. უზუნაძე.

<sup>17</sup> 50-იან წლებში ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა მსგავსი ჯვარი (სიხარულიდე, 1958:276.)

ფორმა აქვს. ციხის სიგრძე სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 27,5 მეტრია, ხოლო ცენტრალურ ნაწილში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმულია 16,25 მეტრზე. ციხე ჩრდილო ნაწილში შევიწროვებულია და მისი სიგანე მხოლოდ 7 მეტრს შეადგენს, ხოლო სიგრძე 10 მეტრია. კედლების სისქე სხვადასხვად. აღმოსავლეთით პირველი კედლის სისქე 1,3 მეტრია, მეორე კედლის – 0,7 მეტრი. საერთო ფართობი 340-350 კვ. მეტრია.

ციხის სამხრეთ კუთხეში შემონახულია ჭა, რომლის სიმაღლე – 3,87 მეტრია, დიამეტრი – 1 მ. ჭის ძირი სწორია, მაგრამ ცალ მხარეს შეიმჩნევა დაქანება, სადაც გააჩნია პატარა ხვრელი, რომელიც დაკავშირებულია ჭურთან. ჭის მშენებლობაზე გამოყენებულია, როგორც რიყის ქვა, ასევე კლდის ქანები. ჭა შიგნითა მხრიდან ამოლესილია კირსხნარით. პროფ. იური სიხარულიძე მიიჩნევს, რომ ჭას დილეგის ფუნქცის უნდა შეესრულებინა (სიხარულიძე, 1959:276), მაგრამ დღეისთვის მტკიცდება, რომ ჭა წვიმის წყლის საცავი იყო, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, პატარა გასასვლელით უკავშირდება ქვევრს, სადაც ხდებოდა დამატებითი წყლის მარაგის დაგროვება.<sup>18</sup> თვით ჭა ოვალური ფორმისაა, მისი კედლების სისქე სხვადასხვაა, რომელიც მერყეობს 60-70 სმ-ის ფარგლებში.

გვარას ციხეზე ჩატარებული გათხრები ატარებდა დაზვერვით ხასიათს. გაიწინდა ტერიტორია ხე-ბუჩქებისაგან. ზოგიერთ მონაკვეთზე მოეწყო სადაზვერვო გათხრები. აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა პერიოდის კერამიკული ნაწარმი, მათ შორის ამფორის ძირები, გვერდები, აგურები, კრამიტი და თურქული პერიოდის რამდენიმე ცალი თიხის ჩიბუხი. როგორც ჩანს, თურქების ბატონობის გარკვეულ მონაკვეთში ციხე მოქმედი ყოფილა. ასევე აღმოჩენილ იქნა შურდულის ქვები.

გვარას ციხის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა ნათელს მოჰქმდება. წარსულის ბევრ საინტერესო მომენტს.

### ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966.
2. ბექირიშვილი ი., აბრეშუმის გზის ისტორიიდან. – გაზეთი „აჭარა”, № 156, ბათუმი, 1998
3. ვარშანიძე შ., აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი, 1990
4. ინაიშვილი ნ., ციხისძირის ას. წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები. – სდსბ, XXIII, თბილისი, 1993
5. კახიძე ა., კახიძე ნ., უძველესი არქეოლოგიური ნივთიერი მასალები მაჭახლის ხეობაში. – გაზეთი „კახაბერი”, 1993, 19. 03.
6. კახიძე ა., აჭარის ისტორიის არქეოლოგიური მასალა. – ჟურნალი „ჭოროხი”, IV, ბათუმი, 1997
7. კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000
8. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი, 1973
10. სიჭინავა ვ., ქალაქ ბათუმის ძევლი ისტორიიდან. – ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, ბათუმი, 1962
11. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959
12. ჩხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევები), ბათუმი, 1959

<sup>18</sup> გადმოცემის მიხედვით ციხე მაჭახლის წყლით მარაგდებოდა. ძველად მაჭახლი ციხის ბორცვს უფრო ახლოს ჩაუდიოდა, ვიდრე ამჟამად. სპეციალური გვირაბიც ყოფილა ამისთვის, „თუმცა დღესაც არავითარი კვალი ასეთი ნაგებობისა არ შეინიშნება“ – მიუთითებს პროფ. ი.სიხარულიძე (სიხარულიძე, 1959:276), მომავალი არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები გვიჩვენებენ თუ რამდენად ასახავს სინამდვილეს გადმოცემა.

მალხაზ ჩოხარაძე  
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრიკტოქრისტიანობა პარხალში



ბის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ცხოვრების მეტად რთული გზა აირჩიეს. ქეთში და მის არსეს კარგად გამოხატავს სიტყვები: „საზოგადოება სხვანაირებად გვიცნობს: ვართ, რაც ვაჩანვართ – მართლმორწმუნე თურქები, მაგრამ შინაგანად, სულიერად ჩვენი რწმენით, მართლმადიდებლობით ვცხოვრობთ. ერთი მეორეს სრულიად ეწინააღმდეგება და ჩვენი ტრაგედიის საფუძველთა საფუძველიც ეგაა.” კრიპტოქრისტიანულ ტექსტებში დასტურდება ამ გაორების, შინაგანი გახლების ფაქტები (криптохристианские тексты). აქ, ცხადია, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი და რწმენა-წარომეული ხალხები იგულისხმება.

ანალოგიური პროცესები დამახასიათებელი იყო ქართული სინამდვილისთვის: ოსმალური აგრესის ობიექტი ტრადიციულ სოციალ-პოლიტიკურ წყობასთან ერთად უპირველესად ეკლესია იყო. გარდა იმისა, რომ მოიშალა საეპისკოპოსოები, სასტიკად იდევნებოდა მართლმადიდებლობა, მოსახლეობას უაღრესად მმიმებული არის მალლატა-გადასახადები დაეკისრა და დამპყრობელი არც ძალდატანებით ისლამიზაციას ერიდებოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთელი რეგიონის ისლამიზაციის პროცესი არსებითად დასრულებულია. მიუხედავად ამისა, რეგიონის სარწმუნოებრივი სახე ერთგაროვანი როდია. XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ე. წ. ოსმალოს საქართველოს, სამუსლიმანო საქართველოს) ქართველი მოსახლეობა რელიგიური თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაგვით:

1. ქართველი მამადიანები (ეს ჯგუფი, ცხადია, ყველაზე მრავალრიცხვანია და რეგიონის ძირითად მოსახლეობას შეადგენს);
2. გასომხებული ქართველი გრიგორიანელები;
3. გასომხებული ქართველი კათოლიკები;
4. ფარული ქრისტიანები;
5. ქართველი კათოლიკები;
6. ქართველი მართლმადიდებლები.

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნეშივე იწყება სამხრეთ საქართველოში ოსმალების ბატონობის ჩანაცვლება რუსეთით. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი და

მართლმადიდებლურ სამყაროში ისლამიზებულ ფარულ ქრისტიანობასთან (კრიპტოქრისტიანობასთან) დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო თემაა, თუმცა ამჯერად ჩვენი მიზანი არაა პრობლემის თეოლოგიური თვალსაზრისით გაანალიზება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ტიპის ფარული ქრისტიანობის ფენომენი აღმოცენდა ჯერ კიდევ ბიზანტიაში არაბთა ექსპანსიის დროს. (VII-X სს.) ხოლო უფრო გვიან, 1453 წლიდან, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, ფარული ქრისტიანები ფაქტია, რომ ფარულმა ქრისტიანებმა ეს ფენომენი დღემდე არსებობს თურკეთი ბერძენი კრიპტოქრისტიანის სიტყვები: კოველდღიურ ყოფაში ჩვენ ისა ვართ, რაც ვაჩანვართ – მართლმორწმუნე თურქები, მაგრამ შინაგანად, სულიერად ჩვენი რწმენით, მართლმადიდებლობით ვცხოვრობთ. ერთი მეორეს სრულიად ეწინააღმდეგება და ჩვენი ტრაგედიის საფუძველთა საფუძველიც ეგაა.” კრიპტოქრისტიანულ ტექსტებში დასტურდება ამ გაორების, შინაგანი გახლების ფაქტები (криптохристианские тексты). აქ, ცხადია, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი და რწმენა-წარომეული ხალხები იგულისხმება.

ანალოგიური პროცესები დამახასიათებელი იყო ქართული სინამდვილისთვის: ოსმალური აგრესის ობიექტი ტრადიციულ სოციალ-პოლიტიკურ წყობასთან ერთად უპირველესად ეკლესია იყო. გარდა იმისა, რომ მოიშალა საეპისკოპოსოები, სასტიკად იდევნებოდა მართლმადიდებლობა, მოსახლეობას უაღრესად მმიმებული არის მალლატა-გადასახადები დაეკისრა და დამპყრობელი არც ძალდატანებით ისლამიზაციას ერიდებოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთელი რეგიონის ისლამიზაციის პროცესი არსებითად დასრულებულია. მიუხედავად ამისა, რეგიონის სარწმუნოებრივი სახე ერთგაროვანი როდია. XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ე. წ. ოსმალოს საქართველოს, სამუსლიმანო საქართველოს) ქართველი მოსახლეობა რელიგიური თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაგვით:

1. ქართველი მამადიანები (ეს ჯგუფი, ცხადია, ყველაზე მრავალრიცხვანია და რეგიონის ძირითად მოსახლეობას შეადგენს);  
2. გასომხებული ქართველი გრიგორიანელები;  
3. გასომხებული ქართველი კათოლიკები;  
4. ფარული ქრისტიანები;  
5. ქართველი კათოლიკები;  
6. ქართველი მართლმადიდებლები.  
ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნეშივე იწყება სამხრეთ საქართველოში ოსმალების ბატონობის ჩანაცვლება რუსეთით. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი და

სისხლიანი პროცესი. ოსმალეთთან 1828-1829 წლების ომის შემდეგ ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა მიიღო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები (სამცხე-ჯავახეთი, ფოცხვი და პალაკაციო (ჩრდილი), ხოლო 1878-1879 წლების ომის შემდეგ (ბერლინის ტრაქტატის ძალით) – ბათუმისა და ყარსის ოლქები (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტანი, ტაოს ნაწილი). ტაოს დარჩენილი ნაწილი (მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მხარე) მხოლოდ მეოცე საუკუნეში მოექცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში და ისიც მცირე ხნით.

ფარული ქრისტიანობა, მეტადრე რწმენის იმულებითი შეცვლის პერიოდში, დამახასიათებელი მოვლენა იყო მთელ სამუსლიმანო საქართველოში. XIX საუკუნის 30-იან წლებში, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის რუსეთთან მიერთების შემდეგ, ფარული ქრისტიანების უმრავლესობამ აშკარად აღიარა წინაპართა რწმენა (ფრონელი, 1991:62). ისიც ცნობილია, რომ ქობულეთში, აჭარასა და იმერხევში მაჰმადიანობამ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა XIX საუკუნის დასაწყისამდე (თაყაიშვილი, 1991:217). 1877-78 წლების რუსეთ-ურქეთის ომის შემდეგ, როცა ეს მხარეც მიიერთა რუსეთის იმპერიამ, მართალია აქაურები აღარ ქრისტიანობდნენ და მტკიცედ ერთგულებდნენ ისლამს, ქრისტიანული წარსული კარგად ახსოვდათ და მეტიც, ფარული თუ აშკარა ქრისტიანი წინაპრების შესახებ სიამოვნებით მოუთხრობდნენ დაინტერესებულ პირთ; მაგალითად, სოფელ კაპნისთავში ზაქარია ჭიჭინაძისთვის ერთ ადგილობრივ მოხუცს უთქვამს: „მე მოვესწარი, როცა ჩვენი სოფლის დედაბრები ამ დაქცეულს ეკლესიაში დადიოდნენ და ლოცულობდნენ ხოლმეო“ (ჭიჭინაძე, 1913:37).

კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ლამის პირწმინდად გამაჰმადიანებულ თურქეთის საქართველოში, 1874 წელს, გიორგი ყაზბეგმა იმიერტაოში, პარხლის მიდამოებში აღმოაჩინა 80-მდე ფარული ქრისტიანი. უფრო მეტიც, აქ ცხოვრობდა რამდენიმე ოჯახი, რომელიც აშკარად აღიარებდა წინაპართა რწმენას. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილ მთელ მაშინდელ ქართულ მიწა-წყალზე ეს ერთადერთი ადგილია, სადაც დიად თუ ფარულად ქართველი მართლმადიდებლები ცხოვრობენ.

„ამჟამად პარხლის მიდამოები მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ შემორჩა მართლმადიდებლური აღმსარებლობის რამდენიმე ქართული ოჯახი. ეს ფაქტი სრულ ყერადღებას იმსახურებს. ქრისტიანული აღმსარებლობის ოჯახთა რიცხვი ხუთს უდრის, მაგრამ ამბობენ, რომ აქ კიდევ არის 80-მდე ფარული ქრისტიანი. აქაურ ქრისტიანულ თემს ჰყავს თავისი მდგდელი, რომლის ხარისხი ღებრაძეთა გვარის სამემკვიდრო საკუთრებად დარჩა. ამ გვარის ახლანდელმა წარმომადგენელმა, 60 წლის მდგდელმა, თავისი სამწყსო უკვე გადასცა შვილს, რომელიც ხელდასმულია ახალციხეში (ყაზბეგი, 1995:147).

გ. ყაზბეგი აღნიშნავს, რომ მამა და შვილი მცირემცოდნენი აღმოჩნდნენ და ამიტომ ვერ შეძლეს, ჩვენთვის რაიმე ეცნობებინათო, მაგრამ თვით ეს ცნობა არის უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციის შემცველი. ჯერ ერთი, ოსმალეთის იმპერიის ამ მიერუებულ პროვინციაში მართლმადიდებელი ქრისტიანების არსებობა სასწაულს უტოლდება, მეორეც, აქაურ ქრისტიანებს ჰყავთ მდგდელი, (მართალია, მცირემცოდნე, მაგრამ ეს გასაკვირი როდია), გააჩნიათ საეკლესიო წიგნები, ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს, აქვთ კავშირი სხვა ქრისტიანულ ცენტრებთან და სხვა.

საყურადღებოა ყაზბეგის ცნობა, რომ უმცროსი ღებრაძის (ღებაძის) ხელდასმა ახალციხეში მომხდარა. მისი მდგდლად კურთხევის თარიღი უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოხდა ახალციხის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ; როგორც აღინიშნა, მამა ღებრაძე 1874 წელს 60 წლისაა, სამცხე-ჯავახეთი რუსეთმა მიიერთა 1829 წელს ადრიანოპოლის ზავით. ამ დროს ეს მდგდელი თხუთმეტიოდე წლის იყო და ბუნებრივია, შვილი არ ეყოლებოდა, მითუმეტეს, სამდვდლოდ მომზადებული შვილი.

მაშასადამე, 1874 წელს პარხლელი ღებრაძეები მცირერიცხოვან მრევლს პატრონობენ და გარკვეული კავშირი აქვთ რუსეთის იმპერიაში მოქმედებულ საქართველოსთან, რამდენად მასშტაბურია ქართულ ქრისტიანულ წრეებთან მათი ურთიერთობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი კავშირი არსებობს.

ნიშანდობლივია, რომ მდგდელი გ. ყაზბეგის ცნობების თანახმად, ძველი სახარების წასაკითხად მიდის ხოლმე ართვინში: უფრო გვიან, XX საუკუნის დასაწყისში საეკლესიო წიგნები და შესაბამისად, ალბათ, სახარებაც, რომ პქონდათ პარხლელ მართლმადიდებლებს, ამის შესახებ ცნობას უკვე ექვთიმე თაყაიშვილი იძლევა (თაყაიშვილი 1991:217) ამდენად მდგდელს სახარება XIX საუკუნის 70-იან წლებშიც ექნებოდა. სწორედ ძველი წიგნის სიწმინდის ძალა თუ გადაალახვინებდა ამოდენა მანძილს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს მისი რწმენის სიმტკიცეზე მიუთითებს, აბა რა შეანახვინებდა იმ უბედურებაში რჯულს და მრევლს.

გ. ყაზბეგი არ მიუთითებს, ართვინში მავალი მდგდელი უმცროსი ღებრაძე იყო თუ უფროსი. ალბათ უფრო ეს უკანასკნელი, რადგან მოგზაური უპირატესად მასზე საუბრობს. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ სომები ხუცესი ძველ (რამდენიმე წლის წინანდელს მაინც) ამბავს ყვება: 1874 წელს, როცა ყაზბეგმა ღებრაძე ნახა, მოხუცს მხედველობა დაშრეტილი პქონდა (ყაზბეგი 1995: 145), შესაბამისად, ძნელი საფიქრებელია, ოცხაათიანი გზა დაეძლია. მითუმეტეს, ბრძა სახარების წასაკითხავად ვერ მივიღოდა (თუ რა თქმა უნდა, „წაკითხვაში” სხვისი წაკითხულის მოსმენა არ იგულისხმება).

გ. ყაზბეგი ქრისტიანული თემის ადგილსამყოფლად არმენებს ასახელებს. ახსენებს აგრეთვე კობაკს. ექვთიმე თაყაიშვილი „სოფელ ხევეგსა და არმენებებს”, თუმცა, იქვე საუბრობს არა „სოფლების”, არამედ „სოფლის” შეახებ (თაყაიშვილი, 1991:218) სოფელი ხევეკია მითითებული 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა მიერ გადაღებულ იმ ფოტოზეც, სადაც აქაური ქრისტიანები არიან აღიძეს.

ამდენად, გ. ყაზბეგის მიერ აღწერილი ამბის მეტად საინტერესო გაგრძელებაა მოცემული ექვთიმე თაყაიშვილის 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში. აქვე უნდა ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა, რაკიდა თავად ვერ მოახერხა პარხალში ასვლა, იქ გაგზავნა ექსპედიციის ორი წევრი (თაყაიშვილი, 1991:4) დ. შევარდნაძე (მხატვარი) და ი. ზდანევიჩი (მოხალისე ხუროთმოძღვარი ალპინისტი) (თაყაიშვილი, 1991:217).

როგორც უკვე ვთქვი, ტაოს ეს ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების შემდეგაც და შესაბამისად, ქრისტიანულ სამყაროსთან კონტაქტის საშუალება მეტისმეტად შეზღუდული იყო. 1874 წლიდან 1917 წლამდე მთელი 43 წელია გასული. ეს მთელი თაობის შეცვლას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ფარული ქრისტიანობა შენარჩუნებულია იმდენად, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ, განაცხადეს წინაპართა რჯულის ერთგულების შესახებ. კერძოდ, ექვთიმე თაყაიშვილი წერს:

„უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსის ჯარმა დაიკავა ჭორობის ბასეინი, ამ სოფლის მთელმა მოსახლეობამ აშკარად აღიარა თავისი ქრისტიანული რწმენა და დიდ სიხარულს განიცდიდნენ. ჩვენმა 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დ. შევარდნაძემ და გ. ზდანევიჩმა ინახულეს იგინი და პქონდათ მათთან საუბარი მრევლის მოწყობის შესახებ. ჩვენს საკათალიკოსო საბჭოს უნდა გაეგზავნა მათთვის მდგდელი, რომ ფრონტი არ მოშლილიყო და რუსის ჯარს არ მიეტოვებინა ეს მხარე”. (თაყაიშვილი, 1991:217)

ეს ცნობები მრავალი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და საინტერესო: ყაზბეგის მოგზაურობიდან ექვსიოდე წლის შემდეგ, 1880 წელს იმავე მიდამოებში მივიღნენ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების” წევრები – ექთალაკვაძე და დ. მგალობლიშვილი. მათ სოფელ კობაკში ადგილობრივ ფარულ

ქრისტიანებთან ერთად ყველა რელიგიური წესის დაცვით ლოცვა აღავლინეს ეკლესიის ნანგრევებში. საინტერესოა აგრეთვე, რომ ისინი „ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებისათვის წარდგენილ ანგარიშში (სცსსა, 1-72) შენიშნავენ: „ეს იყო პირველი ქრისტიანული ლოცვა აგერ უკვე 200 წლის განმავლობაში”. კობაკი და ხევეკი მეზობელი სოფლები არიან. თუ ექვსიოდე წლის წინ ამ მიდამოებში ფარულთან ერთად დია ქრისტიანებიც იყვნენ და მღვდელიც ჰყავდათ, რანაირად იქნებოდა ეს ლოცვა „პირველი 200 წლის განმავლობაში?” როგორც ჩანს, მასპინძლები მაინც ფრთხილობდნენ და გულს როდი უსსილენენ უცხოებს. ადგილობრივთა სიფრთხილეზე ანგარიშის ავტორებიც მიუთითებენ და ისიც ცხადია, რომ სიფრთხილე ფარული ქრისტიანობის დამახასიათებელი თვისებაა.

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ეს რეგიონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა (იგულისხმება ერთა ლიგის მიერ ცნობილი საზღვრები) ეს ის პერიოდია, რომლის შესახებაც ვიქტორ ნოზაძე წერდა: „1920 წლის დასასრულისათვის ქართული ტერიტორია გაერთიანდა და გამრთელდა: შეიქმნა დიდი საქართველო, თავის ძველ საზღვრებში, თავისი ქართული მიწა-წყლით, რომელიც უამთა სიავის სრბოლაში და ისტორიული უკუღმართობით მოსწყდა მას. აღსდგა საქართველო”. (ნოზაძე, 1991:73). მაგრამ სამწუხაროდ, მენშევიკურ საქართველოს არც დრო ჰქონდა, არც შესაძლებლობა და შესაძლოა, არც სურვილი, რომ სათანადოდ მოეკითხა და მოეხედა აქაურობისთვის.

როგორ ცხოვრობდნენ და, საზოგადოდ, რას წარმოადგენდნენ პარხლისწყლის ხეობის მცხოვრები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე? საინტერესოა, რომ წინაპართა რჯულის შემნახავი ქართველების სოციალური და ეროვნული ფიზიონომია მთლად სახარბიელო ვერ არის. ყაზბეგის თანახმად, საკუთრივ სოფელ პარხალში ქართული ენა ყველამ არ იცის. კობაკის და არმენევის მკვიდრებმა იციან, მაგრამ ისინი შერყვნილ ქართულს ლაპარაკობენ. ბუნებრივია, ამ მიყრუებული ხეობის მცხოვრები ძველ ტაოურ დიალექტზე მეტყველებდნენ მაშინაც. ეს დიალექტი კი როგორც სალიტერატურო ქართულისგან, ასევე იმუამინდელი „რუსეთის საქართველოს“ სხვა დიალექტებისგან რამდენადმე განსხვავდება. შესაძლოა გვეფიქრა, რომ სწორედ ამ უჩვეულობამ მოსჭრა ყური ყაზბეგს. თავადაც შენიშნავს, რომ „განსაკუთრებული კილოთი და ჩქარი მეტყველებით აქაურთა ენა თავისებურია და იგი რუსეთის საქართველოს არც ერთი კუთხის მეტყველებას არ ჰგავს“ (ყაზბეგი, 1995:142), მაგრამ ყაზბეგს ვერ დავწამებო იმას, რომ დიალექტური მეტყველება ჩათვალა შერყვნილ ქართულად. სხვა შემთხვევებში, კერძოდ აჭარის, იმერევის, ლივანის მცხოვრებთა შესახებ საუბრისას, იგი საგანგებოდ აღნიშნავს ადგილობრივთა გამართული ქართულის შესახებ. შავშელთა (იმერეველთა) შესახებ წერს: „საოჯახო მეტყველებაში ისინი სუფთა ქართულით, მთლიანი საქართველოს მოსახლეობის, ე. ი. კავკასიის მთიულების აქცენტით დაპარაკობენ,“ (ყაზბეგი 1995:90), ხოლო ლივანის შესახებ მიუთითებს, რომ „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ“. (ყაზბეგი, 1995:116).

გ. ყაზბეგი ხაზს უსვამს ადგილობრივთა ჩამორჩენილობასაც. იგი აღნიშნავს, რომ „ხალხი გონებრივად ნაკლებად განვითარებულია და პირველყოფილი პერიოდის თვისებებს ატარებს. მკაცრმა ბუნებამ და სრულმა კარჩაკეტილობამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა კობაკის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებზე... კობაკის გვერდით პარხლის ხეობაში მოგზაური სულ სხვა სურათის მოწმე ხდება. იქ ხალხი უფრო განვითარებულია, რადგან ჭოროხის ნაპირების მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის ბუნების ხელისშემსლელი პირობები ნაკლებია“ (ყაზბეგი, 1995:142).

პარხლელთა დუხშირ ცხოვრებაზე მიუთითებს ზაქარია ჭიჭინაძეც (ჭიჭინაძე 1913:52). ისინი გადმოდიოდნენ ხოლმე რუსეთის საქართველოში და ხშირად ფულადი ანაზღაურების გარეშე, დღიური ლუგმის ფასად შრომობდნენ. აჭარაში

ზოგან დღესაც არის შემორჩენილი ტერმინი „პარხალი“: ხარბად მჭამელ, გაუმაძლარ ადამიანს ეტყვიან – რამდენს ჭამ, პარხალი ხომ არ ხარო, ან პარხალივით ჭამო... სწორედ იმ ეპოქის მწარე რეალობის ანარეკლი და კვალია ეს გამოთქმა!

ამ გაჭირვებულ და ბეზავ ყოფაში წინაპართა რჯულის ერთგულება მით უფრო ართულებს აქაურთა ცნობიერების ანალიზს. ცხადია, გარკვეული დასკვნების გაკეთება იმ მწირი მასალებიდანაც შეიძლება, რაც ამ ხეობის მცხოვრებთა შესახებ არსებობს: ჯერ ერთი, ეს რეგიონი მართლაც მიუვალია, დვორისაგან და კაცისგან დავიწყებული („კობაკიდან პარხლამდე გზას მე არ ადვწერ, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ეს იყო ყველაზე საძაგელი გზა, რომელიც გავიარეთ ამ მოგზაურობის დროს“ – აღნიშნავს ყაზბეგი (ყაზბეგი, 1995:142). მეორეც, აქვე ახლოს არის პარხლის ტაბარი (თუმცა, საკუთრივ პარხლელებს ქართულიც დაავიწყდათ და რჯულიც). გარდა ამისა, არმენხეველებს მდვდელიც ჰყავდათ და მისი წევალობით საქრისტიანო სამყაროსთან გარკვეული კონტაქტებიც ჰქონდათ. თუ მსჯელობას უფრო რომანტიკულ ასკექტში გადავიტან, უნდა გავიხსენოთ, რომ „პარხლის ზემო სოფლებში დღემდის შემორჩენილია ძველი გრძელი არხი, რომელიც იწყება სოფელ უთავიდან, კობაკის მახლობლად, გაჭრილია კლდეში რამდენიმე ვერსის სიგრძეზე და მიდის სოფელ ზავრიეთში. ამას მიაწერენ თამარ მეფეს და ამბობენ, ყველაზე დიდი დვაწლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო“ (თაყაიშვილი, 1991:221). თამარის ხსოვნა, ლეგენდები „თამარა დედოფალზე“ აქაურ ქართველებში დღემდე არსებობს. ვინ იცის, მეომარ ტაოელთა შთამომავლები რა საიდუმლოს ინახავდნენ, რა ვალდებულებების მატარებელნი იყვნენ „მეფისა და მამულის“ წინაშე. ეკლესია და მიუვალი ხეობა განა სხვაგან არ იყო სამუსლიმანო საქართველოში? ვინ იცის, რა საიდუმლო წაიღო თან იმ თაობამ.

რაც შეეხება ჩამორჩენილობას, ალბათ უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა, რომ აქაურები ცხოვრებაზე ზურგშექცეული ხალხი იყო: მათ უარი თქვეს რეალობაზე, რომელიც საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა მოიტანა. წლების განმავლობაში უკომპრომისობა უხეშობად გარდაიქმნა, რეალობასთან დაპირისპირება – კარჩაკეტილობად; თავისთავადობის, რწმენის, წინაპართა ტრადიციების გადარჩენისკენ მისწრაფება – მტრისა თუ მოყვრის მიმართ უნდობლობად. სინამდვილეში კი სწორედ ეს უხეშობა, კარჩაკეტილობა და უნდობლობა იქცა ტაოელი ფარული ქრისტიანების სულის დამცავ გარსად...

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის შემდეგ აქაური ქართველების შესახებ ცნობები მეტად მწირია. 1959 წლის მოგზაურობის დროს დენის სესილ ჰილზი შეხვდა ადგილობრივ მცხოვრებს, „მთავრობის ფინანსურ აგენტს“, რომელიც, შესაძლებელია, სწორედ კობაკის მცხოვრები ყოფილიყო. ჩვენი ყურადღება ჰილზის ჩანაწერმა იმით მიიქცია, რომ ზემოხსენებული გურჯი ამ უცხო კაცოან საუბრისას გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ადგილობრივთ თანდათან ავიწყდებათ მშობლიური ენა. კერძოდ, ჰილზი აღნიშნავს: „ამბობენ, აღმოსავლეთ თურქეთის დღევანდელი ქართული მოსახლეობა გამუსლიმანებული შთამომავლობაა წარმოშობით ქარისტიანი ხალხისა, რომელთა ქვეყანა ერთ დროს კავკასიონიდან ჭოროხის მდინარემდე და მის შენაკადამდე იყო გადაჭიმული. მე არ დავუწევ გამოკითხვა იმ აგენტს, რადგან ის აუცილებლად უარყოფდა ყოველგვარ კავშირს ქრისტიანებთან. მაგრამ ის წუხდა, რომ განათლების და ემიგრაციის წყალობით ქართული ენა იკარგებოდა (ჰილზი, 1972:133).

ვინ იცის, იქნებ ეს ფინანსური აგენტი სწორედ იმ ფარული ქრისტიანების შთამომავლი იყო და არც უარესო ქრისტიანებთან მისი წინაპრების კავშირი...

თანამედროვე ხევეკსა და კობაკში ისევ ახსოვთ ქართული. უპირატესად – საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ეს მიდამოები ტაოს იმ მცირერიცხვან სოფლებს შორისაა, სადაც დღემდე შემოინახეს მშობლიური ენა,

ლეგენდები და წარმოდგენები წარსულისა და წინაპრების შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარხლისწყლის აუზის მიუვალი სოფლების უმრავლესობა დღეს ლამის დაცლილია მოსახლეობისგან. აქაურები დიდ ქალაქებს ეტანებიან და მათი უმრავლესობა მხოლოდ ზაფხულობით ამოდის წინაპართა კერაზე. თუმცა თანამედროვე ვითარება უკვე სხვა თემაა და მას ამჯერად აღარ შევეხებით.

### ლიტერატურა

1. თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960
2. თაყაიშვილი ე., სამუსლიმანო საქართველო. – კრებული „დაბრუნება“ (ემიგრანტულული ნაშრომები), თბილისი, 1991
3. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1991
4. სცსსა, ფ. 140, აღწ. 1, საქ. 292, ფურც. 1-72.
5. ფრონელი ალ., დიდებული მესხეთი, თბილისი, 1991
6. ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი, 1913
7. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995
8. Из книги «Криптохристианские тексты». - [www.Pravoslavie.ru](http://www.Pravoslavie.ru)

## ნანა ქორიძე

## მუზეუმის ითივალური შანდაპხები

წინაისტორიული პერიოდის რელიგიური წარმოდგენები, მათ შორის საკულტო წეს-ჩვეულებები და მათი ნაკვალევი თანამედროვეობაში განსაკუთრებით საინტერესო და სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის დაინტერესების სფეროს წარმოადგენს. აჭარის მუზეუმში დაცული ითივალური ქანდაკებები იმ საგანთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ძველი საზოგადოების სულიერ ღირებულებებზე, კერძოდ ნაყოფიერების კულტზე საუბარი. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით მუზეუმში არაერთი საინტერესო ექსპონატი და ფოლკლორული წყაროა დაცული, რომელთა კულტუროლოგიური კვლევა სამომავლოდ მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას მოგვცემს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ითივალური ქანდაკების პოვნა აისხება იმ გარემოებით, რომ უხსოვარი წარსულიდან ნაყოფიერების სიმბოლურ გამოსახულებასთან – ფალოსთან დაკავშირებული რიტუალი წარმოადგენდა ძლიერებისა და გამრავლების საშუალებას. იგი, როგორც რელიგიური ატრიბუტი, გაიაზრებოდა, როგორც სიკეთის საწყისი და ყოველგვარი უბედურებისაგან თავდაცვის სიმბოლო.

ფალოსური კულტის ფრიად საყურადღებო მასალა წარმოდგენილია აჭარის მუზეუმში, რომელიც ნაპოვნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ახალციხის მიდამოებში. ისინი მუზეუმში შემოვიდა 1921 წელს. 5 ცალი ბრინჯაოს შიშველი მამაკაცის ქანდაკებები წარმოადგენენ საკულტო საგნებს. ისინი სიდიდითა და ფორმით განსხვავდებიან, სხეული სრულიად შიშველი აქვთ (სურ. 1). ამოსახულებათა ფალოსური ხასიათი მოწმობს, რომ აღნიშნული ქანდაკებები წარმოადგენენ მამაკაცის სქესობრივი ძალის სიმბოლურ გამოსახულებას, რომლის საკულტო მნიშვნელობას ადასტურებს ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებისა და რწმენათა შესწავლა. ამ კოლექციის ყველა ფიგურა შიშველია და ითივალური ხასიათისაა. თითოეული ფიგურა ცალკეა ჩამოსხმული, ყალიბი არ მეორდება. მუზეუმში არსებული ითივალური ფიგურების მსგავსი ნივთები 1871-1874 წლებში აღმოჩნდა სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) და სამეცნიერო ლირერატურაში ცნობილია, როგორც „ყაზბეგის განძი“. მათი დიდი ნაწილი დაცულია მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებში. განძში წარმოდგენილი იყო საკულტო საგნები, სამკაულები. ბრინჯაოს ერთ-ერთი სკულპტურა – ქანდაკება დგას ხარის რქებზე. იგი წარმოადგენს მაგიური მნიშვნელობის საგანს, ხოლო ადამიანის შიშველი ფიგურის გამოსახულება ფალიური ატრიბუტებით იმაზე მიუთითებს, რომ ამ ნივთებს რიტუალური დანიშნულება ჰქონდა (სურ. 2).

1913 წელს სოფელ ზეკარში (იმერეთი, ბაღდადის რაიონი) ნაპოვნი იქნა შიშველი მამაკაცის გამოსახულება, სქესობრივი ნიშნებით. ამ ფიგურის სიმაღლე 24 სმ-ია. იგი სტეფანწმინდაში აღმოჩნილ ფიგურებზე დიდია, რომელთა სიმაღლე 12 სმ-ია. ზეკარის ფიგურა გაცილებით მკვეთრად გამოხატული არქაული სტილისაა ვიდრე სტეფანწმინდის ძეგლები. ზეკარისა და სტეფანწმინდის ძეგლების შედარებით ანალიზი ადასტურებს გარკვეული მხატვრული ტრადიციების არსებობას. ძეკარის ფიგურისათვის დამახასიათებელია ვიწრო, მოგრძო ტორსი, მეტად განიერი მხრებით და სხეულის ზედა ნაწილთან შედარებით მოკლე ფეხები. სახე ბრტყელი, დიდი თვალები, მოგრძო, წინ გამოწეული ნიკაპი, კეხიანი ცხვირი და ხშირი თმა. სხეულის გადმოცემაში მკვეთრად ჩანს არქაული სტილის რიგი თავისებურება. იგი გვაგონებს ადრეული ხანის ხეთური ხელოვნების ძეგლებს. ფიგურის ფრონტალობას არღვევს იდაევში მოხრილი და წინ გაწვდილი ხელები. პორიზონტალურად გაწვდილი ხელების დაპირისპირება სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობასთან

ტიპიურია არქაული ეპოქის ქართული ხელოვნებისათვის. ზემოთ აღნიშნულ ქანდაკებებს ანალოგი მოეპოვება აჭარის მუზეუმის კოლექციაშიც. მისი სიმაღლე 7,7 სმია, ქანდაკებას ტანი მამაკაცისა აქვს და ამასთანავე აქტიურ მდგომარეობაშია. მხრებში ფართე, ხელები იდაყვებში მოხრილი, მარჯვენა ხელი მაღლა აწეული აქვს, ხელში გაურკვეველი ნივთი უჭირავს, მარცხენა კი წინ წამოწეული, თითქოს მუჭი აქვს მოღერებული. ფეხები მოკლე, განზე გადგმული. ფიგურას თავზე გაპეტებული აქვს მაღლა და სწორი რქისებრი თავსაბურავი, ოდნავ მარჯვნივ გადაქანებული. სახე ბრტყელი, თვალები წინ წამოწეული, შესამჩნევადაა მოცემული წარბებიც, ხასიათდება სწორი ცხვირითა და წინ წამოწეული ქვედა ტუხით. იგურას ნათლად ეტყობა დაძაბულობა. გამოიყურება, როგორც შუახნის მამაკაცი, თმა კი ქალურად უკან აქვს დახვეული, ეს გასაკვირიც არ არის, რაღგანაც ცნობილია, რომ როგორც ადამიანისა და დედამიწის გამანაყოფიერებელ დათავაბას, განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ და ის ხალხური წარმოდგენით ორსქესიან არსებად იყო წარმოდგენილი. ამიტომ მას ხშირად ქალის სხეულითა და მამაკაცის ასოთი აქანდაკებდნენ. ქანდაკება წარმოდგენილია უპოსტამენტოდ (სურ. 3).

მსგავსი საინტერესო მასალაა მოპოვებული იორ-ალაზნის აუზიდან. შემთხვევით ნაპოვნი ქანდაკება წარმოადგენს შიშველი მამაკაცის ფიგურას, რომელსაც ხელები განზე აქვს გაშლილი. მარჯვენა ხელში ყანწი უჭირავს, ყელზე თასმით მარცხენა იღლიის ქვეშ სატევარი ჰკიდია, ქანდაკებას აქტიურ მდგომარეობაში აქვს სასქესო ორგანო. ქანდაკების სიმაღლე 19 სმ-ია. აქვეა აღმოჩენილი შეიარაღებული მამაკაცის ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკება. მამაკაცს მარცხენა ხელში ოვალური მოხაზულობის ფარი უჭირავს, მარჯვენაში შუბის ფრაგმენტი, წელზე წნული სარტყელი აქვს და ყელზე გვირგვინი უკეთია, სასქესო ასო უხეშად აქვს გამოყვანილი და მუცელზე მიკრული, პროფილში ცხვირი კეხიანია. სახეზე მრისხანე გამომეტყველება და თავზე მუზარადი ახურავს. ქანდაკების სიმაღლეა 8,7 სმ. იგი ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს სხვა საგნებთან ერთად.

აჭარის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ქანდაკებების კოლექციიდან 3 ქანდაკება თითქმის ერთნაერია. სიმაღლით 7-8 სმ. ბეჭებში განიერი, მარჯვენა მხარი დამრეცი, ხელი წელთან დოინჯშემოყრილი, მარცხენა მხარი უფრო განიერი, ხელი თეძომდე დაშვებული. ფეხები მოკლე, ერთმანეთისგან დაცილებული. მოგრძო თავი დაბჯენილია კისერზე, მოგრძო სახითა და ცხვირით. თვალები დახუჭული აქვს, შესამჩნევადაა წარბები. ნიკაპი მოგრძოა, გამოყვანილია პირის დარი. თავზე წაწვეტებული ქუდი ოდნავ მარცხენივ აქვს გადაწეული. სახე მრისხანე გამომეტყველებისაა. თუ ძალიან დავუკვირდებით სახეებს, ადვილი შესაძლებელია გავარჩიოთ, რომ სხვადასხვა ასაკის არიან, მაგრამ პოზა ერთნაირი აქვთ. აღსანიშნავია, რომ დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა ის გარემოება, რომ ყველა ფიგურის პოზები მკვეთრად გამოხატულ მოძრაობას გადმოსცემენ, თუმცა ამასთანავე ბევრი რამ დღემდე გაურკვეველი რჩება. იღლიებთან სიცარიელე აქვთ, ამიტომ შესაძლებელია ისინი რიტუალური სცენის ჩატარებისას ჩამოკიდებული ყოფილიყვნენ განკუთვნილ ადგილზე. ქანდაკებებს ეტყობათ, რომ დამზადებული არიან ყალიბით, ამოღების შემდგომ დამუშავებული არ არის (სურ. 4).

აღნიშნული კოლექციიდან ერთი ფიგურა თავსაბურის გარეშეა, ფიგურის სიმაღლე 6,3 სმ. წინა ფიგურებთან შედარებით თავი მეღოტია, გრძელი ცხვირით, დახუჭული თვალებითა და წარბებით. ნიკაპი მოგრძო, ჩაღრმავებული პირით, სახეს თითქოს არაფრის მეტყველი დამცინავი დიმილი დაჲკრავს. სახის გამომეტყველებით იგი შეა ხანს გადაცილებული უნდა იყოს. მარჯვენა მხარი დამრეცი, მარჯვენა ხელი წელზე დოინჯშემორტყმულია. მარცხენა კი თეძომდე აქვს სწორად დაშვებული, დგას ფეხებგაშლილი, ფეხსაცმლის გარეშე. ს. მაკალათიას მიხედვით: „ძნელია გადაჭრით თქმა, თუ სად არის ფალოსის ეს ქანდაკებები ჩამოსხმული, ან ის ქართველებს ეკუთვნის თუ უცხოელებს, მაგრამ უდაოა, რომ მის თაყვანის-მცემელ ერს საქართველოში უცხოვრია” (მაკალათია, 1926).

ითიფალური ქანდაკებების აღმოჩენების გეოგრაფიული არეალი ფართოა, ამიტომ უფრო სავარაუდოა, ისინი ქართველურ ტომებს დაემზადებინათ, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და კერძოდ, მდინარე ჭოროხის აუზი სამართლიანად ითვლება ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთ წამყვან კერად. ამდენად, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ბრინჯაოს ქანდაკებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყოს ჩამოსხმული.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ აჭარისწყლის ხეობა ბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის ერთ-ერთი საინტერესო რეგიონს წარმოადგენდა. სწორედ 1988 წ. ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში აღმოჩენილმა წარმართულმა საკულტო ძეგლებმა საინტერესო მასალა მოგვცა აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებისა და რელიგიური რიტუალების შესახებ

სოფ. კალოთის საკურთხეველ-სამსხვერპლოს (ძვ. წ.-აღ. I ათასწლეულის, I მეოთხედი). ატრიბუტთა შორის პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ქვის ფალოსი (სიმაღლე 125 სმ. თავის სიმ. 40 სმ. დმ. 40-20 სმ). ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მამაკაცის ასოს, განაყოფიერების სიმბოლოს – ფალოსის მსგავსი გამოსახულება ამინდის, ტაროსის, ცა, ღრუბელის გამგებელი დათაების, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ლაზარეს კულტთან ჩანს დაკავშირებული. ლაზარობა ხალხური საკულტო დრამის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. იგი, როგორც აგრარული დანიშნულების სანახაობა, ტაროსის დათაება ლაზარესადმი თაყვანისცემა-ვედრებას წარმოადგენს. მაგიური ხასიათის ლაზარობის წარმართულ ტრადიციას თანამედროვეობაში თან ახლავს სიტყვიერი ტექსტები – ლექს-საგალობლების სახით. სამეურნეო დანიშნულების ეს რიტუალური ჩვეულება საქართველოს ყოველ კუთხეში იყო გავრცელებული და აქა-იქ დღესაც სრულდება სხვადასხვა სახელწოდებით: ლაზარობა/ლაზარია, ელიობა, პირიმზე, გონჯა, კოტო-კოტო, დიდება და ა.შ. ლაზარობის საწესხვეულებო რიტუალები კარგადაა შემონახული ზემო აჭარაში ფიქსირებულ მასალებში. ზემო აჭარაში აღმოჩენილი საკურთხეველ-სამსხვერპლოც ამის დადასტურებაა.

კალოთის ფალოსი ორი ნაწილისაგან შედგება: სამკუთხა წვეროსა და სვეტი-საგან. ეს არ ყოფილი შემთხვევითი. ხალხური შეხედულებით ძლიერი და ხანგრძლივი გვალვების დროს სვეტზე სამკუთხა მოყვანილობის თავს თუ დაადგამდნენ სანაცრელი წვიმა წამოვიდოდა, ხოლო გადაუდებელი წვიმა-წარდვნების დროს ფალოსის წვეროს მოხსნით სასურველი ამინდი დადგებოდა (ეთნოგრაფ ნ. ჩიჯავაძის ცნობით, დმანისის რაიონის სოფ. დიდგომარეთში დაფიქსირებული ფალოსიც, კალოთის მსგავსად ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მისი ფუნქციაც ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით სასურველი ამინდის. რეგულირება ყოფილა (კახიძე, მამულაძე, 1998:49). ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „პატივანს (სამხრეთ საქართველო) ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი, იქნების უწვიმობა” (ვახუშტი, 1941:60).

სოფ. კალოთის ქვის ფალოსებს გარკვეული პარალელი არქეოლოგიურ მასალებშიც ეძებნებათ. პირველ რიგში აღსანიშნავია მეგალიტური კულტურის ძეგლებით მდიდარი სომხეთი. ურარტული ხანის ოშაკანის გათხრებისას მოპოვებულია ქვის მონოლითისაგან დამზადებული ფალოსები (ძვ.წ. VIII-VII სს.).

ფალოსის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში. ეს კულტი ფართოდ ჩანს ფეხმოკიდებული ზღვისპირა ზოლში. ფიჭვარის ე.წ. „საკულტო ძეგლზე” მრავლადა აღმოჩენილი თიხის ფალოსები (სურ. 5. შდრ. კახიძე, მამულაძე, 2007:235).

საქართველოში წარმართულმა შეხედულებებმა ბოლო დრომდე სხვადასხვა მოდოფიცირებული სახით მოადწიეს. წარმართული შეხედულებები დაიღვეს

ხალხურ დღესასწაულებსა და რწმენა-წარმოდგენებში. ფალოსის კულტთან დაკავშირებით საინტერესოა აჭარაში შემონახული წარმართული ელემენტები.

ხულოს რაიონის სოფ. კალოთაში გამოვლენილი წარმართული სალოცავის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმართულია ქვის ფალოსის დერო. იქვე სამლოცველოს იატაკზე აღმოჩნდა ფალოსის თავიც. გვერდით მდგარა ქვაკაციც. იუხედავად იმისა, რომ აჭარაში „ბოსლობა“ საოჯახო რიტუალი იყო, აღრეულ ხანაში იგი მთელი თემისათვის განკუთვნილ საკულტო და სარიტუალო სალოცავებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. აჭარაში ბოსლობა როგორც ხალხური დღესასწაული სრულდებოდა ახალი წლის დღეებში: საღამოს სახლის უფროსი ქალი და მამაკაცი ხმის ამოუღებლად კერის ჯაჭვს ხსნიდნენ, საქონლის სადგომში ჩადიოდნენ, საქონელს სამჯერ შემოუვლიდნენ და იქვე განაყოფიერების სიმბოლურ რიტუალს ასრულებდნენ, რაც ღამითაც მეორდებოდა. ბოსლობის დღესასწაული ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ცალკეულ პროვინციებში, მაგალითად, სვანეთში აღწერილ რიტუალში ფიგურირებს მოზვერი, ფალოსი და განაყოფიერების სიმბოლოები (მგელაძე, 2007:224).

ქართული ხალხური დღესასწაულებიდან ერთ-ერთი მრავალფეროვანი აგრარული დღესასწაულია ბერიკაობა-ყენობა. აღრე გაზაფხულზე, ყველიერზე, როდესაც ნუშის კვირები იშლებოდა და სოფლის მამაკაცები – ახალგაზრდები და მოხუცები მოედნებზე, კალოებსა და სახლის ბანებზე შეიყრებოდნენ და გაზაფხულის სადიდებელი დღესასწაულის სამზადისს იწყებდნენ. ამ დროს ხალხი სქესობრივი ურთიერთობის იმიტაციას აკეთებდა, რომლის მიზანს ბუნების აღორძინება წარმოადგენდა, მაგრამ შემდგომ ისინი სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების მფარველი დვთაებების მსახურებისა და თაყვანისცემის გამოხატულებად იქცნენ.

ბირიკას წელზე ქამარი ერტყა, რომელზედაც ხის, ძვლის ან რქის ფალოსი იყო ჩამოკიდებული. ბერიკები კარდაკარ დაივლიდნენ სოფელს. ყველა სიხარულით ელოდა... ცეკვის დროს იგი დროდადრო ფალოსს მიწას უსვამდა... მთელი გულისყური კი დედოფლისადმი იყო მიპყრობილი. სოფლის მოედანზე ან დიდი სახლის ბანზე ნეფელედოფლის ქორწინების ინსცენირება ხდებოდა. ბერიკა ეალერსებოდა დედაკაცს, ცოლობას სთხოვდა... ალერსის ბურუსში გახვეული დედოფლი თანხმდებოდა და ცეკვა-თამაშობა და ფერხულით სქესობრივი აქტის ინსცენირება ეწყებოდა. ამის მაყურებელი ხალხი ერთმანეთს დაერეოდა, ზოგი ქალს მისდევდა, ზოგი განურჩევლად ყველას კოცნიდა... (რუხაძე, 1966:7-9).

„ბერიკაობის“ დღესასწაულის მერვე დღეს დიდმარხვის ორშაბათს, ყენობა იწყებოდა („ყენი ბუღა იყო და ბუღაობდა“)... მოედანზე სხვადასხვა სანახაობაც იმართებოდა, ყენი ძუნძულის მსგავსი ცეკვით წრეს ჩამოუვლიდა, თან ფალოსს ამოძრავებდა და ქალებს ეხვეოდა. ამალის ყველა ახალგაზრდა წევრი (კუროები) ქალებს დასდევდა, ეარშიყებოდა და კოცნიდა. ეს ორივე დღესასწაული ერთიმეორებზე აგებული, ერთი ძირიდან გამომდინარეობდნენ.

ბერიკაობა-ყენობის მთავარ პერსონაჟთა ჩაცმულობაში ნიდაბის გარდა ყურადღებას იპყრობს ცხვრის ტყაპუჭი, თხის ტყაპ-წამოსასხამი და ფალოსი. რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ უძველეს ხალხებში თხასა და ცხვარს ნაყოფიერების ძალა მიეწერებოდათ. ამით იყო შეპირობებული ცხვრისა და თხის განსახიერება, მათი ატრიბუტიკის, მათ შორის ტყაპ-ბეწვის განსაკუთრებული როლი აგრარულ კულტებში.

ბერიკაობა-ყენობის ერთ-ერთი სახე „დათვობია“ აჭარაშიც გვხვდება. ამ თამაშში მონაწილეობას იღებდნენ მეფე ანუ მსაჯული, ბატონი, ანუ დათვი და ყმა გლეხები ანუ თხები. მსგავსი დღესასწაულები, სხვადასხვა ცხოველებად შენიდულ პერსონაჟთა მონაწილეობით, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთსა და ელენისტურ სამყაროში. ასეთებია: მესოპოტამური თამუზისა და მითანური იშთარის, ფინიკური აღონისის ასტარტას, ბერძულ დემეტრეს და დიონისეს მრავალდღიანი მისტერიები.

ფალოსის კულტის არსებობას აჭარის ტერიტორიაზე ამყარებს ფოლკლორული მასალა, რომელიც ჩაწერილია ცნობილი მკვლევარის ჯემალ ნოდაიდელის მიერ და ცნობილია „ფადიკოს“ სახელწოდებით. „ფადიკო“ ერთგვარი თამაშია, რომელსაც აწყობენ ქორწილში, დამის თორმეტ საათზე. თამაშში მონაწილეობდა ექვსი კაცი და ერთი ქალი. ქალის ტანისამოსით შემოსილ, ოთახში დაოთხილად მდგარ კაცს ფადიკო შეაჯდებოდა. რი მამაკაცი ერთმანეთს შეეცილება, პირველი მოასწრებს და ფულს გადააყრის, ქალიც მას რჩება. ბოლოს ორივე მოქიშპე მაინც შერიგდება და იტყვიან; „ერთს დღე გაგავდეს, მეორეს დამეო“ და ორივე დააყრის ფულებს. შემდეგ ფადიკოს „კურბანს“ (საკლავს) შემოავლებენ და დაკლავენ... უეცრად ფადიკო დაიმალება... ბოლოს იპოვიან და ვახშმად დასხდებიან. ნავახშმევს ერთ მათგანს დაეძინება, მეორე კი ფადიკოს მიუწვება და ეალერსება. ამ დროს პირველი იღვიძებს ხმალზე ხელს გაიკრავს, ამხანაგს დაჭრის... და ფადიკოს გაიტაცებს, ქალი ეწინააღმდეგება, თან გაიძახის: „ის შენზე მეტად მიყვარსო“, ის კი ფადიკოს ეხვეწება – „მე წამომყევი მასზე უკეთესი ვარო“ და თან ქრთამსაც ჰპირდება. ბოლოს ქალი თანხმდება და მიჰყება (ნოდაიდელი, 1935:32-33).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ფალოსის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ძველი საქართველოს მცხოვრებთა რელიგიაში. იგი განსაკუთრებით კონცენტრირებული იყო მოქვდავ და მკვდრეთით აღმდგომი დვთაებების გარშემო. ამ დღესასწაულებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სქესობრივი ურთიერთობების იმიტაცია, რომლის მიზანს ბუნების აღორძინება წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ამგვარი დღესასწაულები საერთო-სახალხო ხასიათის ატარებდა, რომლის რიგი ელემენტი, რელიგიური აზროვნების განვითარების, მათ შორის მონოთეისტური რელიგიების შემწყნარებლური ბუნების პირობებში შეერწყა სხვადასხვა დღესასწაულს და დღემდე შემოინახა თავი.

მუზეუმში დაცული ითიფალური ქანდაკებები, ასევე ფოლკლორული მასალები სწორედ, რომ უტყუარი მასალაა ფალოსის კულტთან დაკავშირებული, ჯერ კიდევ აქტუალური საკითხების დაზუსტებისა და განზოგადების თვალსაზრისით.

### ლიტერატურა

1. ერისთავი მ., ნაყოფიერების კულტის გადმონაშთები (აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით). – აჭმ. ხ/ფ. №1006, 1982 წ.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1941
3. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993
4. კახიძე ა. მამულაძე შ., აჭარის მთიანეთის წინაქრისტიანული ძეგლები. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, I, ბათუმი, 2007
5. მგელაძე ნ., სულიერი სამყარო. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, 1. 2007
6. მაკალათია ს. ფალოსის კულტი საქართველოში, თბილისი, 1926
7. ნოდაიდელი ჯ., ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1935
8. რუხაძე ჯ., ქართული ხალხური დღესასწაულები, თბილისი, 1966
9. საქართველოსა და ამიერკავკასიის არქაული ხელოვნება არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბილისი, 1971
10. ფიცხელაური კ., იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბილისი, 1965



სურ. 1



სურ. 2

სურ.3




სურ. 4



სურ. 5

## ალექსანდრე თიროშვილი

### ჩემი მოგონებები



დავიბადე ქ. ბათუმში 1889 წელს. 7 თებერვალს. წლინახევრის გყოფილვარ მამა, რომ გარდამეცვალა და მე ის არ მახსოვს, აგრეთვე პაპაჩემი. სამი ძმა თიროშვილები – სიმონი, პეტრე და ივანე გადმოსულან პირიქითი ხევსურეთიდან და ჩამოსახლებულან ჯერ აწყურეთში, მერე კი იქედან ახალციხეში. მამაჩემის მამა მე არ მახსოვს, რაღგან აღრე გარდაცვლილა, არ მახსოვს აგრეთვე მისი უფროსი ძმა პეტრე, მაგრამ სულ უფროსი სიმონიკი ძალიან კარგად მახსოვს, ჭარმაგი მოხუცი უცოლშვილო იყო. პეტრეს და ივანეს კი ჰყავდათ ცოლშვილი. ჩემი მამის დედა იყო გოგინაშვილის ქალი. მამაჩემი, დედაჩემის გადმოცემით მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ ახლად აღებულ ბათუმში, აუშენებია სახლი. თვითონ ზამთარში ციხისძირში გარეულ დორზე ნადირობისას გაციებულა და გარდაცვლილა. მაშინ ახლად აღებულ ბათუმში ერთადერთი გართობა ყოფილა ნადირობა. მაშინდელი ციხისძირი და თვით ბათუმის განაპირა, დღევანდელ „ჭაობათ“ ხევნებული, სულ ჭაობით და ტყით ყოფილა დაფარული, მე თვით კარგად მახსოვს ეხლანდელი ჭავჭავაძის ქუჩიდან თვით ურეხამდე სულ თხემლის ტყე და ჭაობი იყო. დედაჩემი იყო ახალციხელი ქართველი კათოლიკე, ალექსანდრე ისკანდაროვის ქალი.

მე, მამის სიკვდილის შემდეგ დავრჩენილვარ დედის ანაბარა და გამზარდა მან. დედაჩემი მეტის-მეტი გონება გახსნილი ქალი იყო, წიგნების მოყვარული და უაღრესი პატრიოტი. ის ხშირად მიკითხავდა ისტორიულ წიგნებს და მეც დღემდე გატაცებული ვარ ასეთებით. სიმონ პაპა, რომელიც მიუხედავად ასაკისა, თითქმის 100 წლისა იყო, არ ჩამოუარდებოდა კაი ახალგაზრდებს, იყო საუცხოო ცხენოსანი, მოჯირითე და მომლხენი. ის ხშირად გვიმდეროდა ძველ-ძველ სიმღერებს და ამით აღმზარდეს მე. მე რომ მახსოვს იმდროინდელი ბათუმი წარმოადგენდა თითქმის კაი დიდ სოფელს. იყო რამდენიმე ქუჩა. მთავარ ქუჩას ერქვა მარინეს პროსპექტი. იყო სანაპირო ქუჩა. სრულად მოუწყობელი, სადაც მხოლოდ ყავახანები იყო. სხვა რამდენიმე ქუჩას ერქვა ყოფილ გენერლების: შეპელიოვის, ბარიატინსკის, დონდუკოვ-კორსაკოვის და სხვა ასეთების სახელები. ვინაიდან ახლად შემოერთებული ბათუმი გამოცხადებული იყო „პორტოფრანკოთ“, ე. ი. თავისუფალ ქალაქად, რომელშიც საბაჟო ჯერ არ იყო გახსნილი, ამიტომ აუარებელ საზღვარგარეთელ ფირმებს შემოჰქონდათ თავიანთი სხვადასხვა საქონელი და ამიტომ მთელი ქალაქი მოფენილი იყო სხვადასხვა ფირმების კანტორებით. ამასთან დაკავშირებით აქ იყო თითქმის ყველა უცხოეთის საკონსულოები. ვინ გინდათ რომ არ იყვნენ აქ: ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, ესპანეთის, თურქეთის, საარსეთის და კიდევ სხვების კონსულები. ამასთან დაკავშირებით ბათუმის მცხოვრებლებიც შესდგებოდა მეტად ჭრელი მოსახლეობისაგან. ქართველობა რიცხობრივად გაცილებით მეტი იყო, მაგრამ უმეტესად მუშები იყვნენ როტშილდის, მანთაშევის, ნობელის ქარხნების, მართალია, ცოტაოდენ ქართველებსაც პქონდათ სავაჭროები: მიშა ნაკაშიძეს და ჭყონიას პქონდათ ხე-ტყის საწყობები. იყვნენ ვაჭრები: უქოთიმე ბერძენიშვილი, ნიკო საბაშვილი, პავლე მჭედლიშვილი, ძმები კახიანები, ძმები რუხაძეები,

გაბუნია, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში, უმეტესი ვაჭრობა კი უცხოელებს ეჭირათ. ბათუმში მაშინ იყო 2 ბალი, ერთი ალექსანდრეს სახელობის (ეხლანდელი პიონერთა პარკი), მეორე კი ზღვისპირა ბულვარი. ალექსანდრეს ბალში იყო მრავალი ეგზოტიკური მცენარე: მაგნოლია, ეგვალიპტი, კიპარისები, პალმები და სხვა ასეთები. მებაღედ იყვნენ ვინმე დელფონები, ნესტორ ტყებუჩავა, შემდეგ აკაკი ხოშტარია, ლეონიძე და სულ ბოლოს გორდეზიანი. რაც შეეხება ზღვისპირა ბულვარს, არც ერთი ეგზოტიკური მცენარე არ იყო, იყო მხოლოდ აკაცია. ბულვარი დამით ნათებებოდა ნავთიან ლამპიანი ფანრებით, რომლებსაც საღამოობით ანთებდა ვინმე მნათი, დილას კი ისვე ჩააქრობდა. მაშინდელი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა შესდგებოდა რამდენიმე ოჯახისაგან: აბაშიძეები, შერვაშიძეები, დიასამიძეები, ლორთქიფანიძეები, ჭიჭინაძეები, ბეჯანიძეები, ქიქავები, ჩიჯავაძეები, კომახიძეები, ჭყონიები, ხალვაშები და კიდევ რამდენიმე ოჯახი, მაგრამ ესენიც საერთო მცხოვრებთა რიცხვის ძლიერ მცირე პროცენტს შეადგენდნენ.

იმდროინდელ ბათუმში იყო 2 მართლმადიდებლების ეკლესია, 2 ჯამე, სომხების ეკლესია, სომხებ-კათოლიკეთა ეკლესია, ერთი ებრაელების სინაგოგა და ქართველ კათოლიკეთა ეკლესია ჯერ არ არსებობდა და ლოცულობდნენ ჯანელიძის სახლის ზემო სართულში, შემდეგ კი ბაქოელმა მილიონერმა ზუბალაშვილმა ააგო ძვირფასი ეკლესია. სწორედ იმ დროს შენდებოდა სამხედრო უზარმაზარი სობორო. სასწავლებლები იყო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა, ახლად გახსნილი ვაჟთა გიმნაზია, რუსთაველის ქუჩაზე ფლიგენი, სამოქალაქო სასწავლებელი, ბერძნების სასწავლებელი, ქალთა მარინეს სახელობის სკოლა.

მაშინდელი ბათუმის შენობები სულ, ან ერთ, ან ორსართულიანები იყო. დღეს რომ ვხედავთ მრავალსართულიან სახლებს, სად იყო ესენი.

ეხლა, რომ სახელმწიფო ბანკია იქ იყო ფიცრებით შემოღობილი ცარიელი ეზო, რომლის ბოლოსაც ვიღაცა ფოტოგრაფს „სიმონ ერუ“-ს ჰქონდა ფოტოგრაფია. ეხლა რომ პროფსაბჭოს აგურის სახლია იქაც ტიალი მინდორი იყო და ვინმე ვოლფენზონმა ააგო ეს დიდი სახლი. ლენინის და სტალინის ქუჩის კუთხეში საბაგაშვილმა და ჩერტკოვმა ააშენა სამსართულიანი სახლები, თორემ იქაც ცარიელი მინდორი იყო. ეხლა რომ თურქეთის საკონსულოა იქ პატარა ქოხი იდგა და ძმებმა ჩილინგარიანებმა ააგეს ეს სახლი. ეხლა რომ ფოსტის შენობაა იქ იყო დიდი ახორი, სადაც კაზაკები და მათი ცხენები იყვნენ მოთავსებული და ვინმე ვაკიემ, გარუსებულმა ფრანგმა ააშენა ეხლანდელი ფოსტის შენობა, შემდეგ კი ეს შენობა იყიდა ქუთაისელმა ებრაელმა იაკობაშვილმა. ეხლა რომ რკინიგზის სახლს უწოდებენ ჯაფარიძის ქუჩაზე, იქაც ტიალი მინდორი იყო და ვიღაც გერმანელმა ფიტინგოვმა ააშენა ეს დიდი სახლი. ეხლა რომ მინისტრთა საბჭოს შენობაა ლენინის ქუჩაზე იქაც პატარა ერთ სართულიანი ქოხები იდგა. ეხლა რომ სტალინის ქუჩაზე ყოფილი პარტიული კომიტეტის შენობაა, ვინმე პარომბეგოვმა ააშენა ეს სახლი, სადაც მოთავსებული იყო კლუბი „კრუერკათ“ წოდებული. ეხლა რომ სტალინის ქუჩაზე მთავრობის ოთხსართულიანი სახლია, იქ იყო ძველი ერთსართულიანი სახლი ვინმე ანანიევის. აი, რას წარმოადგენდა მაშინდელი ბათუმი. მაშინ აღმასკომის სახლი (ურავა) იმყოფებოდა სტალინის და ორჯონიკიძის ქუჩების კუთხეში, ზემო სართულში და ქვემოთ კი ვიღაცა სპარსელს ჰქონდა ხილის სავაჭრო დუქანი და მის გვერდით იყო წიგნის მაღაზია „ქოროხის“.

ეხლანდელ აღმასკომის შენობის ადგილზე იყო დიდი მინდორი. როგორც ვთქვი ბათუმში იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა. ჩემ დროს იმ სკოლის უფროსი იყო ისიდორე რამიშვილი. ეს სკოლა ჩემამდის ყოფილა და მთავარი მიზანი ამ სკოლის

დაარსებისა იყო ის, რომ ადგილობრივი ქართველი მუსულმანები მიეზიდათ და გაეთვითცნობიერებინათ.

დედაქემმა ამ სკოლაში მიმაბარა. მასწავლებლებათ იყვნენ მიხაკო შარაშიძე, თვით რამიშვილი, ლომინაძის ქალი, მღვდელი სიმონ თოთიბაძე და გოგოლაძე. ჩემთან ერთად ამ სასწავლებელში სწავლობდნენ ახალგაზრდა ქართველი მუსულმანები: პაიდარ აბაშიძე, სულეიმან ჭიჭინაძე, ზივერ დიასამიძე, ხასან ქიქავა, ძმები პაიდარ და ჯელილ ბეჟანიძეები, დურსუნ ქიქავა, დურსუნ ხაკაშიძე, პინაურ ოლლი და სხვები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოწაფეების მეტისმეტი დენადობა იყო. ამის მთავარი მიზეზი იყო მეტისმეტი ფანატიკოსური განწყობილობა მათი მშობლების მხრივ. ავრცელებდნენ ხმებს ვითომც ქართულ სასწავლებლებში სწავლა ნიშნავდა ბავშვების გაქრისტიანებას. ზემოთ ჩამოთვლილი პირები კი ასე 12-15 ახალგაზრდა მაინც დაეწაფა სწავლას და ბოლოს მართლაც კარგი შეგნებული ქართველი დადგა.

მახსოვს ერთ წელიწადს ბათუმს ეწვია ჩვენი სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი ილია ჭავჭავაძე და ჩვენ სკოლაშიც მოვიდა. მე მაშინ მეორე კლასში ვიყავი და, როგორც ტანმორჩილი წინა მერხზე ვიჯექი. ჩვენ აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა. უეცრად დამაცექერდა, გამომიძახა და მკითხა თუ ვიცი რაიმე ლექსი. მე მივუგე რომ ვიცი მეტე და მკაფიოდ ვუთხარი მისივე ლექსი „გაზაფხული“, დავამთავრე სიტყვებით „მამულო საყვარელო შენ როსლა აყვავდები“, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა კაი ბიჭი ყოფილხარო. დღევანდელ სიბერებიდი არ დამავიწყდება ის სიხარული. დედაქემმი და აგრეთვე მასწავლებლებიც ძალიან გახარებული იყვნენ.

ქართული სკოლა, რომ დავამთავრე დედაქემმა მიმაბარა გიმნაზიაში. მაშინ გიმნაზია იმყოფებოდა რუსთაველის ქუჩაზე ვიწრო ფლიგელში. აქედან იწყება ჩემი შემდგომი ცხოვრება, დავეწაფე სწავლას, გავეცანი ახალ ამხანაგებს, განურჩევლათ ეროვნებისა მმურად ვიყავით ერთმანეთთან განწყობილი.

უნდა ითქვას ისიც, რომ მაშინდელი გიმნაზიის მასწავლებლები უმეტესად იყვნენ შავრაზმელები, ერთი-ორის გამონაკლისით, თუმცა ისეთი კულტურულებიც იყვნენ, როგორც მაგალითად, ნიკოლოზ სევასტის ქე დერჯავინი, ვოიცეხოვსკი და კიდევ რამდენიმე.

ხშირად გვსმენია, რომ ქართულად რომ ვილაპარაკებდით ბავშვები, ძალურად ნუ ლაპარაკობთო გვეუბნებოდნენ. ერთხელ ნიკოლოზ (ჭოლა) ბერძენიშვილი (მომავალი აკადემიკოსი) შეეკამათა ერთ-ერთ მასწავლებელ სმირნოვს და კინაღამ გარიცხეს სასწავლებლიდან. ასე მიდიოდა წლები. სწორედ ეს დრო იყო, როდესაც ბათუმში დაიწყო გაფიცვები და გამოსვლები. მე მაშინ ვიყავი ასე 16 წლისა. ჩვენ გიმნაზიელებიც ცოტ-ცოტა გამოვეხმაურეთ ამ მოძრაობას. მაშინ ჩვენ რამდენიმე მოწაფეები: სოსიკო ბერძენიშვილმა, მე, ძმებმა ვალერიან და ვიანორ ანჩაბაძეებმა, ილიკო მესხმა, გიორგი დიასამიძემ, ვალორია ხვედელიძემ და კოლია გოგიტიძემ შევადგინეთ მებრძოლი რაზმი, იარაღი ყველას გვქონდა, რომელსაც გვინახავდნენ სტეფანე ქემხაძე და პუშკინის სასწავლებლის შვეიცარი, მოხუცი აჭარელი ზაბითა ასათიანი.

დიდი ბრძოლა იყო მაშინ გაჩაღებული ქალაქის თავის არჩევნებზე, როგორც ცნობილია, მაშინდელ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ ცენზიან პირებს, ესე იგი იმათ ვისაც ჰქონდა რაიმე უძრავი ქონება ან სავაჭრო მაღაზია და ან კიდევ მოსამსახურეებს. ქალებს ხმის უფლება არ ჰქონდათ. დანარჩენებს კი ვისაც არაფერი ებადა, მუშებს, გლეხებს არ ჰქონდათ უფლება. ბათუმში მთელი ვაჭრობა ჰქონდათ სომხებს, ბერძენებს, რუსებს და კიდევ სხვებს. თუმცა ქართველობა რიცხვობრივათ სჭარბობდა, მაგრამ სულ უმრავლესობა იყო მუშები. რა თქმა უნდა ხელმწიფის მთავრობა მხარს უჭერდა შავრაზმელებს: კრასნიცკის, მავროპულოს, პალმას და სხვა ასეთებს, მაგრამ მაინც არჩევნებში გაიმარჯვეს ქართველებმა ზოგიერთი ბერძენების დახმარებით.

ქალაქის თავად აირჩიეს და ქუთაისიდან ჩამოყვანეს ლუპა ასათიანი, უალრესად კულტურული პიროვნება, მის თანაშემწეებათ კი გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი.

ასათიანის ქალაქის თავად არჩევნიდან დაიწყო ქალაქის აღორძინება. აშენდა აღმასკომის მშვენიერი შენობა, ვაჟთა გიმნაზია, ქალთა გიმნაზია, სამოქალაქო სასწავლებელი, ელსადგური, საავადმყოფო, გაშენდა დახურული ბაზარი (ეხლანდელი მედტეხნიკუმი), გარდა ყოველივე ამისა ასათიანი შუამდგომლობდა რომ ყველა ტრანზიტულ საქონელზე, იქნებოდა ეს ნავთი, მარგანეცი, ნოხები და კიდევ სხვა საქონელი ქალაქს დარჩენოდა ყოველ ფუთ საქონელზე ნახევარი კაპეიკი. გარდა ყოველივე ამისა ამოშრობილი იქნა ჭაობები, მოიკირწყლა ქუჩები, ქალაქი განათლა მოზრდილი ლამპიონებით. ქალაქში მაშინ იყო მხოლოდ 2 აფთიაქი, ერთი პეტეკიზის, მეორე ვიტუშინსკის – რასაკვირველია კერძო. იყო 2 პატარა აფთიაქის მარაზია ერთი ბერძნის მიხაილიდის, მეორე კი სომხის ჯერაინის. მაშინ ბათუმში იყო მხოლოდ რამდენიმე ქადაგი და ორიოდე ფერშალი. ეს სახლები, რომლებიც ამშვენებენ ბათუმს გაშენდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იყო სასტუმრო: „ფრანცია“, „ლონდონი“ და „ევროპა“. იყო 3 წიგნის მაღაზია: ნიკოლაძის, კუნინის და მახარაძის, მაგრამ იშვიათად იშოვნიდით რაიმე წიგნებს. საზოგადოო ქართული წიგნები იშვიათად იშოვნებოდა და ჩვენ ახალგაზრდებს გვამარაგებდნენ წიგნებით ფოსტის მოხელე ტროფიმ ინასარიძე, ოფიცერი დავით კლიაშვილი და ვინძე გიორგი ბუჩქური. ისეთი წიგნები, როგორც მაგალითად, ყაზბეგის, ნინოშვილის, ილიასი და წერეთელის სულ ხელიდან ხელში გადადიოდა, როგორც ცნობილია ბათუმში მუშათა მოძრაობა-გაფიცები დაიწყო უმთავრესად 1902 წელს. ამ მოძრაობის მეთაური იყო იოსებ სტალინი, რომელიც იმ უამათ ცხოვრობდა ბარცხანაში და რომელსაც ხალხი „ბარცხანის გუბერნატორს“ ეძახდნენ. მაშინ ხალხი მას იცნობდა, როგორც არა სტალინს ანუ ჯუდაშვილს არამედ „კობას“ ეძახდნენ.

მთავარი გამოსვლები დაკავშირებული იყო საერთოდ რუსეთის მოძრაობასთან დაიწყო 1905 წელს. რა თქმა უნდა საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ახალგაზრდობაც ჩაება გამოსვლებში. ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებიც ჩავებით ამ გამოსვლებში. რასაკვირველია ჩვენ გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ უფროსი ამხანაგები: ანდრო დეკანოზიშვილი, პარმენ გამყრელიძე, თედო სახოკია, ნესტორ კალანდარიშვილი, ვასო მგალობლიშვილი, სერგო ყუფარაძე, დომენტი ვადაჭკორია, ანტონ წულაძე, წითლიძე და სხვები. თუმცა ეს პირები სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ გამოსვლებში ყველანი ერთად იყვნენ. ჩვენი მთავარი ხელმძღვანელები კი იყვნენ ნესტორ კალანდარიშვილი და მიხაკო წერეთელი.

ადგილობრივ მკვიდრთაგან კი ძალიან დიდ დახმარებას გვიწევდა ქემალ ნოდაიდელი, ის იყო ნესტორის მარჯვენა ხელი, ყოველივე მის დავალებებს ასრულებდა პირნათლად, იყო ეს ფურცლების გავრცელება წყავროკაში, მუხაესტატეში თუ ლეღვაში. უფრო მეტიც „ჩვენი ქემალი“, როგორც მას ვუწოდებდით არაფერზე არ დაიხევდა უკან. უნდა ითქვას, რომ თუ ვინმეს მიუძღვის პრაქტიკოს რევოლუციონერობა ჩვენი ქემალი იყო შეუდრევებელი გულითადი ვაჟაცი. ნესტორი მას ავალებდა ხოლმე ფრიად საპასუხისმგებლო საქმეებს, როგორც მაგალითად ბილიკებით გადაჰყავდა და გადმოჰყავდა ესა თუ ის პირი, გურიაში და იქიდან აქეთ. მახსოვს ნესტორმა დაავალა მას ერმოლოვზე (კაზაკების ოფიცერი) თავდამსხმელი ბომბის მსროლელი ვინმე „უანი“ გადაეუვანა ბილიკებით ოზურგეთში. ჩვენმა ქემალმა პირნათლად შეასრულა და სხვა ასეთი სახიფათო საქმეები.

1905 წლის გამოსვლების დღეს ჩვენ, რამდენიმე პირს დაგვავალეს დაგვეკავებია რამდენიმე პოსტი თუ ვინიცობაა ხოპორის პოლკის კაზაკები ეცდებოდნენ ალყა შემოერტყათ ჩვენი გამოსვლების შტაბს (აღმასკომის შენობას)

უნდა აგვეტება სროლა. მე მომიწია პოსტი გორჯისა და ჯაფარიძის ქუჩების კუთხეში, აღმასკომის ეზოში ჩემ მარჯვნივ იყო ვინმე რიუროლ აზარაშვილი და ნოვაკი, მარცხნივ კი ვინმე რუბინშტეინი. კაზაკების თავდასხმა არ მოხდა და ჩვენ დაგვავალეს სხვა – კავშირი რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან. ჭავჭავაძის ქუჩაზე ვიდაცა ახალგაზრდას (მგონია ჭყონიას) წამოელო სახლიდან გატენილი ძველებური დამბახა და მიდიოდა საავადმყოფოსთან, კუთხეში იდგა გადაცმული კაზაკი. კაზაკმა უთხრა ახალგაზრდას, მანახე როგორი დამბახააო, მანაც მისცა, კაზაკმა ესროლა მოკლა ახალგაზრდა და გაიქცა. იმავე დღეს კრება გვქონდა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მე-3 სართულზე და დავადგინეთ მეორე დღეს გავფიცულიყავით.

გიმნაზიის მე-2 სართულზე სააქტო დარბაზში შევვარდით, კედელზე იყო მეფის სურათი ოქროს ფარაჯიან ჩარჩოში, მელენტი ზაქარიაძემ ესროლა რევოლუციის სურათს, მერე ჩვენ ჩამოვგლიჯეთ სურათი და ნაკუწებათ ვაქციეთ. ეს იყო ჩვენი გაფიცვის სიგნალი.

მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიელები იყვნენ სულ სხვადასხვა ტომისა, ყველამ ერთხმად მიიღო მონაწილეობა გაფიცვებში და გამოსვლებში, გარდა 3-4 მოწამლული შოვინისტებისა, როგორც მაგალითად შეორმი, იავლენსკი, ალფერიევი, ხარიტონოვი და კიდევ რამდენიმე, რომლებიც იყვნენ დიდი თანამდებობის მქონეების შვილები. გიმნაზიიდან რომ გამოვედით დაგვერია ცხენოსანი კაზაკები, რომლებიც გამოუძახა ადმინისტრაციას და მათრახებით დაიწყეს ცემა. მე მოვასწარი ნაკაშიძის სახლის ჭიშკარში შესვლა და შიგნიდან ჭიშკარის დაკეტვა, გადავრჩი გადალახვას, მაგრამ ბევრს სასტიკათ სცემეს. მელენტი ზაქარიაძე დააკავეს და პასუხისმგებაში მისცეს, ჩვენ დანარჩენები კი აღრიცხვაზე აგვიყვანეს.

გადიოდა წლები და ჩვენ გიმნაზიაში ისედაც ბევრი შავრაზმელი მასწავლებელი იყო და მოავლინეს ფრანგულის მასწავლებელი საბიუვი, შეჩვენებული ჯაშუში, უანდარმთა ოხრანკის აგენტი სულს არ უდგამდა მოწაფეებს, აბეზლებდა უმიზეზოთ და სოესავდა მოსწავლეთა შორის შოვინისტურ პროვოკაციებს. მაშინ მოწაფეებმა გადავწყვიტეთ მისი გალახვა და ერთ სადამოს ვოროვის ქუჩაზე ბზის ჯოხი ჩაძრტყეს თავში. სიკვდილს კი გადარჩა, მაგრამ უფრო გაცოფდა და სამსახურში 2 კაზაკის თანხლებით დადიოდა, მაშინ გადავწყვიტეთ მისი თავიდან მოცილება სხვა გზით. ერთ-ერთ ამსანაგს რაჭდენ გრიგოლიას წილათ ხვდა ღუმელში ყუმბარის ჩადება, როდესაც საბიუვი მარტო იქნებოდა მასწავლებელთა ოთახში, მაგრამ რაღაცა მიზეზის გამო გამოსულიყო ოთახიდან. ბომბი აფეთქდა და სიკვდილს გადარჩა საბიუვი. ეს იყო 1908 წელი. ამის გამო მთავრობის განკარგულებით გიმნაზიის მეორე სართულის მოწაფეები: მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასის მოწაფეები გამოგვერეს მგლის ბილეთებით, ესე იგი ვერცერთ მთავრობის გიმნაზიაში ვერ განვაგრძობდით სწავლას. დატრიალდნენ ვისაც გავლენიანი, ან შეძლებული მშობლები პყავდათ და სხვა ქალაქებში, სხვადასხვა კერძო სასწავლებლებში მოაწყეს მათი შვილები, ჩვენ კი, რომლებსაც არ გაგვაჩნდა ასეთი მშობლები დავრჩით გარეთ. მას შემდეგ სამმა მეგობარმა: მე, გიორგი დიასამიძემ და პავლე შოშიტაიშვილმა დავიწყეთ მეცადინეობა კერძო მასწავლებლებთან, რათა ჩაგვებარებინა სიმწიფის მოწმობაზე. რუსულს გვასწავლიდა ვინმე შჩუჩკინი (გამოჩენილი ლიტერატორი). მათემატიკას პარსეგიანი (კაი პედაგოგი) ჩვენ გვინდოდა თბილისის სათავადაზნაურო კერძო ქართული გიმნაზიის საშუალებით, ექსტერნათ ჩაგვებარებინა პირველი გიმნაზიის ფილიალები. დადგა გამოცდების დროც. პირველი გამოცდა რუსულ წერაში და ზეპირში მე და გიორგიმ ფრიადზე ჩავლე ჩაიჭრა. მეორე გამოცდაც მათემატიკაში და ფიზიკაშიც კარგათ ჩავაბარეთ მე და გიორგიმ. მესამე გამოცდა იყო გერმანული. ჩვენ გვქონდა ცოდნა გერმანულის (ალივრ) ესე იგი წაკითხვა და თარგმნა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ სწორედ იმ წელს შემოიდეს გერმანულის

თემაზე დაწერა, რისთვისაც ჩვენ არ ვიყავით მზად და უარი ვთქვით ამ საგნის ჩაბარებაზე. მასსოვს მხოლოდ პეიგელუსგან (ებრაელი) და ერთმა სამხედრომ ჩააბარეს. ასე რომ აქაც დაგვეხშო სწავლის გაგრძელების კარი.

ერთ დღეს გიორგიმ მითხრა „მოდი ბიჭო თან კიდევ ვიმეცადინოთ და თანაც დროებით დავიწყოთ სადმე მუშაობაო“. გადავწყვიტეთ ერთ-ერთ პეტკევიჩის აფთიაქში დაგვეწყო მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ პეტკევიჩი ქართველებისადმი არ იყო მაინც და მაინც განწყობილი, პროტექციის საშუალებით (ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის) მიგვიღო. მაშინდელ აფთიაქებში არც ერთი ქალი არ მუშაობდა. ჩვენ ისე ჩავებით მუშაობაში, გაგვიტაცა მუშაობამ აფთიაქის პატრონმაც შეხედა, რომ შეგვიყვარდა ეს დარგი და რითაც შეეძლო ხელს გვიწყობდა და დაგვინიშნა თითოს 50 მანეთი ოქროთი თვეში, მაშინ ეს დიდი ფული იყო.

ეს იყო 1911 წელი. ამგვარად ვმსახურობდი 3-4 წელიწადს, მაშინ ფარმაცევტული ინსტიტუტები არ არსებობდა და რომელიმე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან არსებობდა ფარმაცეტიული განხრა. მე გავემზავრე ხარკოვში, გზის ფულიც პეტკევიჩმა მომცა. ჩემთან ერთად ხარკოვში წამოვიდა იონა კვეკვესკირი. 1915 წელის პირველი სამამულო ომის მიწურულში ჩავპარეთ ფრიადზე და დიპლომებით დავბრუნდით ისევ ბათუმში. მხოლოდ პეტკევიჩის ადარ იყო ის აფთიაქი და მიეყიდა გიორგი ავალიანისათვის.

მე დავიწყე მუშაობა ავალიანის აფთიაქში, ეს იყო 1916 წელი. გასაბჭოების შემდეგ მე კმუშაობდი სხვა და სხვა აფთიაქებში, ჯერ რეცეპტარათ შემდეგ კი აფთიაქის გამგეთ.

პირველ აფთიაქის, მესამე აფთიაქის, მეხუთე აფთიაქის, წყლოსანთა აფთიაქის, აჭარსამედვაჭრობის გამგეთ, გადამიყვანეს თბილისის მეოცე აფთიაქის გამგეთ და ასე გადავყავდი სხვადასხვა აფთიაქების გამგეთ. ბოლოს დამნიშნეს მთელი აჭარის აფთიაქების რევიზორათ, სადაც ვიმუშავე 3 წელიწადს. შემდეგ შეთავსებით დამნიშნეს სამშობიარო სახლის აფთიაქის გამგეთ. სულ აფთიაქების ხაზით ვიმუშავე 63 წელი. 1954 წელს უმწიკვლო მუშობისათვის დამაჯილდოვეს ლენინის ორდენით, მედლებით და მრავალი სიგელებით. ჩემი მუშაობის პერიოდში აღვზარდე ბლომათ ფარმაცევტები. ასე გამოვეთხოვე ამ დარგს და ეხლა ვარ პერსონალური პენსიონერი.

ბიძახემი (დედის ძმა) იყო საგლეხო ბანკის მოურავი დუშეთის და გორის მაზრებში. თვითონ ცხოვრობდა კასპში და ზაფხულობით მე ჩავდიოდი მასთან. იქ მე გავიცანი ცხობილი რევოლუციონერი მიშა უდენტი, ფრიად სერიოზული პირი. მას ჰყავდა ცოლად მაყაშვილის ქალი და ცოლის ძმა მიშა მაყაშვილი, სადაც იატაქვეშ ინახავდა თავს. სხვათა შორის მიშა უდენტი დაჭრილი იყო მკლავში ბერდანკის ტყვიით და მკლავიდან ამოღებულ ძვალს საფულეში ატარებდა, მკლავში ხელს რომ მოჰკიდებდი თითქმის თითო გადიოდა ძვალში. უკანასკნელ დროს მიშა ვნახე თბილისში და მეტი აღარ მინახავს.

თურმე ის დაუჭირიათ და იმყოფებოდა ხარკოვის საკანტორო ციხეში. ხარკოვში რომ მივდიოდი თბილისში შემხვდა მიშა მაყაშვილი და მითხრა თუ მოახერხე ინახულე ციხეში ან შეიტყვე როგორ არის, რადგან კაი ხანია არაფერი ვიცით მასზე.

ხარკოვში რომ ჩავედი იქაურ ნაცნობ სტუდენტებს ვუამბე მის შესახებ და დაგვინტერესე შეეტყო როგორ იყო.

საუბედუროთ შეიტყეს რომ მიშა ციხეში გაცვლილიყო და ციხიდან გადმოუგზავნიათ უნივერსიტეტის პროზექტურაში. მე და ერთი ცოცხალი ბიჭი სტუდენტი სომეხი მივედით ანატომიის პროფესორ ნათიშვილთან და ვთხოვეთ რომ მიშას ცხედარი მოეცა ჩვენთვის თბილისში გასაგზავნათ. დაგრიალდნენ სხვა სტუდენტებიც და ეხლა საჭირო იყო თვით მიშას ცხედრის ამოცნობა, რადგან ბევრი იყო ციხიდან გადმოგზავნილები. ნათიშვილმა და გურთონებმა უბრძანა

პროზექტურის მოხუც მოსამსახურე რუსს ეჩვენებინა გვამი. ცხედრები იყო ქვედა სართულში, სარდაფში და ჩარხის საშუალებით ამოჰონდათ ზევით. ამოიტანეს რამდენიმე გვამი, ყველა ერთმანეთს პგავდა რადგან არც თმა, არც წარბები, არც წამწამები არც ერთი არ პქონდათ, ბოლოს მე გამახსენდა რომ მიშა ხელში იყო დაჭრილი და სწორეთ ამით ამოვიცანით მიშა.

ნათოშვილსაც ძალიან გაეხარდა, რადგან სტუდენტობაში უფრო აიწია მისმა ავტორიტეტმა. დატრიალდნენ სტუდენტები, მუშები, პარტიულები, ხელათ გაუკეთეს ცინკის კუბო და დიდი ზეიმით გააცილეს თბილისში. ეს იყო სწორეთ ნიკოლოზის გადმოგდების წინა დღეებში.

ინგლისის ოკუპაციის დროს ინგლისელები ამარაგებდნენ დენიკინის არმიას და ამიტომ გადაწყდა ბათუმში საერთო გაფიცვა. შეწყდა წყლით მომარაგება, გამოითიშა სინათლე, დაიხურა დაწესებულებები, აფთიაქები.

სადამოს გვქონდა კრება. კრება, რომ დამთავრდა და გამოვდიოდით, ინგლისელებმა ალექს შემოარტყეს ყველას და დაგვიჭირეს, წაგვიყვანეს ჯერ გაუპტგახებში და იქიდან ფორდის მანქანებით წაგვიყვანეს სტეპანვაკის ბატარეის სარდაფებში. ვიყავით ასე 20 კაცამდე. ეხლა კი დავრჩით მხოლოდ 4-5. მოვიდა თვით კუკოლისი და შემოგვთავაზა მოგვეხსნა გაფიცვა, მაგრამ უარით გავისტუმრეთ, და ბოლოს იმას მივაღწიეთ, რომ შეწყვიტეს დენიკინზე დახმარება და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვანთავისუფლეს. თურქეთის პირველ შემოსევაზე მოხალისეთ წავედი ფრონტზე. მეორე შემოსევაზეც წავედი მოხალისეთ სოფელ „კიბესთან“, ჩვენ კი ვიყავით პოზიციაზე მაგრათ, მაგრამ თურქები შემოვიდნენ ორთაბათუმის მხრიდან და აიღეს ბათუმი.

უნდა ვუმაღლოდეთ სერიოზა ქავთარაძეს, რომლის დახმარებითაც თურქები განდევნილი იყვნენ ბათუმიდან და მთელი აჭარიდან.

1975 წლის 30 მარტი

### ვმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი გათუმში

საკულტო არქიტექტურის იმ სავალალო სიაში, რომელიც დაინგრა საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხვდა წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარიც (სურ. 1).

მართლმადიდებლური ეკლესია ბათუმში აშენდა ჯერ კიდევ თურქების დროს 1865 წელს. ეს იყო წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია. ბათუმს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდგომ, ეკლესია რუსი მართლმადიდებლებისათვის განლაგდა ჩვეულებრივ შენობაში, რომელსაც მიეშენა სამრეკლო. გამოიკვეთა, რომ უნდა აშენებულიყო ახალი ტაძარი.

1888 წელს თვითმპყრობელი იმპერატორი ალექსანდრე III ოჯახთან ერთად ეწვია ბათუმს და მის შემოგარენს. ათი წელი იყო გასული მას შემდეგ – 1877-1878 წლები, რაც რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა და ბათუმი შეუერთდა რუსეთის იმპერიას. იმპერატორის ვიზიტი ფართოდ აისახა პრესაში, მთელ რიგ მსხვილ ჟურნალებში გამოჩნდა ამ მოვლენების ამსახველი ილუსტრაციები. მაგალითად დიდი გრავიურა იმპერატორის ჩამოსვლისა დაიბეჭდა „მუსტკატიონ“-ში. იმპერატორს თან ახლდა მეუღლე მარია თევდორეს ასული, ძები – გიორგი და ნიკოლოზი, ასევე მაღალჩინოსანი მოხელეები. სამეფო ოჯახის ფოტოგრაფირების პატივი მიეგო ბათუმელ ფოტოგრაფს ა. კუშნერსკის.

ვიზიტის პროგრამაში შედიოდა რიგი დონისძიებისა. სამეფო ოჯახის წევრებმა დარგეს ხეები ალექსანდრეს პარკში.<sup>19</sup> ხეებს სამოფონი უწოდეს, ზოგიერთი მათგანი ჩანს დია ბარათზე, რომელზედაც აღბეჭდილია ალექსანდრეს სახელობის ბადი. მეორე მნიშვნელოვანი დონისძიება გახლდათ მართლმადიდებლური ტაძრის საფუძველის ჩაყრა. ჩემს კოლექციაში არის სპილენძის ქაფჩა, რომელზედაც ამოტვიფრულია წარწერა (რუსულად) „ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 1888 წ“. ერთ-ერთი ვერსიით ეს ქაფჩა გადაარჩინა, შემდგომ ამ ტაძარში არსებული მუზეუმის თანამშრომელმა.

ტაძრის პროექტი დაამტკიცა თვით მისმა უმაღლესობამ 1888 წელს, რასაც ადასტურებს არქიტექტურული ესკიზი, შესრულებული და ხელმოწერილი თვით ალექსანდრეს მიერ (სურ. 5). მშენებლობა მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა, რაც აისახება ბათუმის, იმპერიის ცენტრიდან დიდი დაშორებითა და ჩანაფიქრის გრანდიოზულობით. დია ბარათებზე გამოსახული ბათუმის ტაძრის ხედები, გვაუწყებენ ამ შენობის აღშენებასა და დასასრულს. ერთ-ერთ ადრეულ დია ბარათზე (XIX ს. 90-იანი წლები) აღბეჭდილია ხარაზოებში ჩასმული ტაძარი (სურ. 11), თდნავ მოგვიანო ბარათზე აღბეჭდილია სამრეკლო (სურ. 12), განსაკუთრებით ნათლად ჩანს მშენებარე ტაძარი, უკვე საკუთხის ბოლოს (სურ. 2).

1906 წელს ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების 25-ე წლისთავზე<sup>20</sup> ტაძრის მშენებლობა დასრულდა და ეკურთხა ექვს დეკემბერს. ამ უზარმაზარ შენობას ეწოდა წმ. ალექსანდრე ნეველის სახელი და გადაეცა სამხედრო უწყებას. ასევე ზედწოდებაც მიეცა – „ახალი ტაძარი“, ასევე მას უწოდებდნენ გრანდიოზულს და ხშირად გამოსახავდნენ დია საფოსტო ბარათებზე გამოცემლები. მ. მ. ხეზინოვი, ი. ს. მარტინონსიანელი, ი. კახიანი, „სოტრუდნიკი“ „გრენბერგი“, „ა. ტ. ვ“ ბათუმის ხედების „ესპერანტორეული“ სერიიდან. სანაოსნო კომპანიამ „Messagekies Maritimes“ გამოსცა დია ბარათი ტაძრის გამოსახულებით (სურ. 6.13) ტაძარი ძალზე ლამაზად გამოიყურებოდა ზღვისპირა ბულვართან (სურ. 9), ასევე გამოვიდა რელიეფური დია ბარათიც (სურ. 14).

<sup>19</sup> დღევანდელი 6 მაისის სახელობის ახალგაზრდული პარკი

<sup>20</sup> უნდა იყოს 28-ე წლისთავი, რადგან ბათუმი რუსეთის იმპერიაში შევიდა 1878 წელს

მალე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ. მარტი) ტაძარი გადააკეთეს ანტირელიგიურ მუზეუმად, როგორც ეს ხდებოდა სხვა ქალაქებში, რასაც მოწმობს 20-იან წლებში გამოშვებული ორი დია საფოსტო ბარათი. ერთერთი ბარათი გვაცნობს: „ყოფილ სამხედრო ტაძარს“ (სურ. 4), მეორე მხარეზე კი წერია: „მერებას ხატი“ (სურ. 3). ჩემს კოლექციაში ინახება 1927 წლის უნიკალური ფოტო, რომელზედაც გამოსახულია ყოფილი ტაძრის, იმუამად ანტირელიგიური მუზეუმის ინტერიერი, სადაც ლენინის ბიუსტი დგას, რაც რა თქმა უნდა მკრეხელობაა (სურ. 7) 1931 წ. ტაძარი დაანგრიეს, ხოლო ქვები გამოიყენეს ახალი შენობებისათვის, რომელშიც სხვათაშორის დაიბადა ამ სტატიის ავტორი, რაც ასახულია იშვიათ ფოტობარათზე (სურ. 8), რომელიც ამ დროს გამოვიდა, აღწერილია საკვირველი და მოწყენილი სურათი: სამრეკლო კვლავ აღმართულია და ხეებს მიღმა ჩანს ერთერთი მცირე გუმბათი, მაგრამ ძირითადი გუმბათი უკვე აღარ არის. ასეთივე ბედი ეწია ბათუმში მდგომარე ზოგიერთ ტაძარსაც. ხოლო მეჩეთი „აზიზიე“ უფრო ადრე დაანგრიეს. საბედნიეროდ გადარჩა წმ. ნიკოლოზის ტაძარი, სომხური გრიგორიანული და კათოლოკური ტაძარი, რომლებიც შემორჩენილია დღემდის.

30-იანი წლების ბოლოს დანგრეული ტაძრის ადგილზე აშენდა სასტუმრო „ინტურისტი“ ეს შენობა აშენდა კონსტრუქტივისტულ სტილში, თავისთვალ უნიკალურიც კია. სასტუმრო დააპროექტა ცნობილმა საბჭოთა არქიტექტორმა ა. ვ. შუსევმა, რომელიც ლენინის მავზელეუმის ავტორიცაა. დღეს ინტურისტის ვრცელ ჰოლში გამოფენილია წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის მაკეტი, რაშიც ასახულია ბათუმის ისტორია, ხოლო საფოსტო ბარათები გვაძლევენ საოცარ შესაძლებლობებს წარმოვიდგინოთ როგორი იყო სამხედრო ტაძარი სხვადასხვა რაკურსიდან და ჩაუდრმავდეთ მის ისტორიას.

თარგმნა გოდერძი ტოტოჩავაძე



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3



სურ. 4



სურ. 6



სურ. 5



б'юр. 7




б'юр. 8



б'юр. 9



б'юр. 10



б'юр. 11



б'юр. 13



б'юр. 12

რუსულან კობრავა

აჭარის მუზეუმის დაიჯესტი  
2009 წელი

- 23 იანვარი – აჭარის განათლებისა და კულტურის მუზეუმში ჩატარდა ხულოს რაიონის რაქვთის საჯარო სკოლის ყოფილი მასწავლებლის თამარ ბარათაშვილის დაბადებიდან 70 და გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღნილი ხსოვნის საღამო.
- 26 იანვარი – რელიგიის მუზეუმში „ნინოობის“ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეთა ღონისძიება.
- 26-29 იანვარი – მოეწყო ბათუმელი ამაგდარი მხატვრის, ბათუმის საპატიო მოქალაქის ანტონ ფილიპოვის პერსონალური გამოფენა – გაყიდვა.



ანტონ ფილიპოვის პერსონალური გამოფენა.  
2009 წლის 26 იანვარი

- 1-22 თებერვალი – მოეწყო მხატვარ-არქიტექტორის დუგლას ზამთარაძის ნამუშევრების საიუბილეო პერსონალური გამოფენა: „უფლის ნაჩუქარი შვიდი ათეული“.
- 9 თებერვალი – ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღნილი ღონისძიება.
- 15 თებერვალი – ჩატარდა ავდანეთის რესპუბლიკიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის 20 წლისთავისადმი მიძღნილი ღონისძიება.
- 20 თებერვალი – აჭარის განათლებისა და კულტურის მუზეუმში ჩატარდა აჭარის დვაწლოსილი პედაგოგების თინა კუპულაძის, ლეონია არჯევანიძის და ასლან მიქელაძის მოფერებისა და პატივგაების საღამო.

- 18 მარტი – ქ. ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეებს ჩატარდათ ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურ ენასა და ისტორიაში თემაზე: „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“.
- 23 მარტი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „1921 წლის მარტი ბათუმში“.
- 30 მარტი – აჭარის განათლებისა და კულტურის მუზეუმში ჩატარდა სუბტროპიკული და სამკურნალო მცენარეების ყოფილი მკლევარის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის გივი სარჯველაძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.
- 3 აპრილი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საქართველო და ევროპა“.
- 27 აპრილი – აჭარის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კლუბში ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვების 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია.
- 29 აპრილი – პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის III კურსის სტუდენტებს ჩატარა დია ლექცია თემაზე „რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლი და საქართველო“.
- 4 მაისი – 15 ივნისი – მოეწყო აჭარაში ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილი ერთდროული გამოფენა.
- 11 მაისი – ბავშვთა სტუდია „ბემბიმ“ ჩაატარა მუსიკალურ-მხატვრული დილა თემაზე: „გაზაფხული მობრძანდება“.
- 18 მაისი – 19 ივნისი – მოეწყო მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, ფონდსაცავში დაცული გაზების და კერამიკული ნამუშევრების გამოფენა.



მუზეუმების საერთაშორისო დღე 2009 წ. 18 მაისი



ქ. ბათუმის მერი რ. ჩხაიძე აჯილდოებს მუზეუმის  
დგაწლმოსილ მუშაკს მზიული ერისთავს

- 15 მაისი – აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში ჩატარდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აჭარის ხარიბონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის დირექტორის მოადგილის ოთარ გოგოლიშვილის წიგნის „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წწ.“ წარდგინება.
- 19 მაისი – პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტებს ჩაუტარა დია ლექცია თემაზე „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი.
- 22 მაისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა 26 მაისისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა კონფერენცია
- 1 ივნისი – პედაგოგების სიახლეთა კვლევის ცენტრმა ასოციაცია „მცოდნელმა“ ჩაატარა საჯარო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებლთა კონკურსში „კოფაქცევის კულტურა“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.
- 10 ივნისი – მოეწყო ქ. ბათუმის 2 საჯარო სკოლის და სტუდია „ანდამატის“ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა- აუქციონი.
- 17 ივნისი - 1 ოქტომბერი – მოეწყო ფონდსაცავში დაცული ნიუარების და თევზების ერთდროული გამოფენა.
- 23 ივნისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გაიმართა პრეზენტაცია პროექტისა „ქართველი ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის“
- 21 ივნისი – რელიგიის მუზეუმში მოეწყო ყოფილ ქართულ ტერიტორიებზე დარჩენილი ხუროთმოძღვრული ნაგებობების არსებობისადამი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.
- 15 ოქტომბერი – გაზეთ „აჭარის“ რედაქციამ ჩაატარა წიგნის „მათზე წერდა აჭარა“ პრეზენტაცია.

- 22 სექტემბერი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ახალგაზრდა პოეტების გენრი დოლიძის, გიორგი გაბაძიძისა და ახალგაზრდა მწერლების თაკო დიოგიძისა და გიორგი ჭეიშვილის წიგნის „დაუსრულებელი წერილი“ წარდგინება.
- 15 ოქტომბერი – გაზეთ „აჭარის“ რედაქციამ ჩაატარა ლიტერატურული კონკურსის „პიფის“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.
- 6-19 ნოემბერი – მოეწყო მხატვარ თამაზ (ნადიმ) დიასამიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა–საღამო.



თამაზ (ნადიმ) დიასამიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოფენაზე  
2009 წ. 6 ნოემბერი

- 6 ნოემბერი – განათლების და კულტურის მუზეუმში ჩატარდა დვაწლმოსილი პედაგოგისა და მოღვაწის ღირსების ორდენოსან არჩილ იშხნელიძის დაბადებიდან 80 და საზოგადოებრივ-პედაგოიური მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
- 13 ნოემბერი – პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის მე-3 კურსისის სტუდენტებს ჩაუტარა დია ლექცია თემაზე „ბათუმი ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში“.
- 16 ნოემბერი – პედაგოგების სიახლეთა კვლევის ცენტრმა ასოციაცია „მცოდნელმა“ მოეწყო დასავლეთ საქართველოს საჯარო სკოლების I კლასის მოსწავლეთა და პედაგოგთა დაჯილდოება კონკურსში: „ისწავლე და იხალისე არდადეგებზე“ აქტიური მონაწილეობისათვის.
- 27 ნოემბერი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და ისტორია – პარხალი“.



სამეცნიერო კონფერენცია: „სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოს ყოფა და ისტორია – პარხალი“. 2009 წ. 27 ნოემბერი.

8 დეკემბერი – ქ. ბათუმის საკრებულომ მოაწყო 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მუზეუმის თანამშრომლებისათვის.



ქ. ბათუმის 2010 წ. ბიუჯეტის გაცნობა აჭარის მუზეუმში

## მმები ნობელების სახელობის ბათუმის ფექტოლოგიური მუზეუმი



დროს მდებარეობდა საბავშვი ბაღი, თამარის დასახლების მილიცია და უბნის სახლმმართველობა. ქალაქის მკვიდრნი იგონებენ, რომ ე.წ. „მდიდრის სახლის“, ან კიდევ „გუბერნატორის სახლის“ პირველ სართულს კუპიდონებით მოხატული ჭერი და იშვიათი მასალისაგან დამზადებული ანტიკვარული ბუხარი ამშვენებდა. სამწუხაოდ ჯერჯერობით ვერ ხერხდება იმის დაზუსტება თუ რა გზა გაიარა შენობამ „ბათუმის კანტორიდან“ საბავშვო ბადამდე. შესაძლოა შემდგომმა საარქივო კვლევა-ძიებამ შეავსოს აღნიშნული წყვეტილი.

შენობის თანამედროვე ინტერიერი შემდეგნაირია:



ქვეყანაში დარეგისტრირებული სასაქონლო-სავაჭრო „Shell“ კავშირს ბათუმთან. XIX საუკუნის ქალაქისთვის დამახასიათებელი გერბი, ბათუმის ნავსადგურის ერთ-ერთი პირველი ფოტო, სადაც კარგად ჩანს ძელი ბათუმისათვის ნიშანდობლივი ლამპიონი. აქვე განთავსებულია მსგავსი შინაარსის სხვადასხვა ექსპონატები

მუზეუმის მეორე სართული აჭარის რეგიონში ჩაის კულტურის განვითარებას და ამ საქმისთვის ჩინეთიდან სპეციალურად სამი წლით მოწვეულ ლაო ჯინ-ჯაოს დვაწლს ეთმობა, რომელმაც საქართველოში 30 წელი დაპყო და სამშობლოში დაბრუნებისას თვალცრემლიანმა განაცხადა: „მივდივარ, მაგრამ ჩემს გულს და სულს საქართველოში ვტოვებ, რისთვისაც გიხდით გულითად მადლობას“. მუზეუმში წარმოდგენილია ლაო ჯინ-ჯაოს პირადი ნივთები.

დარბაზს ამშვენებს ფერადი ფოტოგრაფიის ერთ-ერთი დიდოსტატის სერგეი პოლკუდინ გორსკის ფერადი ფოტოები, რომლის შესახებაც დღემდე თითქმის

2007 წლის 17 მაისიდან ბათუმის ლირსშესანიშნაობებს მები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი შეემატა. იგი სწორედ იმ შენობაშია, სადაც განთავსებული იყო კომპანია „Branobel“-ის „ბათუმის კანტორა“.

მუზეუმი მდებარეობს ქალაქის შემოსასვლელში (თამარის დასახლება, ლესელიძის ქ. №3). ლია ცისფერ და ორსართულიან, კოშკიან შენობაში, რომელსაც თეთრი რიკულებიანი აივანი და წყვილი მაგნოლია ამშვენებს. აქ სხვადასხვა

და კორიდორი სართული „ნავთობის მეფეებად“ წოდებული ნობელების დინასტიის კავკასიაში მოღვაწეობას და კომპანია „Branobel“-ს ეთმობა. ნობელების სახელთანაა დაკავშირებული ბათუმის ნავთობტერმინალის დაარსებაც. იქვე წარმოდგენილია ებრაული წარმოშობის ფრანგი ნავთობმაგნატის როტშილდისა და თბილისელი სომეხის ა. მანთაშვილის საექსპოზიციო კუთხე, ასევე ნავთის ბიდონი, რომელიც ადასტურებს მსოფლიოს 160-ზე მეტ

ქვეყანაში დარეგისტრირებული სასაქონლო-სავაჭრო „Shell“ კავშირს ბათუმთან. XIX საუკუნის ქალაქისთვის დამახასიათებელი გერბი, ბათუმის ნავსადგურის ერთ-ერთი პირველი ფოტო, სადაც კარგად ჩანს ძელი ბათუმისათვის ნიშანდობლივი ლამპიონი. აქვე განთავსებულია მსგავსი შინაარსის სხვადასხვა ექსპონატები

მუზეუმის მეორე სართული აჭარის რეგიონში ჩაის კულტურის განვითარებას და ამ საქმისთვის ჩინეთიდან სპეციალურად სამი წლით მოწვეულ ლაო ჯინ-ჯაოს დვაწლს ეთმობა, რომელმაც საქართველოში 30 წელი დაპყო და სამშობლოში დაბრუნებისას თვალცრემლიანმა განაცხადა: „მივდივარ, მაგრამ ჩემს გულს და სულს საქართველოში ვტოვებ, რისთვისაც გიხდით გულითად მადლობას“. მუზეუმში წარმოდგენილია ლაო ჯინ-ჯაოს პირადი ნივთები.

დარბაზს ამშვენებს ფერადი ფოტოგრაფიის ერთ-ერთი დიდოსტატის სერგეი პოლკუდინ გორსკის ფერადი ფოტოები, რომლის შესახებაც დღემდე თითქმის

არაფერი იყო ცნობილი ქალაქის ფართო საზოგადოებისათვის. გარკვეული მიზეულის გამო მის შესახებ არაფერია ნათქვამი დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. პროგუდინ გორსკის დიდი წვლილი მიუძღვის ფოტოგრაფიის ისტორიაში, ასევე XX საუკუნის 10-იანი წლების ქართული რეალობის ფირზე აღმოჩნდაში. ფოტოგრაფიაში ექსპურსიას აგრძელებს ბათუმში მოღვაწე ბერძენი ფოტოგრაფების ეგოროვისა და ანტონოვულოს ფოტორეპორტაჟის, რომლებიც მათსავე ფოტოსახელოსნოებს ამშვენებდა და კარგ რეკლამასაც უწევდა.

მუზეუმი ტექნოლოგიური ხასიათისაა და აქცენტირებულია ბათუმის სამეცნიერ-ეკონომიკურ განვითარებაზე, სამრეწველო ობიექტებისა და მათი მეპატრონეების წარმოჩენაზე, ამ კუთხით საინტერესო „И. Шеленговский и Ко“-ის პროდუქციის კატალოგი და საქმიანობის გეოგრაფიული არეალი. ეს ის კომპანიაა, რომლის შენობასაც ბათუმელები დღესაც „ცინკზავოდს“ უწოდებენ.

მუზეუმის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ექსპონატს წარმოადგენს კომპანია «Труд»-ის მიერ დამზადებული კერამიკული ფილების ფოტოები, რომლითაც იმდროინდელი რკინიგზის სადგურის შენობა და ძველი ქალაქის სადარბაზოები ყოფილა მოპირკეთებული. ანალოგიური ფილები ბათუმის რიგ სადარბაზოს დღემდე შემორჩა.

მუზეუმის შემეცნებით კუთხეებს შორის ახლახანს ადგილი დაიმკვიდრა 1907 წლიდან საკუთარი სავაჭრო ნიშნისა და ორიგინალური ეტიკეტის მქონე „დანელია და კომპანია“-მ, რომელიც აგრძელებს საოჯახო ტრადიციას და თაფლში გაფილტრულ საეკლესიო დგინოს აწარმოებს. მიმდინარე წელს მუზეუმს სხვადასხვა ექსპონატთან ერთად, შეემატა კნუტ ჰამსუნის ბარელიეფი, რომელიც მომავალში დაამშვენებს საექსპოზიციო კუთხეს: „ნობელიანტები საქართველოში“.

ვიზუალურ, საექსპოზიციო მხარესთან ერთად მუზეუმი, თავისი სპეციფიკიდან გამოდინარე, განსაკუთრებით მიმზიდველი და საინტერესო ინფორმაციული თვალსაზრისით, რომელთა უმეტესი ნაწილი უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. მუზეუმი, როგორც წესი, ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, თანდათანობით მრავლდება ექსპონატები, იმართება სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებული ღონისძიებები და გამოფენები. მუზეუმი თანამშრომლობს საქართველოს და მის გარეთ არსებულ სხვადასხავა მუზეუმებთან, მონაწილეობს რესპუბლიკური თუ საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებში.

საინტერესო მუზეუმის საქმიანობა სამუზეუმო პედაგოგიკის დარგში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან ურთიერთობა, რომლის სტუდენტები მუზეუმმცოდნეობის სასწავლო კურსის პრაქტიკულ ნაწილს გადიან მუზეუმში. სამომავლოდ დაგეგმილია სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

თამარ ორაგველიძე  
ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის  
მეცნიერ-თანამშრომელი

<b>ლამარა გულორდავა</b>	
აჭარის მუზეუმის გეოლოგიური კოლექციები . . . . .	3
<b>ნუგზარ მგელაძე, გოდერძი ტოტოჩავა</b>	
ვეშაპის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ვეშაპონდების შესწავლის ისტორიისათვის (ნაწილი II) . . . . .	11
<b>საშა ლეპვეიშვილი</b>	
ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარები აჭარული ჩაცმულობის შესახებ . . . . .	27
<b>გოდერძი ტოტოჩავა</b>	
აჭარის განთავისუფლება ქართულ პერიოდულ პრესაში („დროებისა“ და „ივერიის“ მასალების მიხედვით) . . . . .	33
<b>ოთარ გოგოლიშვილი</b>	
ინგლისელები ბათუმში . . . . .	45
<b>ოთარ გოგოლიშვილი</b>	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ორიენტაციის პრობლემა (1918-1921 წლები) . . . . .	49
<b>რუსულან კობრავა</b>	
ძველი ბათუმის ქუჩები . . . . .	55
<b>რევაზ უზუნაძე</b>	
საყდარი (სოფელ ერგეს წარსულიდან) . . . . .	63
<b>მერაბ უზუნაძე</b>	
გვარას ციხე . . . . .	65
<b>მალხაზ ჩოხარაძე</b>	
კრიპტოქრისტიანობა პარხალში . . . . .	68
<b>ნანა ქორიძე</b>	
მუზეუმის ითიფალური ქანდაკებები . . . . .	74
<b>ალექსანდრე თიროშვილი</b>	
ჩემი მოგონებები . . . . .	81
<b>მიხეილ ალშიბაია</b>	
წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი ბათუმში . . . . .	88
<b>რუსიკ კობრავა</b>	
აჭარის მუზეუმის დაიჯესტი – 2009 წელი . . . . .	92
<b>თამარ ორაგველიძე</b>	
ქმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი . . . . .	97

სელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.2010  
ქაღალდის ზომა 60X84 1/8  
შეკვეთა №12, ტირაჟი 300

დაიბეჭდა შპს “GAMAPrint”-ის სტამბაში  
ბათუმი, გ. აბაშიძის 35